

სტუდენტური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ალმოსავლეთი

ისტორია
კულტურა და ცივილიზაცია
ლიტერატურა
რელიგია
პოლიტიკა

იანვარი, 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სარედაქციო ოკოლეგია:

მათე ქარდავა

გიორგი ახალკაციშვილი

ანა ჩაჩიბაია

ანა შალუტაშვილი

რედაქციის მისამართი:

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი #36, თსუ, V კორპუსი.

ტელ: 591 94 32 19; 599 87 24 31

ელ. ფოსტა: Axloagmosavleti632@yahoo.com

სარჩევი

ისტორია

ბადრთან ბრძოლა. *სალომე ზაუტაშვილი* 6

არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა (711-756). *რატი რამიშვილი* 13

ალ-მანსურის მიერ ბაღდადის დაარსება. *თიკო ჭანტურია* 23

ყუბილაი ხანი. *მედეა გვინჩიძე* 28

ოსმალეთის იმპერიის შეიარაღება. *მიხეილ ჯილავიანი, სალომე მაჭარაშვილი* 34

ვლად ცეპეში. *ირმა ქარდავა, ანა ახალაია* 42

ისტორიული მესხეთის დაპყრობა და ისლამიზაცია ოსმალეთის იმპერიის მიერ. *თეკლა აშორტია, მარიამ დიდებაშვილი* 44

რელიგია

ბიბლია ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში - შესაქმე. *ანი ბალიაშვილი, ლელა ჯაბანიშვილი, მიხეილ სოტიროვი* 56

ბიბლიის რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლის ქრისტიანულ-ისლამური ინტერპრეტაციისათვის. *რატი რამიშვილი* 62

ატონის კულტი და გარდატეხა ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში. *ზიზი ხვედელიძე* 69

აჰმად იბნ ჰანბალი. *სოფიკო მოლაშხია; არჩილ ცარახბაია* 73

ქორწინებისა და განქორწინების პროცესი ისლამში. *გვანცა წიწილაშვილი და სალომეჩაფიძე* 78

ინდუიზმი და მისი დაპირისპირება ქრისტიანულ მრწამსთან. *ნინო ოზგელდოვი* 85

კულტურა და ცივილიზაცია

ჩინური იეროგლიფური დამწერლობა. *ნინო გოგალაძე, სალომე მაჭარაშვილი* 90

ინდური სამზარეულო. *ქრისტინა კაპანაძე* *96*

ალ-ჰამბრას სასახლე - „მუჰამედის ჭეშმარიტი სამოთხე“. *სალომე მაჭარაშვილი, მიხეილჯილავიანი* *96*

პოლიტიკა

აშშ-ს გავლენები სპარსეთის ყურის რეგიონში. *ლუკა ჯინჭარაძე, მიხეილ მარკელია*.....109

„სტამბოლი“- საუკუნის პროექტი თუ საუკუნის იარაღი!?. *მიხეილ მარკელია* 119

ომი ისლამში, ტერორიზმი თუ ბრძოლა მშვიდობის სანაცვლოდ?. *მაქა ნაციშვილი*.....121

ლიტერატურა

კამალა დასი - „შესავალი“. *ცოტნე ღუღუნიშვილი*.....126

ისტორია

ბადრთან ბრძოლა

სალომე ზაუტაშვილი

ისლამის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბადრის ბრძოლა, პირველი მასშტაბური შეიარაღებული შეტაკება მუსლიმებსა და კურაიშელებს შორის, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი რელიგიის განმტკიცებას. მის უკეთ გასააზრებლად კი საჭიროა შევეხოთ დაპირისპირებამდე არსებულ ვითარებას.

მექა, VII საუკუნე

ჰიჯაზის ქალაქი მექა VII საუკუნის პირველ მესამედში ჩრდილოეთი და ცენტრალური არაბეთის რელიგიურ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა არაბული ტომები და გვარები, რომლებიც მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. მექის რელიგიური სტატუსი დაკავშირებული იყო ვაჭრობასთან. ყოველ წელს ქალაქიდან ორი დიდი ქარავანი გადიოდა: ჩრდილოეთით, სირია-პალესტინის მხარეს და სამხრეთით, იემენისკენ. ცნობილია, რომ დიდი სავაჭრო-სატრანზიტო მოქმედებისას არაბეთში იკრძალებოდა სამხედრო მოქმედებები, რაც აღნიშნულ საქმიანობასდიდად უწყობდა ხელს (1, გვ. 27). ვაჭრობასთან ერთად გააქტიურდა მევახშეობა, რაც იწვევდა ქონებრივ დიფერენციაციას.

სწორედ ასეთი ვითარების დროს გამოჩნდამუჰამადი, ისლამის ფუძემდებელი. იმის გამო, რომ იგი ქადაგებდა სოციალური დიფერენციაციისა და მევახშეობის წინააღმდეგ, მექელთა უმრავლესობა ახალი სარწმუნოებით ღიზიანდებოდა (1, გვ. 29). ამასთან, სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული იყო წარმართულ ტრადიციასთან, წარმართობის

მოშლა კი ეკონომიკასაც დააზარალებდა.კერძოდ, პილიგრიმობის დაცემა შეამცირებდა შემოსავლის წყაროს, ასევე სავაჭრო ურთიერთობებიც შესუსტდებოდა. ტომობრივად მაცხოვრებელი მექელებისთვის უცხო იყო ერთიპიროვნული მმართველის ყოლაც (5, გვ. 18). ამიტომ დაიწყო მუსლიმთა დევნა. მალე მუსლიმებს დახმარება გაუწია მექას ჩრდილოეთით მდებარე ქალაქმა იასრიბმა. მოციქული თავის მიმდევრებთან ერთად 622 წელს აქ გადავიდა საცხოვრებლად.მათ მუჰაჯირები ეწოდათ, ხოლო გამუსლიმებულ იასრიბელ არაბებს - ანსარები. ეს ადგილი გახდა წინასწარმეტყველის ქალაქი (მადინათ ან-ნაბი) და შემოკლებით მედინა ეწოდა (1, გვ. 29).

მედინისკენ მიმავალი სავაჭრო გზები

შედეგად, მუჰამადი სათავეში ჩაუდგა მუსლიმურ თემს და გახდა უზენაესი მოსამართლე, პოლიტიკური მმართველი და მთავარსარდალი. მან გააერთიანა მედინის არაბული ტომები. რადგანაც თემს არ ჰქონდა საკმარისი მატერიალური რესურსი, მათ ქარავნების ძარცვა დაიწყეს. ურწმუნოებთან დაპირისპირება ხდებოდა ალაჰის სახელით, შესაბამისად, დაიწყო საღვთო ომი (ჯიჰადი). მუსლიმებს სურდათ იმ სატრანზიტო ვაჭრობის მოსპობა, რომელსაც მექა ეყრდნობოდა (1, გვ. 30). მუჰამადისაზრით, ასეთი ქმედება გამართლებული იყო, ვინაიდან კურაიშელები წლების განმავლობაში სასტიკად დევნიდნენ და ქონებას ართმევდნენ მუსლიმებს.თავის მხრივ, ასეთი დარბევები დიდ ზიანს აყენებდა მექელთა სიმდიდრესა და სტატუსს.

624 წლის დასაწყისში მუჰამადმა მზვერავებისგან შეიტყო, რომ მექელთა დიდი სავაჭრო ქარავანი მიემართებოდა სირიაში აბუ სუფიანის, მისი მოსისხლე მტრის მეთაურობით. მუსლიმებმა შეკრიბეს 313 კაციანი არმია და გადაინაცვლეს ბადრის ვიწრო ხეობაში მექელების გასაძარცვავად. თუმცა აბუ სუფიანმა შეიტყო მუსლიმთა გეგმის შესახებ, ამიტომ მთავარი გზიდან გადაუხვია და გაემართა წითელი ზღვის სანაპირო მარშრუტით.სავაჭრო ოპერაციების განხროციელების შემდეგ მექელები სამხრეთისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. მუსლიმმა

მზვერავებმაგაარკვიეს, რომ ქარავანი დატვირთული იყო 50 ათასამდეოქროს დინარის სიმდიდრით, ამიტომ ისევ ჩასაფრდნენ არაბეთი-სირიის მთავარი გზის გასწვრივ. აბუ სუფიანმა ამჯერადაცაარიდა საფრთხეს თავი დაუცნობ გზას დაადგა. ავლადიდებას მხოლოდ 40-მდე შეიარაღებული ადამიანი იცავდა, რაც არ იყო საკმარისი. ამიტომ აბუ სუფიანმა სასწრაფოდ გაგზავნა დამდამ ბინ ამრ ალ-გიფარიმექაში დახმარების სათხოვნელად (3, გვ. 132). როცა ეს უკანასკნელი მექაში ჩავიდა, ქააბას წინ მოაჭრა აქლემს ცხვირი და ყურები, შემოიხია პერანგი და ყვირილით ითხოვდა შველას. ეს ამბავი მალე მოედო მექას. კურაიშელმა ლიდერებმა სასწრაფოდ შეკრიბეს 1300-მდე მეომარი (მათგან 100 ცხენოსანი იყო, 170 შეიარაღებული მეომარი კი აქლემებზე ისხდა), რადგან მათ უმეტესობას წილი ჰქონდა ქარავანში (2) და დაადგნენ სალაშქროდ გზას.

მოციქული მიხვდა, რომ ქარავანმა ისევ აარიდა მუსლიმებს თავი. აბუ-სუფიანმაც გაგზავნა შიკრიკი, რათა მექელებისთვის შეეტყობინებინა ქარავნის უსაფრთხოდ ყოფნის ამბავი. მექის არმია დამშვიდდა და უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ამრ იბნ ჰიშამმა, იგივე აბუ-ჯაჰლმა (მუჰამადმა შეარქვა ასე და ნიშნავს „უვიცობის მამას“ (1, გვ.30)), ერთ-ერთმა გამოჩენილმა კურაიშელმა მეთაურმა, დაბრუნებაზე უარი თქვა, რადგან უკან დახევა მექელთა სტატუსის შერყევის ტოლფასი იყო. იგი იმასაც ამტკიცებდა, რომ მუჰამადის 300 მეომარი 1300 კაცს ვერ გაუმკლავდებოდა. უმეტესობა დათანხმდა, გარდა ბანუ ზაჰრისა, რომელიც დაბრუნდა მექაში 300-მდე მეომართან ერთად (3, გვ. 133). შესაბამისად, მხოლოდ 1000 კურაიშელმა გააგრძელა გზა.

ამასობაში, მუსლიმთა არმია დაბანაკდა ბადრის ხეობაში, სამხრეთისკენ მიმავალი მთავარი გზის გასწვრივ. ამ დროს მზვერავმა მოიტანა ცნობა იმის შესახებ, რომ მექელებიც უახლოვდებოდნენ ბადრს. სისხლიანი დაპირისპირება ამ ორ არმიას შორის გარდაუვალი იქნებოდა,ამიტომ აუცილებელი იყო გარკვეული ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისლამს საფრთხე ემუქრებოდა. ასეთი ვითარების გამო, მუჰამადმა გამართა მრჩეველთა გადაუდებელი სამხედრო შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ კრებაზემოციქულთან ერთად იყვნენ მუჰამადის ბიძა, ჰამზა და ასევე მომავალი ხალიფები: აბუ ბაქრი, უმარი და ალი. მათ იმსჯელეს და პირობა დადეს, რომ ისლამისთვის გაწირავდნენ სიცოცხლეს.

საღამოს ძლიერი წვიმა წამოვიდა, ამიტომ მექელები შეჩერდნენ ალ-აქანქალის მთასთან, ბადრის მახლობლად (4), შემდეგ კი დაბანაკდნენ ქვიშის დიუნის იქით. მუჰამადმა და აბუ ბაქრმა დაზვერეს მტრის ბანაკის ადგილმდებარეობა.ამის შესახებ ინფორმაცია მათ შედარებით უკეთ გაიგეს ერთი მოხუცი ბედუინისგან. იმავე დღის საღამოს, მოციქულმა გაგზავნა სამი მუჰაჯირი მტრისდასაზვერად.მათ დაინახეს წყლის მატარებელიორი კაცი, რომელიც მუშაობდაკურაიშელებისთვის. მათი საშუალებით მუსლიმებმა უფრო მეტი რამ გაიგეს მტრის შესახებ(3, გვ. 135).

ჯარების განლაგება

ალ-ჰუბაბ იბნ ალ-მუნდირმა მუჰამადს ურჩია, რომ დაეკავებინათ ბადრის დაბლობზე წყლის ჭები. ამ სვლით მტერს წყლის მარაგი აღარ ექნებოდა. მოციქულს მოეწონა მისი აზრი და ეს საქმე შუაღამით განახორციელეს. ასეთი ნაბიჯით მუჰამადმა შეაფერხა მოწინააღმდეგეები, ვინაიდან წყლის გარეშე მცხუნვარე მზის ქვეშ ბრძოლა მტერს გაუჭირდებოდა. ამასთან, მოციქულმა დასაბანაკებელი ადგილიც სწორად შეარჩია, შემაღლებული ადგილიდან მას შეეძლო მტერზე დაკვირვება. წვიმასაც არ შეუშლია მუსლიმებისთვის ხელი, რადგან შემაღლებული ადგილი მალევე გაშრა. იგი პრობლემური აღმოჩნდა მექელებისთვის, რადგან მათი პოზიციის ადგილი სველი იყო და ტალახიანი(2).

მუჰამადი მთელი ეს პერიოდი ლოცულობდა, იგი ალაჰს სთხოვდა დახმარებას, რომელმაც ხელშეწყობის პირობა აღუთქვა კიდეც(3).

624 წლის 17 მარტს (5, გვ.27)დაიწყო მოწინააღმდეგეთა არმიების განლაგება საბრძოლველად. მუსლიმთა არმია შედგებოდა დაახლოებით 313-317 მეომრისგან.მოციქულმა ისინი განალაგა სამ ხაზად ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილის გასწვრივ. მისი



მუჰამადი ბადრის ბრძოლაში, XIV

მეომრებიძირითადად ქვეითები იყვნენ, მხოლოდ ორი ცხენი და 70 აქლემი ჰყავდათ (2). ერთ აქლემზე ორი-სამი კაცი ისხდა. აზ-ზუბაირ იბნ ალ-ავანი დაინიშმა მარჯვენაფლანგის ხელმძღვანელად, ხოლო ალ-მიქდადი - მარცხენასი. არიერგარდს მეთაურობდა ყაის იბნ სა'დი. გენერალური მთავარსარდალი იყო თავად მუჰამადი. მუსლიმთა არმიაში იყვნენ: მუჰაჯირები (82-85), ანსარები (231), აუსიტები (61), ხაზრაჯიტები (170). ჰიშამს ჰყავდა დაახლოებით950-1000 მეომარი. მექელებმა არმია განალაგეს ალ-უდვატულ ქუსვას გასწვრივ, მუსლიმთა ხაზების მოპირდაპირედ. უმაირ იბნ ვაჰბმა დაზვერა მუსლიმები და თქვა, რომ მცირე რაოდენობის მტერს არ ჰქონდა რაიმე სახის გამაგრება ან ჩასაფრება, რაც იმას ნიშნავდა, რომ მუსლიმები დანებებას არ აპირებდნენ. ამ მოხსენებამ და ორ მოპირდაპირე მხარეს შორის ნათესაურმა კავშირებმა, გარკვეულწილად, შეასუსტა კურაიშელთა საბრძოლო სურვილი.მაგრამ ჰიშამმა მათგაახსენა მუსლიმთა მიერ გაძარცვული და დახოცილი მექელები, რის შედეგადაც ოპოზიცია დათრგუნა. აბუ ჯაჰლი დარწმუნებული იყო, რომ კურაიშელთა რაოდენობა, აღჭურვილობა და გამოცდილება მათ გამარჯვებას მოუტანდა (3, გვ. 136).

მცირე საბრძოლო მოქმედებები დაიწყო მაშინ, როცა მექის რიგებიდან გამოვიდა მეომარი ალ-ასვად იბნ აბდ ალ-ასად ალ-ხაზუმი და დაიფიცა, რომ ის დალევდა წყალს მუსლიმთა ბანაკის მახლობლად მდებარე ჭიდან ან მოკვდებოდა. გამოწვევა მიიღო ჰამზამ, მუჰამადის ბიძამ, რომელმაც დუელში გაიმარჯვა კიდეც (3, გვ. 137).

ფაქტობრივად, ბრძოლა დაიწყო. კურაიშელები განრისხდნენ და ახლა სამი შეიარაღებული მექელი მეომარი გავიდა საბრძოლველად: უტბა იბნ რაბია, მისი ძმა შაიბა და ვაჟი ალ-ვალიდ იბნ უტბა. მათ წინააღმდეგ მუსლიმთა რიგებიდან გამოვიდნენ ანსარები, ავფი და მუვადი, და ასევე აბდულა იბნ რავაჰა (3, გვ. 137). მაგრამ მექელებს მათთან შებრძოლება არ

სურდათ, მათ უნდოდათ მუჰაჯირთა თავები. ამიტომ მუსლიმთა მხრიდან გამოვიდნენ მუჰამადის ბიძაშვილები ალი და უბაიდ იბნ ალ-ჰარისი, ასევე ჰამზა (3, გვ. 137). ალიმ პირველივე დარტყმით მოკლა ალ-ვალიდი, ჰამზამაც მოკლა შაიბა. დუელში უბაიდა სასიკვდილოდ დაიჭრა, მტერმა მას მუხლი მოჰკვეთა. სანამ უტბა საბოლოო დარტყმით მოუღებდა ბოლოს, ჰამზა უბაიდას დასახმარებლად მივიდა და უტბა მოკლა. ამის შემდეგ ალიმ და ჰამზამ უბაიდა ბრძოლის ველიდან გაიყვანეს, მაგრამ მიღებული ჭრილობისგან იგი ოთხი ან ხუთი დღის შემდეგ გარდაიცვალა (2).

დუელებში მექელებმა სისუსტე გამოიჩინეს და დაკარგეს მნიშვნელოვანი ადამიანები, რაზეც ჰიშამი განრისხდა და გადაწყვიტა, რომ კურაიშელთა სიძლიერე გამოეხატა რაოდენობრივი უპირატესობით და შეტევაზე გადავიდა (3, გვ. 137). პირველმა მუსლიმურმა ხაზმა შექმნა ფალანგის მსგავსი ფორმაცია. მექელთა პირველი შეტევა იყო ყველაზე სასტიკი. კურაიშელთა კავალერიამ სცადა ფლანგების გარღვევა, მაგრამ მუსლიმებმა მოახერხეს შემოტევის მოგერიება, მით უმეტეს, რომ მოციქულმა დამხმარე ძალები გაგზავნა ფლანგებზე გარღვევისგან თავის ასაცილებლად. ასეთ ვითარებაში დაღლილობამ იმატა და დროებით შეტევა შეჩერდა. ჰიშამმა მეორედ ბრძანა თავდასხმაზე გადასვლა. მუსლიმებმა ისევ გაუძლეს შეტევას და მექელები კვლავ დაიქანცნენ. ბრძოლის დროებითმა შეჩერებამ მექელებს გადაჯგუფების საშუალება მისცა, ხოლო მუსლიმებმა მეორე და მესამე ხაზებიდანჯარები გადაიყვანეს წინა ხაზში, რათა დახოცილი მეომრები ჩაენაცვლებინათ. კურაიშელები მესამედ გადავიდნენ შეტევაზე. თავდაცვით პოზიციაზე მდგარმა მუსლიმებმა კვლავ შეაკავეს მტერი. მიუხედავად იმისა, რომ მექელებს ჰყავდათ კავალერია და უკეთესი შეიარაღებული ძალაც ჰქონდათ, მათ მაინც უკან დაიხიეს (2). ამ დროს მუჰამადმა მუჭით აიღო ქვიშა და გაფანტა მტრის მხარეს. ამოვარდა ქარიშხალი და მოწინააღმდეგეებს

ანგელოზები ეხმარებიან მუჰამადს ბადრის ბრძოლაში, XIV საუკუნის

თვალთახედვა დაუბინდა. მხოლოდ ამის შემდეგ გასცა მუჰამადმა კონტრშეტევის ბრძანება.ყურანის მიხედვით, ანგელოზებიცგამოჩნდნენ, რასაც ადასტურებს ჰადისის ჩანაწერებიც. მუსლიმებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს ბრძოლაში. მექელებმა მალე უკან დაიხიეს, მუსლიმები კი ხოცავდნენ და ატყვევებდნენ მტერს. ბრძოლაში აბუ ჯაჰლი სასიკვდილოდ დაიჭრა. ყურანის მიხედვით, აბდ ალ-რაჰმანმა გადმოსცა ამბავი, რომლის მიხედვითაც საბრძოლო მსვლელობისას მან დაინახამისკენ მიმავალი ორი გამოუცდელი ახალგაზრდა. მათ ალ-რაჰმანს სთხოვეს ეჩვენებინა, თუ რომელი იყო ჰიშამი. მას შემდეგ, რაც მეომარმა მათ სამიზნე უჩვენა, ისინი გაემართნენ აბუ ჯაჰლთან დამას სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს. შემდეგ ორივე მათგანი მუჰამადთან მივიდა და ამ ამბის შესახებ მოახსენა. მოციქულს სურდა მოსისხლე მტრის ნახვა, ამიტომ მან გაგზავნა აბდალა იბნ მასუდი მის მოსაძებნად. ჰიშამი სიკვდილის პირას იყო მისული, მაგრამ თავს დამარცხებულად არ თვლიდა და აბდალა შეურაცხყო, რის გამოც აბდალამ მას თავი მოჰკვეთა და მიუტანა მოციქულს. მუჰამადმა შეხედა წარმართი მტრის თავს და თქვა: „ეს არის ამ ერის ფარაონი“ (3, გვ, 140).

დამარცხებული კურაიშელები მექაში სამწუხარო ამბის ცნობით დაბრუნდნენ. ისტორიკოს იბნ იშაქის მიხედვით, ტრაგედიის პირველი მაცნე მექაში იყო ალ-ჰეისამან იბნ აბდულა ალ-ხუზაი. ხალხმა მას თავდაპირველად არ დაუჯერა, მაგრამ მალე დადასტურდა მისი ნათქვამი. მექა გოდებამ მოიცვა. რაც შეეხება მედინას, აქ ებრაელები და სხვა თვალთმაქცები ავრცელებდნენ მცდარ ინფორმაციას, თითქოს მუჰამადი მოკლეს და მექელებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ორმა მუსლიმმა მაცნემ მოიტანა სასიხარულო ამბავი (3, გვ. 142-143).

ბადრის ბრძოლა, რომელიც მედინიდან 150 კილომეტრის მანძილზე მოხდა, სასტიკი აღმოჩნდა. მექელთა მხრიდან დანაკარგი უფრო მეტი იყო, დაიღუპა 70 ადამიანი (მათ შორის 24 ლიდერი), იმავე რაოდენობის კაცი კი ტყვედ ჩავარდა. მუსლიმებმა მხოლოდ 14 მეომარი დაკარგეს (3, გვ. 141). ბრძოლა რამდენიმე საათი გაგრძელდა და შუადღეს დასრულდა (4). ეს იყო მუსლიმთა პირველი დიდი გამარჯვება, რომელმაც მექას რელიგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს დიდი დარტყმა მიაყენა. ბრძოლამ განამტკიცა ისლამი და მას ფართო გასაქანი

მისცა. 624 წლის 17 მარტი ისლამის ისტორიაში შევიდა, როგორც ფურკან - ჭეშმარიტი და ყალბი რწმენის განსხვავების დღე (5, გვ. 28).ბადრთან გამარჯვებამ მუჰამადს დიდი ავტორიტეტი და ნადავლი მოუტანა, მუსლიმურ არაბეთს კი - წინსვლა. სწორედ ამ მოვლენის შემდეგ შემოიღეს ნადავლის განაწილების წესი, რომელსაც მიეძღვნა ყურანის მე-8 სურა. ცნობილია, რომ მუჰამადს შეხვდა ისლამამდელი არაბეთის ერთ-ერთი ძვირფასი ნივთი - ორდანიანი ხმალი ზუ ლ-ფაკარ, რომელიც შემდეგში გადაეცა ჯერ აბასიანთა, ხოლო შემდეგ ფატიმიანთა დინასტიას (5, გვ.28).ბადრთან ბრძოლა საფუძვლად დაედო ოთხ წლიან დაპირისპირებას და შემდეგში დასრულდა ათ წლიანი ზავით, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მუსლიმები სავაჭრო ქარავნებს აღარ გაძარცვავდნენ მექაში პილიგრიმობის ნაცვლად.

არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა (711-756)

რატი რამიშვილი

დასაწყისშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაბული სახალიფოს მიერ VIII საუკუნის დასაწყისში პირენეის ნ.კ-ის დაპყრობა უმნიშვნელოვანესი ფურცელია ესპანეთის ისტორიაში. ამ მოვლენისგან წარმომდგარი შედეგები VIII-XV საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და ის წარმოადგენს ესპანელი ხალხის ბრძოლას მუსლიმი დამპყრობლების წინააღმდეგ წართმეული მიწების დაბრუნებისათვის (რეკონკისტა), რომელიც ცალკე, დიდი საკითხი გახლავთ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატიაში გადმოცემული ინფორმაციის მიზანი არ გახლავთ პირენეის ნ.კ-ის დაპყრობის, როგორც განცალკევებული მოვლენის ისე წარმოჩენა. იგი გახლავთ ნაწილი იმ უდიდესი ისტორიული ეტაპისა,

რომელსაც ისლამური (არაბული) სახალიფოს შექმნას (632 წელი) და მის ფაქტობრივ დომინაციას ვუწოდებთ. მთელი VII-IX საუკუნეების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოხდა არაბეთის ნ.კ-ზე, ახლო აღმოსავლეთში, შუა აზიაში, სამხრეთ კავკასიაში, ხვარაზმსა და ხორეზმში, სინდში (დღევანდელი პაკისტანი), ეგვიპტეში, იფრიკიაში, მაღრიბსა და აწხსენებულ პირენეის ნ.კ-ზე, რაც გამოიხატა ამ უზარმაზარ ტერიტორიათა ერთ სახელმწიფოში - სახალიფოში გაერთიანებაში.

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ არაბებისა და ბერბერების ვესტგოთთა სახელმწიფოში შეჭრაზე, მანამდე, ჯეროვანია მოკლედ მიმოვიხილოთ და მივყვეთ არაბთა ტერიტორიული ექსპანიის ქრონოლოგიას.

მუჰამადის - ისლამის ფუძემდებლის გარდაცვალების შემდეგ (632) სახალიფოს სათავეში მოდიან ე.წ ,,მართლმორწმუნე ხალიფები“: აბუ ბაქრი (632-634), ‘უმარ იბნ ალ ხატტაბი (634-644), უსმანი (644-656) და ‘ალი იბნ აბი ტალიბი (656-661). ,,არაბთა ექსპანსია სწორედ ამ პერიოდში იწყება და ძლევამოსილად გრძელდება უმაიანთა (661-750) აღზევების შემდგომ, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით - პირენეის მიმართულებით.“ (ტიკაძე მ. ,,არაბთა ისტორია“, 2008, გვ. 50). 633-636 წლებში სარდალმა ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა სახალიფოს შემოუერთა სირია, პალესტინა და ლიბანის ტერიტორიები. პარალელურად, მეორე ცნობილმა მხედართმთავარმა სა’ად იბნ აბი ვაკკასმა დაიპყრო ჯერ ერაყი, ხოლო მოგვიანებით მთელი სასანიდური ირანის ტერიტორიის შემოერთება მოხდა (651). ფაქტობრივად, დასრულდა ახლო აღმოსავლეთის დაპყრობა. დასავლეთით 639-642 წლებში ბიზანტიელებს წაართვეს ეგვიპტე ‘ამრ იბნ ალ-‘ასასის თაოსნობით. 50-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში იჭრება ჰაბიბ იბნ მასლამა, წარმატებით იბრძვის ავღანეთისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე ქუთაიბა იბნ მუსლიმი (იხ. Kennedy Hugh, “The prophet and age of the caliphates”: 2004; გვ. 104). 711-712 წლებში მუჰამმად ბინ კასიმი წარმატებით უტევს სინდს. 705-710 წლებში ჩრდ. აფრიკის ტერიტორიაზე მხედართმთავარ მუსა იბნ ნუსაირის ექსპედიციებს მოჰყვა მაღრიბის (დღევანდელი მაროკო, ალჟირი, ტუნისი) არაბიზაცია და ისლამიზაცია.

აღსაღნიშნავია, რომ ამ პერიოდში (661 წლიდან) უკვე განაგებენ უმაიანები სახალიფოს და უმაიანთა ხალიფა ალ-ვალიდ პირველის დროს (705-715) სახალიფომ უშორესი

ტერიტორიები დაიკავა დასავლეთით. (იხ. Kennedy Hugh, “The prophet and age of the caliphates”: 2004; გვ. 104). ჩრდ. აფრიკაში მყოფი ბერბერული ტომები არაბებს დაემორჩილნენ. ,,ამგვარად, არაბები უშუალოდ პირენეის ნახევარკუნძულს გაუმეზობლდნენ და მისი დაპყრობისთის მზადება დაიწყეს.“ (ავტორთა კოლეგია, ,,შუა საუკუნეების ისტორია“: 2004; გვ. 135).

ბუნებრივია, უნდა მივადევნოთ თვალი, რა მდგომარეობაში ხვდება ესპანეთის ტერიტორია ახალ დამპყრობლებს. პარალელურად, სახალიფოს შთამბეჭდავი წარმატებების ფონზე, ვესტგოთთა სამეფო შინაგანად ლპებოდა. მას უკვე VII საუკუნის დასაწყისში დაკარგული ჰქონდა ძლიერება და, როგორც გამოჩნდება, ანგარიშგასაწევი ძალის სტატუსიც. არაბთაგან წოდებული ,,ალ-ანდალუსიის ტერიტორია მოიცავდა რამდენიმე გაერთიანებას: პორტუგალია, გალისია, კასტილია, ასტურია, ლეონი, ნავარა, არაგონი და ლანგედოკი-რუსოლინის (დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორია).“ (იხ. O’ callaghon, Joseph F.: “A history of medieval spain“: 1983; გვ. 142). ფაქტობრივად, 507 წლის ვუეიეს ბრძოლის შემდეგ ვესტგოთები დასუსტდნენ და სამხრეთ გალიიდან ამოიკვეთეს ფეხი ხლოდვიგ I-თან ბრძოლით.

710 წელს ვესტგოთების მეფე ვიტიცა გახდა სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი, რის შედეგადაც ხელისუფლების სათავეში ბეტიკას ყოფილი ჰერცოგი, როდერიხი აღმოჩნდა და ქვეყანა, ფაქტობრივად, ორ დაპირისპირებულ ბანაკად დაიყო. (იხ. მაჭარიშვილი ლ., კორკოტაძე ც., სტატიიდან: ,,არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა; გვ. 2). როდერიხის ძალაუფლებას მხოლოდ სამხრეთის ძლიერი ფეოდალები და სასულიერო დასი აღიარებდა, ჩრდილოეთში კი როდერიხის მოწინააღმდეგე არისტოკრატთა ფრთამ ვიტიცას შვილი, აგილი გაამეფა. ცხადი და მარტივი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში ხვდება ვესტგოთთა სამეფო ძლევამოსილი დაპყრობებით გათამამებულ არაბებს, რომელთა სახალიფომ ორი დიდი იმპერია - ბიზანტია და სასანიანთა ირანი დაამარცხა და ახლა გიბრალტარის სრუტით უახლოვდება პირენეის მცხოვრებლებს.

პირველი ლაშქრობა ატარებდა დაზვერვით ხასიათს. ,,უკვე 709 წლისთვის არაბებმა გადალახეს გიბრალტარის სრუტე და ვესტგოთთა კუთვნილი ტერიტორიები მოარბიეს.“

(იხ. ავტორთა კოლექტივი; ,,შუა საუკუნეების ისტორია“: 2004; გვ. 135). უკვე 711 წელს კი უშუალოდ მუსა იბნ ნუსაირის, აფრიკის (იფრიკიის) ვალის ბრძანებით არაბებმა და გამუსლიმებულმა ბერბერებმა კვლავ გადალახეს გიბრალტარი 7000 კაცით, ბერბერი სარდლის - ტარიკ იბნ ზიიადის მეთაურობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ისლამი ჯერ კიდევ უცნობი იყო ესპანეთის მკვიდრთათვის და აღიქმებოდა, როგორც ქრისტიანობის ერეტიკული მიმდინარეობა და უფრო ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე ვესტგოთების არაპოპულარული ხელმძღვანელობა. (იხ. ტიკაძე მ. ,,არაბთა ისტორია“, 2008; გვ. 54). საფიქრებელია, რომ ეს ფაქტიც, სხვა მრავალ ზემოაღნიშნულ მიზეზთან ერთად, გახდა მიზეზი, რის გამოც მუსლიმებს საკუთრივ მოსახლეობისაგან არ შეხვედრიათ განსაკუთრებული წინააღმდეგობა და ესპანეთის ტერიტორიების წარმატებით დამორჩილება ამიტომ მიმდინარეობდა შემდეგში.

არაბებმა ვესტგოთების ტერიტორიაზე პირველი ძლიერი პლაცდარმი შექმნეს მაღლობთან, რომელსაც ეწოდა ,,ჯაბალ ატ-ტარიკ“, ანუ ,,ტარიკის მთა“ (აქედან მომდინარეობს ,,გიბრალტარი“). საგონებელში ჩავარდნილმა პამპლონაში მყოფმა როდერიხმა ვერ შეძლო შესაბამისი მობილიზაცია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს ებრძვის ის ბასკებს ჩრდილოეთში. (იხ. Collins Roger, “The Basques”: 1986; გვ. 97).

პირველი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა არაბებსა და ვესტგოთებს შორის შედგა 711 წელს, ზოგი წყარო გვაწვდის ინფორმაციას, რომ ბრძოლა დაიწყო 19 ივნისს რიო ბარბატიდან რიო გვადალატემდე განვრცობილ ვაკეში. (იხ. Lewis David, “God’s crucible: Islam and the making of Europe 570-1215“: 2005). თუმცა, ტრადიციულად, ბრძოლას ვიხსენიებთ, როგორც გვადალეტეს ბრძოლას, რომელიც დაიწყო 25 ივლისს.

ისტორიკოსები განსხვავებულ რიცხვებს გვთავაზობენ როდერიხისა და ტარიკის მეომრების რაოდენობის შესახებ. მუსლიმი ისტორიკოსი იბნ ხალდუნი ასახელებს 40000-ს ვესტგოთ მეომარს. (იხ. Ibn Khaldun, “The Muqaddimah”, introduction to history, 2015). სხვა მუსლიმი ისტორიკოსები ასახელებენ 60000-90000 ვესტგოთ ჯარისკაცს, მათ მიიჩნევენ უშუალოდ ბასკეთიდან დაბრუნებისას გზაში შეკრებილს.

რაც შეეხება ტარიკის ჯარს, ეჭვგარეშეა, რომ ისინი მცირერიცხოვანნი იყვნენ, მათი რიცხვი მერყეობს 12000-15000-ის ფარგლებში, რომელთაგან 7000 იყო ბერბერი ცხენოსანი, ხოლო 5000 მუსა იბნ ნუსაირის გამოგზავნილი. მიუხედავად, რიცხობრივი უპირატესობისა, ეს ვერ გამოიყენეს ვესტგოთებმა და სასტიკად დამარცხდნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამარცხება არ ყოფილა მხოლოდ ცუდად დაგეგმილი სტრატეგიისა და მოუმზადებლობის ბრალი.

დევიდ ლევისი მიიჩნევს, რომ მეფისადმი მტრულად განწყობილი საკავალერიო ფრთა განზე გადგა და მტერს გზა გაუხსნა ქვეითებისაკენ. ტარიკის კავალერია, ე.წ Mujaffa, რომელიც წარმოადგენდაა მთელი არმიის ნახევარს ან მესამედს, შეიჭრა ვესტგოთთა ინფანტერიის ნაწილებში, მას მოჰყვა მუსლიმი ქვეითები და უსწრაფესად გადათელეს მოწინააღმდეგეები. დაიღუპა მეფე როდერიხიც, ,,არსებობს ვერსია, რომ ტარიკ იბნ ზიადმა საკუთარი ხელით მოკლა მეფე. (იხ. მაჭარაშვილი ლ. ,,არაბების მიერ პირენეის ნახევარკუნძულის დაპყრობა“, გვ. 4). ვესტგოთებმა დაკარგეს არმიის უმრავლესობა და გაიფანტნენ, იმ ფონზე, როცა მხოლოდ 3000-მდე კაცი დაკარგეს მუსლიმებმა. (იხ. Lewis David, “God’s crucible: Islam and the making of Europe 570-1215”, 2008; გვ. 123-124).

ძველი არაბი ისტორიკოსები ამ ბრძოლას ,,ისლამის გამარჯვებად“ სახავენ და აყენებენ ისეთი დიდი გამარჯვებების გვერდით, როგორიცაა იარმუქისა და კადისიის ბრძოლები (636 წელი), როგორც ,,ურწუნოთა“ წინააღმდეგ მოპოვებული. რეალურად, ეს ნამდვილად დიდებული გამარჯვება იყო მუსლიმებისა დას. ევროპაში მოპოვებული. ფაქტობრივად, ამის შემდეგ არაბებსა და ბერბერებს გზა გაეხსნათ ქვეყნის სიღრმეებისკენ. უპრობლემოდ იქნა აღებული ტოლედო და კორდოვა. უკვე მომდევნო

წლის ზაფხულისთვის ესპანეთში გადავიდა მუსლიმთა (არაბთა) დიდი ჯარი მაღრიბის გამგებლის - მუსა იბნ ნუსაირის მეთაურობით, 713 წელს ის შეუერთდა ატ-ტარიკს და 714 წლისთვის ესპანეთის დამპყრობი ორივე სარდალი გაწვეულ იქნა დამასკოში. (იხ. ავტორთა კოლეგია, ,,შუა საუკუნეების ისტორია“, გვ. 54).

ნახევარკუნძულის დაპყრობილ ტერიტორიაზე მთელი ძალაუფლება გადაეცა მუსა იბნ ნუსაირის შვილს - ‘აბდ ალ-‘აზიზს, რომელმაც სევილია გამოაცხადა ანდალუსიის დედაქალაქად. ასევე გავრცელდა ექსპანსია დღევანდელი პორტუგალიისა და პირენეის

ჩრდ. დასავლეთ და დარჩენილ სამხრეთ რეგიონებში. (იხ. Provencal Levi… “Encyclopedia of Islam” vol. 1; 1998; გვ. 58). მურსიის ტერიტორიაზე ‘აბდ ალ-‘აზიზი წააწყდა მედგარ წინააღმდეგობას გრაფ ტეოდომიროს მხრიდან, ორივე მხარეს აწყობდა შეთანხმება. შეთანხმების თანახმად, ტეოდომიროს სამფლობელო ცხადდებოდა დამოუკიდებლად, ქრისტიანებს რელიგიური თავისუფლება შეუნარჩუნდათ, იხდიდნენ მხოლოდ მცირე გადასახადს.

ხალიფას მთელი რიგი პირადული მიზეზებისა და ნაწილობრივ მუსლიმი მოსახლეობის უკმაყოფილების გამო, ხალიფა სულაიმანმა (715-717) მოაკვლევინა ‘აბდ ალ-‘აზიზ იბნ მუსა იბნ ნუსაირი ზიად იბნ ‘უზრა ალ-ბალავს. მას თავი მოჰკვეთეს და დამასკოში გაუგზავნეს ხალიფას, იქ, სადაც იმყოფებოდა მამამისი მუსა იბნ ნუსაირი. (იხილეთ ვრცლად: Hitti p. , “History of the arabs from the earliest times to the present” 2002; გვ. 503).
ალ-ანდალუსიის გამგებელი შემდგომში ხდება ალ-ჰურ იბნ ‘აბდ არ-რაჰმან ათ-თაკაფი (716-718). მასზე განსაკუთრებით უნდა შევაჩეროთ ყურადღება, რადგან მის დროს მოხდა სწორედ კოვადონგას ბრძოლა (718), რომელიც ითვლება რეკონკისტას დასაწყისად. ასევე ის იყო პირველი გამგებელი, რომელიც შეიჭრა სეპტიმანიაში და ალ- ანდალუსიის დედაქალაქი გადაიტანა კორდოვაში. ფაქტობრივად, მან დაიპყრო პირენეი, გარდა ბასკური ქედებისა და ასტურიისა, სადაც ქრისტიანები იყვნენ გამაგრებულნი. (იხ. Hitti p. “History of the arabs from the earliest times to the present”: 2002.

718 (ან 722) წელს ასტურიის პირველმა მეფემ პელაიომ უმაიანთა ორი სარდლის ალ-კამისა და მუნუზას ჯარები დაამარცხა. ალ-კამი ასტურიის მთებში დაიღუპა პელაიოს მეომრების შეტევის შედეგად, ხოლო მისი გაქცეული ჯარისკაცები იმედმიცემულმა ასტურიელმა სოფლელებმა დახოცეს და მოჰკიდეს იარაღს ხელი. ამჯერად მუნუზა გამოემართა და კოვანდოგასთან შეხვდა პელაიოს განახლებულ ჯარს, ასტურიელებმა მძლავრი შეტევით გააქციეს მომხდურები და ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს. მართალია, ეს ბრძოლა ნახევარკუნძულის პატარა ნაგლეჯის ბედს წყვეტდა, მაგრამ,
შეიძლება ითქვას, ეს იყო ფსიქოლოგიური მომენტი. ფაქტობრივად, 711 წლის შემოჭრის შემდეგ ბრძოლაში აქამდე წარმატებისთვის არ მიუღწევიათ პირენეის მცხოვრებლებს.

ალ-ჰური აგრძელებდა პირენეის ჩრდილოეთით გადაადგილებას, მაგრამ 719 წელს ახალი ხალიფა უმარ მეორის (717-720) ბრძანებით გამგებლად დაინიშნა ას-სამჰ იბნ მალიქ ალ-ხავლანი (719-721). ალ-ხავლანმა გააგრძელა წინამორბედის ექსპანსია, სწრაფად დაიკავა ბარსელონა და ალყა შემოარტყა ნარბონს (720). დაიპყრო სეპტიმანიის ვესტგოთური ნაწილი და აიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი. (იხ. Lewis David, "God's crucible: Islam and the making of Europe 570-1215": 2008; გვ. 56). ამ მოქმედებებით მან დიდად შეავიწროვა ესპანელები და გადავიდა ნახევარკუნძულის გარე ტერიტორიებზე - ფრანკების ტერიტორიაზე. ალ-ანდალუსიის ვალიმ მოახდინა კონსოლიდაცია უმაიანთა ჯარებისა, რომელიც დისლოცირებული იყო ვესტგოთების ტერიტორიაზე და შეიჭრა აკვიტანიაში, დღევანდელი სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთის ტერიტორიაზე. ალ-ხავლანის მიზანი იყო აეღო ტულუზა და ამით შეექმნა ძლიერი პლაცდარმი, რომელიც გააკონტროლებდა ესპანეთის ჩრდილოეთ ნაწილს და დააზღვევდა ფრანკების იერიშებისაგან. (იხ. Meadows Lan, "The arabs in occitania, arab and Islamic culture and communications".) ქალაქის ალყის მომენტში გრაფი ოდო აკვიტანელი არ იმყოფებოდა ადგილზე, ის ძალების შესაკრებლად იყო წასული. უეჭველად, დაეცემოდა ტულუზა, რომ არა ოდოს გასკონელი და ფრანკი მეომრების გამოჩენა, მათ 721 წლის 9 ივნისს შეუტიეს შემოჭრილ არაბებს. ახლა უკვე ქალაქის კედლიდან და უკნიდან უტევდნენ უმაიანებს, მოულოდნელობის ეფექტმა და პირველმა მძლავრმა შეტევამ არია ალ-ხავლანის ჯარი, იგი ცდილობდა გარიდებოდა ბრძოლის ველს, მაგრამ მოკლულ იქნა, ამან საბოლოოდ მოშალა არაბების ჯარი და დამარცხებამდე მიიყვანა. ბრძოლის მონაწილე მხარეთა რიცხოვნობა მეტად გაზვიადებულია მემატიანეებთან. მაგალითად, ალ-მაკკარი გადმოგვცემს, რომ ოდოს მხარეს იბრძოდა 300000 მეომარი, ხოლო ხავლანის მხარეს 370000. (იხ. Meadows Lan, "The arabs in occitania, arab and Islamic culture and communications"). საერთოდ, მსგავსი გაზვიადება სჩვევიათ შუა საუკუნეების ისტორიკოსებს. ასეა თუ ისე, ეს ბრძოლა იმდენად წარუმატებელი იყო არაბებისთვის, რომ უკან დახევა მოუხდათ პირენეისკენ.

ალ-ხავლანის სიკვდილის შემდეგ, ანდალუსიის გამგებლად ინიშნება (ვალი) ანბასა იბნ სუჰაიმ ალ-კალბი (721-726). მან არჩევიდან მალევე გაუორმაგა ქრისტიანებს გადასახადი და

განიმტკიცა პოზიციებ პირენეიზე. (იხ. Collins Roger, “The Arab conquest of spain 710-797: 1989, გვ. 82). მის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ანტიუმაიანთა მოძრაობები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ფაქტობრივად, ალ-ჰურის შემდეგ (718) ძირითადი ტერიტორიები ესპანეთისა, გარდა უკიდურესი ჩრდილოეთისა, დაპყრობილია და ნაკლები ყურადღებით ეკიდებიან მუსლიმები ადგილობრივებს, ყურადღება მიმართულია ფრანკების მიწებისაკენ. ალ-კალბი აგრძელებს წინამორბედების მისწრაფებებს და ექსპედიცია გადადის სეპტიმანიაში, რომელშიც აიღო კარკასანის ვესტგოთური ციხე-სიმაგრე, 724 წელს. წინააღმდეგობის გარეშე აიღო ნაიმსიც (იხ. Collins Roger, “The Arab conquest of Spain – 710-797”: 1989, გვ. 87). საბოლოოდ, ის გარდაიცვალა კამპანიის დროს ბუნებრივი სიკვდილით.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ანდალუსიის ტერიტორიაზე არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი, ამ პერიოდში გაზრდილი გადასახადები არამუსლიმთათვის შედარებით დარეგულირდა. ნაწილობრივი სიმშვიდე ამითაც შეიძლება აიხსნას. უმნიშვნელოვანესია ‘აბდ არ-რაჰმან ალ-ღაფიკის მმართველობა (730-732), რადგან მან მარცხი აწვნია ბორდასთან ბრძოლაში აკვიტანიის გრაფს - ოდოს, იმ ოდოს, რომელმაც თავისი წინამორბედი ალ-ხავლანი დაამარცხა ტულუზასთან 721 წელს. ‘აბდ არ-რაჰმანის 70000-80000 ჯარმა აკვიტანიის გრაფი მარტივად დასჯაბნა. ამის შემდეგ უმაიანებმა ხელი მიჰყვეს ჩრდ. აკვიტანიის მონასტრების ძარცვას და გააგრძელეს წინსვლა პუატიესკენ (ტური). (იხ. Khalid Yahya; “The end of the jihad state. The reign of Hisham ibn ‘abd Al-malik and the collapse of the Umayyds: 1994).

რასაკვირველია, სტატიაში არ მოვყვებით პუატიეს ბრძოლის დეტალურ ანალიზს, რამეთუ ეს ცალკე დიდი საკითხია. უნდა აღვნიშნოთ, რატომ აქვს ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა საკუთრივ ფრანკებისა და ესპანელებისათვის? ამ ბრძოლის წყალობით საბოლოოდ იქნა შეჩერებული არაბების წინსვლა პირენეის ჩრდილოეთით და ისინი კონცენტრირდნენ ამის შემდეგ უშუალოდ ესპანეთის ტერიტორიებზე. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მაიორდომ კარლოს მარტელს. 732 წლის 10 ოქტომბერს განადგურდა მუსლიმთა არმია და ბრძოლაში მოკვდა თვით ‘აბდ არ-რაჰმანი. რამოდენა ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბრძოლას მოწმობს, რომ მას მუსლიმი ისტორიკოსები ,,ბალატ აშ-შუჰადას“ უწოდებენ, რაც ნიშნავს ,,მოწამეთა სასახლეს“, რადგან დიდი სისხლი დაიღვარა.

სწორედ პუატიეს შემდეგ გამოიდევნენ ეტაპობრივად მუსლიმები ფრანკთა მიწებიდან (ავიგონი (737), ნაიმსი (737), ნარბონა (752-759) და ძირითადად კონცენტრირდნენ ესპანეთის ტერიტორიაზე. უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ბრძოლამ დაადასტურა ფრანკთა უპირატესობა ჩრდილოეთში. (იხ. Davis Paul K. “100 Decisive Battles from the past to the present”: 1999).

რაც შეეხება უშუალოდ ესპანეთში ამ პერიოდში მიმდინარე მოვლენებს: ,,არაბებმა ესპანეთის დაპყრობის შემდეგ მიწების 1/5 სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადეს. ჩამოართვეს მიწები მსხვილ მიწათმფლობელებს და წვრილ მიწათმფლობელებს დაურიგეს. არსებობდა მხოლოდ ორი გადასახადი - ხარაჯა, ანუ მიწის გადასახადი და ჯიზია - სულადობრივი გადასახადი. ქალები, ბავშვები, ინვალიდები და მონები გადასახადებისგან გათავისუფლდნენ.“ (იხ. ავტორთა კოლეგია, ,,შუა საუკუნეების ისტორია“: 2008; გვ. 136).

უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად არაბები ქრისტიანული სარწმუნოების მიმართ რჯულშემწყნარებლობას იჩენდნენ და ისლამს ძალით არ ავრცელებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ისლამს ბევრი მიიღებდა, გადასახადის ამოღება შემცირდებოდა, შესაბამისად, მათი გამუსლიმება მთლად არ იყო სახარბიელო სახალიფოსათვის. რწმენის ძალით შეცვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც არაბებმა ქრისტიანებთან ერთად არაბ მუსლიმებსაც დაუწესეს ,,ჯიზია“. (იხ. А. Н. Бахметев, ‘’Рассказы из истории Христианской Церкви’’: 2014; თავი 61.).

უკვე VIII საუკუნის დასაწყისში ესპანელი მუსლიმები ეგუებოდნენ ბილინგვურ (არაბულ-ლათინურ) მონეტებს, მაგრამ 720 წლიდან, ფისკალური რეფორმის შემდეგ აქ მოიჭრა და ბრუნვაში შევიდა უმაიანთა სახალიფოში მიღებული ფულადი ნიშნები. (იხ. ვრცლად: ,,ტიკაძე. მ. ,,არაბთა ისტორია“: 2008; გვ. 195). მუსლიმური ესპანეთის ცენტრის ფუნქციას ასრულებდა სევილია, რომელმაც შეცვალა ვესტგოთების დროინდელი ტოლედო. მაგრამ უკვე 717 წლიდან ქვეყნის დედაქალაქი გახდა კორდოვა.

როგორც რეფერატში არაერთგზის აღინიშნა, ჩრდ. აფრიკასთან სიახლოვის გამო იქ განვითარებული მოვლენები ხშირად ესპანეთში პოულობდა გასაქანს. უწინარესყოვლისა, ეს გამოიხატა ბერბერთა მოძრაობაში, რომელიც ხარიჯიტული ლოზუნგებით მიმდინარეობდა, მაგალითად, 741-742 წლებში ხალიფა ჰიშამმა ვერაფრით ვერ მოახერხა აჯანყებულთა

დაშოშმინება და იძულებული გახდა სირიიდან ესპანეთში გაეგზავნა ახალი რაზმები, რომელთაგან თითოეულს დაევალა ქვეყნის ერთი რომელიმე რაიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. (ტიკაძე. მ., ,,არაბთა ისტორია“: 2008; გვ. 195). სირიიდან მოსული არაბები 742 წელს აშკარა უპირატესობაში მოექცნენ. ამის შემდეგ სირიული ელემენტი ესპანეთში გაძლიერდა. შეიძლება ვთქვათ, 30 წელიწადში არა მარტო ტერიტორიული, არამედ დემოგრაფიული ექსპანსიაც მოხდა პირენეიზე.

უკვე 749-750 წლებში სახალიფოში მიმდინარე მესამე სამოქალაქო ომმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ესპანეთზე. ახლად აღზევებულმა ‘აბასიანთა ხალიფამ რეპრესიებს მიმართა უმაიანთა წინააღმდეგ. დევნას გადაურჩა ჰიშამის შვილიშვილი ‘აბდ არ-რაჰმანი, რომელიც დედით ბერბერი იყო. მან მოახერხა მაღრიბში გადასვლა და ბერბერების დახმარებით ესპანეთში შეჭრა, ამ დროს გამგებელი იყო უკანასკნელი, მე-20 ამირა იუსუფ იბნ ‘აბდ არ-რაჰმან ალ-ფიჰრი (746-756), რომელიც დაამარცხა და 756 წლის 14 მაისს ‘აბდ არ-რაჰმან I იბნ მუა’ვია კორდოვას მეჩეთში ალ-ანდალუსიის ამირად გამოცხადდა და შეიქმნა კორდოვას დამოუკიდებელი საამირო, რომელიც აღარ
ემორჩილებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, განსხვავებით 711-756 წლების პერიოდისა, რომელიც წარმოვადგინეთ სტატიაში.

ამ ყოველივეს შემდეგ, ჩნდება ლოგიკური კითხვა: რამ გამოიწვია ვესტგოთების სამეფოს ასეთი მარტივი მარცხი მცირერიცხოვან არაბებთან? ამაზე, არსებობს რამდენიმე პირდაპირი თუ ირიბი პასუხი, რომელიც აისახა ზემოთ: პირველ რიგში, ეს გამოიწვია ვესტგოთების სამეფოს შიგნით დაპირისპირებამ და ფეოდალების სწრაფვამ დამოუკიდებლობისაკენ, მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რის გამოც ვერ მოხერხდა თვით ლაშქრის ჯეროვნად შეკრება, ეკლესიისა და სამღვდელოების მოურიდებელმა ჩარევამ და პირად გამორჩენაზე ზრუნვამ, არამდგრადობამ ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რენეგატობისა და პრივილეგიებისაკენ სწრაფვამ და, რასაკვირველია, საკუთრივ არაბთა კარგად ორგანიზებულმა, მოხერხებულმა ლაშქარმა, ძირითადად კავალერიამ. სწორედ ამ მიზეზების გამო ესპანეთის ტერიტორია ლამის მთლიანად იქნა დაპყრობილი რამდენიმე წელიწადში.

თუ რატომ უნდა გავამახვილოთ აღნიშნულ სტატიაში ყურადღება ამ მცირე დროის მონაკვეთზე ესპანეთის ისტორიაში (711-756), ამაზე პასუხს, უკვე მოხსენიებული ფაქტები იძლევა. საერთოდ, ეს პერიოდი გახლავთ გარდამტეხი არა მარტო ესპანეთის, არამედ მსოფლიოს ისტორიაში, რადგან არაბთა სახალიფო ძლიერების ზენიტშია, გაშლილია სამ კონტინენტზე, ემუქრება ბიზანტიის იმპერიას განადგურებით. შესაბამისად, შუა საუკუნეების ეს ფურცელი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, თუ რა შეუძლია შეუჩერებელ ბრძოლას თავისუფლებისკენ, იმ თავისუფლებისაკენ, რომლის საბოლოო მოპოვებას რვა საუკუნე დასჭირდება. მიუხედავად არაერთი დამარცხებისა, დაპირისპირება და ბრძოლა მტრის წინააღმდეგ არასდროსაა ზედმეტი და უადგილო. ეს გახლავთ შუა საუკუნეების არც თუ ისე დიდი ნახევარკუნძულის მოსახლეობის ბრძოლა დიდების ზენიტში მყოფი დამპყრობლის წინააღმდეგ, რაც, როგორც წმინდა ისტორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიურადაც პატივისცემისა და აღფრთოვანების გრძნობას უღვივებს მკითხველს.

ალ-მანსურის მიერ ბაღდადის დაარსება

თიკო ჭანტურია

მუსლიმი ისტორიკოსის ატ-ტაბარის ცნობით, ქრისტიანმა ბერებმა იწინასწარმეტყველეს არაბულ სამყაროში, ლეგენდარული ქალაქი, ბაღდადის აშენება. ხოლო მისი აღმშენებელის ,ალ მანსურის, ბავშობის სახელი ახსენეს, წინასწარმეტყველებაში. გადმოცემით , ხალიფა მოხარული იყო ,როცა ეს ლეგენდა მოისმინა და თავი ამოიცნო.

762 წ. წინასწარმეტყველება ახდა და დაარსდა ქალაქი ბაღდადი. დაარსების დღიდან ,ამ ქალაქმა შეიძინა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. ის იყო აბასიანთა სახალიფოს სატახტო ქალაქი და მისი ამ დატვირთვის გარდა ,ბაღდადის

ტერიტორიაზე ვითარდებოდა: ვაჭრობა, ეკონომიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება და ა.შ. შუა საუკუნეების განმავლობაში, ბაღდადის დაცემამდე , მანამ სანამ 1258 წ. ბაღდადი დაკარგავდა ისლამური სამყაროს, მთავარი დედაქალაქის როლს, მუსლიმურ სამყაროში განვლილი, ის ფუნდამენტალური და მნიშვნელოვანი საფეხურები სწორედ ამ ქალაქის საზღვრებში იყო მოქცეული.

აბუ ჯაფარ აბდ ალ-ლაჰ იბნ-მუჰამად ალ- მანსური - (ابو جعفر عبد الله بن محمد المنصور) იყო აბასიანთა დინასტიის წარმომადგენელი ხალიფა, რომელიც ძმის გარდაცვალების შემდეგ გახდა მართველი. დაიბადა 714 წ. დღევანდელი იორდანიის ტერიტორიაზე. ის იყო საკმაოდ ჭკვიანი და წინდახედული პიროვნება. მის სახელს უკავშირდება ადმინისტრაციული და ფინანსური რეფორმების გატარება, მთავარი კი რითაც მისი სახელი სამუდამოდ დარჩა, მუსლიმურ სამყაროში

არის ,რა თქმა უნდა ბაღდადი. მის დროს დაწინაურებული ეკონომიკა, ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმული მოსახლეობა და ასევე არისტოკრატია მოითხოვდა ქალქას, რომელიც იქნებოდა უზრუნველყოფილი ყველანაირი პირობებით, ვაჭრობისთვის და მარტივს გავხდიდა, მისი ტერიტორიული მდებარობიდან გამომდინარე : საგერეო ურთიერთობებს , საქონლის გატანას , კომუნიკაციას უცხო ქვეყნებთან და ა.შ . ხალიფა ასევე სარგებლობდა იმ ფაქტით ,რომ ბაღდადში არ იყო მომძლავრებული პოლიტიკური ერთეულები ,რომლებიც მის მმართველობას ხელს უშლიდნენ ისე, როგორც ქუფაში. სწორედ ალ მანსურის სახელს უკავშირდება, ასევე ვეზირის ინსტიტუტის დაარსება. ალ-მანსური მფარველობდა განათლებას , იგი დაინტერესებული იყო განევითარებინა მედიცინა და ლიტერატურა სახალიფოში. მისი დავალებით ითარგმნა სამედიცინო ტექსტები , ევროპელ მოყვაწეთა მაგ. ჰიპოკრატეს ნაშრომი. ასევე იქმნებოდა წიგნები და გროვდებოდა ცოდნა : ასტრონომიაზე, მედიცინაზე, მათემატიკაზე და რაც მთავარია ეს პროცესები ბაღდადში მიმდინარეობა . ქალაქი მალევე მოიცვა გამოცეჩენილი და ნიჭიერი

ადამიანებების რიცხვმა ,რომლებსაც დიდი წყვილი მიუძღვით მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვიტარებაში ,როგორიც იყო ფილოსოფია თუ პოეზია.

ბაღდადის დაარსება- მიუხედავად იმისა ,რომ VIII საუკუნეში ერთიან მუსლიმური სახალიფოს დაშლის პროცესი დაწყებული იყო , ბაღდადის დაარსებამ ,როგორც გამაერთიანებელი ქალაქის ,რომელშიც თავი მოიყარეს ვაჭრებმა ,ხელოსნებმა და საზოადოების იმ ნაწილმა, რომელზეც დგას ეკონომიკის ბრუნვა და სიძლიერე ხელი შეუწყო მის დაწინაურებას, ცალკეულ ოლქცებში. ბაღდადის დარსების წლად ითვლება 762 წ. რაც შეეხება შერჩეულ ტერიტორიას მდინარე ტიგროსის დასავლეთი ნატპირი ალ მანსრურმა საგულდაგულოდ შეარჩია და გაითვალისწინა ყველა პირობა , დაწყებული კლიმატურიდან , სავაჭროდ და სატრანზიტოდ ხელსაყრელ ადგილამდე, როგორც ჩანს ხალიფას ამ ადგილს ნესტორიანელი ბერებიც ურჩევდნენ. ქალაქს მშვიდობის ქალაქი ანუ „ მადინათ ას -სალამი“ ეწოდა. ალ მანსური განსაკუთრებული სიმკაცრით აკონტროლებდა მშენებლობის მსვლელობას, რომელიც მიმდინარეობდა 5 წლის განმავლობაში, რაც დაკავშირებული იყო საკმაოდ სოლიდურ ბიუჯეტთან ,როგორც ვიგებთ, საუბარია 5 მილიონ დირჰამზე. 30 ივლისს დაიწყო ქალაქის მშენებლობა და ეს თარიღი ნამდვილად არ ყოფილა შემთხვევით , რათქმაუნდა ასტროლოგიურად შესაფერის დღეს ალ მანსურმა ლოცვის შემდგებ , დადო აგური სიმბოლურად და ანიშნა მუშებს დაეწყოთ მშენებლობა. მუშახელს რაც შეეხება მათი რიცხვი ათიათასობით იყო. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ქალაქის მრგვალი ფორმა ,რომელიც სასახლეს ჰგავს.



დიდი ყურადღება მიექცა, ასევე სამშენებლო მასლაებს, რომელიც სპეციალურად დამზადდა ხალიფას ბრძანებით. ესენია : აგური, ის სპეციალურად გამოაშრეს მზეზე და გამოწვეს, ძირითადად გამოიყენებოდა ხშირი დატბორვისგან შენობის დასაცავად, ასევე საუკეთესო ხარიხის თაბაშირი და დაუშლელი კირი. ქალქის დიამეტრი 3 კვ. შეადგენდა . კედლები აგურისგან იყო აგებული ,რომლებიც ბოლო მონაკვეთში ქალაქის ლერწმის შეკვრებით დააკავშირეს ერთმანეთს. გარედან ჭაობებით იყო გარშემორტყმული, შიგნიდან კი ორმაგი კედლით გამაგრებული. ქალაქს გარედან ქონდა 4 კარიბჭე : ქუფას, ბასრას, სირიის და ხორასნის, ოთხივე შესასვლელი გზა ცენტრში გადიოდა. კარიბჭეებს აკონტროლებდა, მათ თავზე განთავსებული კოშკურა. ქალაქში თავმოყრილი იყო ბაზრები და მაღაზიები, გრძელი ,ლამაზად განათებული ქუჩებით. ბაზრებში განლაგებული იყო ასევე ქარვასლები.



ხალიფამ ასევე ბაღდადის ცენტრაში ააშენა ოქროს სასახლე, რომელსაც ქონდა ოქროს შესასვლელი. ასევე ცენტრში მდებარეობდა საკრებულო მეჩეთი. სასახლის ტერიტორია მხოლოდ ხალიფასთვის იყო განკუთვნილი, მასთან დაახლოებული პირები კი ,ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. ოთხ კარიბჭეს აერთიანებდა მცირე ქუჩები ,რომელიც იყო დასახლებული. ამ კვარტლებში ცხოვრობდნენ სხადასხვა პროფესიიის ადამიანები. ბაღდადში ,ადამიანების უბნებში განსახლება ხდებოდა, მათი რელიგიური მიმართულების მიხედვით. სხვადასხვა უბნებში ცხოვრობდნენ შიტები და სუნიტები. ქალაქს გააჩნდა საკმაოდ მოქნილი სისტემის ბაზარი, სადაც ნაწარმი ადგილზე იყიდებოდა. ბაღდადში ასევე გაყვანილი იყო არხები ,რომლითაც ერთმანეთს ქალაქის სხვადასხვა მხარეები ნავით უკავშირდებოდნენ. მთავარ პორტს წარმოადგენდა - ბასრა.



აბუ ჯაფარ ალ მანსურმაა დაარსა საუკეთესოდ დაცული, გამაგრებული, მძლავრი ეკონომიკით და ვაჭრობით განვითარებული ქალაქი ,რომელმაც 1258 წლამდე , მონღოლთა ალყამდე იარსებაა ,როგორც სახალიფოს დედაქალაქმა . მისი მშენებლობა დასრულდა 766 წელს დაა დაიმსახურა ქება-დიდება ,მრავალ მწერალთაგან ,როგორიც იყო ალ-ჯაჰიზი. მან ხოტბა შეასხა ხალიფას მრგვალ ქალაქს.

ყუბილაი ხანი

მედეა გვინჩაძე

საუკუნეების განმავლობაში ჩინეთს ყველაფერ უცხოსთან ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა. ტრადიციულად, მათი გაგებით,ჩინეთის დიდი კედლის მიღმა მცხოვრები ყველა ადამიანი ბარბაროსული წარმოშობის იყო, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი თუ იქნებოდა „ნამდვილი“, კულტურული და სრულყოფილი ადამიანი (3). იშვიათ შემთხვევებში, ჩინელები თავიანთ დამპყრობლებს მიესალმებოდნენ კიდეც თავიანთ ოჯახში, სწორედ ასეთი განსაკუთრებული შემთხვევა იყომონღოლიყუბილაი ხანიც.

XIII საუკუნის დასაწყისში დღევანდელი მონღოლეთის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა მსოფლიოში არსებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სახელმწიფო – მონღოლთა იმპერია, რომელსაც 1205 წელს საფუძველი ჩინგიზ-ყაენმა ჩაუყარა. [1] მან წარმატებით გააერთიანა დაქუცმაცებული მონღოლური ტომები და მიზნად დაისახა მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვება. საინტერესოა, რომ მე-13 საუკუნეში არავინ იცოდა თუ რამდენად დიდი იყო სამყარო რეალურად, ასე რომ, მონღოლთა მხრიდან მთელი მსოფლიოს დაპყრობისგეგმა და ამ გეგმის განსახორციელებლად ამგვარი მისწრაფება არც თუ ისე გასაკვირია.

ჩინგიზ-ყაენის თამადობით მონღოლთა იმპერიას მრავალი დიდებული მმართველი ახსოვს, მათ შორის მონღოლთა მე-5 დიდი ყაენი ყუბილაი ხანი, რომელიც იმპერიას 1260-1294 წლებში მართავდა. ის იყო ჩინეთის პირველი მონღოლი მმართველი, რომელმაც ბოლო მოუღო ჯაო კუანინის2 მიერ დაარსებულ ჩინეთის იმპერატორთა სუნის დინასტიას, დაიპყრო სამხრეთ ჩინეთი და სათავე დაუდო ახალ იუანთა დინასტიას. ყუბილაი-ხანმა თავისი ჭკვიანური და მოხერხებული პოლიტიკის წყალობით მოახერხა სხვადასხვა ერებით გაერთიანებული უზარმაზარი იმპერიის მართვა და მათი ტრადიციების საკუთარტრადიციებთან ადაპტირება.

იმ დროისთვის, როდესაც 1215 წლის 23 სექტემბერს ყუბილაი ხანი მოევლინა ქვეყანას, ჩინგიზხანს მონღოლთა იმპერია უკვე კასპიის ზღვიდან აღმოსავლეთით წყნარ ოკეანემდე

---

[1]ჩინგიზ ყაენი - მონღოლთა იმპერიის გამაერთიანებელი და პირველი დიდი ყაენი.

[2]ჯაო კუანინი - ჩინეთის იმპერატორი 960-976 წლებში, სუნის დინასტიის დამაარსებელი.

გადაეჭიმა და მიზნად ცენტრალური აზიისა და ჩინეთის დაპყრობა ჰქონდა დასახული. იმავე წელს მონღოლებმა დაიკავეს იმდროინდელი ჩრდილოეთ ჩინეთის დედაქალაქი იენ-ჩინგი (თანამედროვე პეკინი) დასამეფო ოჯახი აიძულესსამხრეთისკენ გაქცეულიყვნენ (2).

სამწუხაროდ, ყუბილაი-ხანის ბავშობის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება, თუმცა ვიცით, რომ ის იყო ჩინგიზ-ყაენის ვაჟის, ტოლუისა და სორღაქტანბექის მეოთხევაჟი. ყუბილაის

დედასორღაქტან ბექი იყო ნესტორიანელი ქრისტიანი პრინცესა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ყუბილაისა და მისი უფროსი ძმების აღზრდა-განათლებას მიუძღვნა (1).დედ-მამიშვილებს საბრძოლო ხელოვნებას ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ და პატარა ყუბილაიც ყველაფერს მარტივად ითვისებდა. პატარაობიდანვე გამომჟღავნებული მახვილგონიერების, სიმამაცისა და სიძლიერისა გამო, ის ჩინგიზ-ყაენის საყვარელი შვილიშვილი იყო.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, 9 წლის ასაკშიის უკვე მშვენივრად ფლობდა მონღოლურ ტრადიციებს, დედის წყალობით კი, ჩინურ ფილოსოფიასა და კულტურას. მას თავიდანვე ასწავლიდნენ მონღოლურ ენაზე წერას, თუმცა ჩინური დამწერლობა არ უსწავლებიათ. 12 წლის ასაკში უკვე გამოცდილი ცხენოსანი იყო და მამამისსაც სულ თან ახლდა სხვადასხვა ბრძოლებში. მისი რეპუტაციაც, როგორც ძლიერი მეომრის, ნელ-ნელა იზრდებოდა და 17 წლის ასაკში, როცა მამა გარდაეცვალა, ტოლუის ძმამ უგუდეი-ყაენმა 3, ძინის დინასტიის4 განადგურების შემდეგ, გარდაცვლილი ძმის ოჯახს ჩინეთში მამულები უბოძა, რომელთა შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ყუბილაის ერგო. სწორედ აქედან იწყება ყუბილაის ასეთი დაინტერესება და დაახლოება ჩინური კულტურისადმი.

1236 წელს უგუდეი ყუბილაის ჰოპეის (ჰებეის) პროვინციის 10,000 კომლს დაპირდა, თუმცა საწყის ეტაპზე პროვინციას მისი მონღოლი მოხელეები მართავდნენ, რომელთაც ადგილობრივ მოსახლეობას იმხელა გადასახადები დააკისრეს, რომ უმეტესობამთავისი სახლ-კარი მიატოვა და იმ ტერიტორიების ძიება დაიწყო, სადაც მონღოლთა ბატონობა არ ვრცელდებოდა. როდესაც ყუბილაიმ არსებული ვითარების შესახებ შეიტყო, მონღოლი მსახურები და გადასახადების ამკრეფი ვაჭრები ჩინელი ჩინოვნიკებით შეცვალა, რომელთა დახმარებითაც ეკონომიკის აღდგენა მოახერხა.

---

[3]უგედეი - მონღოლთა მე-2 დიდი ყაენი.
[4]ძინის დინასტია - შუა საუკუნეების ტუნგუსური წარმოშობის ტომების მიერ დაარსებული დინასტია.

მოგვიანებით, 1240 წლისთვის, გადახვეწილი მოსახლეობა თავის კარ-მიდამოს დაუბრუნდა, რის შედეგადაც ეკონომიკა ამ რეგიონშიც შედარებით დასტაბილურდა.

ჩინურ კულტურასთან დაახლოებამ და 1242 წელსჰაი-იუნისთან5 დამეგობრებამ გამოიწვია ყუბილაი-ხანის ბუდიზმით დაინტერესება, რის გამოც 1240-იანი წლების დასაწყისში მონღოლთა ყაენმა უამრავი ფილოსოფოსი, ეთნიკური ჯგუფის მრჩეველი, ნესტორიანელი ქრისტიანი შიბანები, მონღოლი სამხედროები და შუა აზიის მუსლიმები მოიწვია. ის დიდ იმედებს ამყარებდა თავის ჩინელ მრჩევლებზე და მათ სიტყვასაც მნიშვნელოვნადეყრდნობოდა. ჩინგიზ-ყაენის შთამომავალთა შორის ყუბილაი იყო პირველი, რომელიც ეზიარა რელიგიას.მიუხედავად იმისა, რომ ყუბილაის ცოდნა და გაგება ჩინური ენისა საკმაოდ მწირი იყო, სწავლულთა დახმარებით მთელი ენთუზიაზმით ეცნობოდა კონფუციანელობას, ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის მიერ ჩამოყალიბებულ ეთიკურ ფილოსოფიურ სისტემას, რომელიცმორალის, სოციალური წყობის, პოლიტიკის, ჩინური ფილოსოფიის და რელიგიის კომპლექსურ სისტემას მოიცავს.

უგუდეი ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1246 წელს, დიდი ყაენის ტიტული გადაეცა მის ვაჟს გუიუქს [6] , ხოლო მის შემდეგ 1251 წელს ყუბილაის უფროს ძმას –მუნქეს. დიდმა ყაენმა მუნქემ ყუბილაისჩრდილოეთ ჩინეთი გადასცა და იქ მეფედ გამოაცხადა, ხოლო მისი უმცროსი ძმა ჰულაგუდასავლეთში ისლამური სახელმწიფოებისა და მიწების დასაშოშმინებლად გაგზავნა, თავად კი მთელი ყურადღება სამხრეთ ჩინეთის დაპყრობაზე გადაიტანა. 1252 წელს მუნქემ უბრძანა ყუბილაის იუნანზე 7 შეტევა და დალის სამეფოს დაპყრობა, რისთვის მზადებასაც ყუბილაიმ წელიწადზე მეტი მოანდომა. ეს იყო მისი პირველი სამხედრო კამპანია, რომელიც სამი წლის განმავლობაში გაგრძელდა და 1256 წელს, მის მიერ იუნანის დაპყრობით დაგვირგვინდა.

წარმატებულმა კამპანიამ საგრძნობლად გააფართოვა ყუბილაის სამფლობელოები და უკვე დრო მოვიდა საიმისოდ,რომ თავად წამოეწყო და დაეგეგმა შედარებით უფრო მასშტაბური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ჩინეთის კულტურისადმი მზრუნველობისა და მიჯაჭვულობის ფართო დემონსტრაციას და რაც ყველაზე მთავარია, ჩინეთის ახალი დედაქალაქის დაარსებას.

ახალი დედაქალაქის დასაარსებლად ყუბილაიმ საკუთარ მრჩევლებს მიმართა და მათთან ერთადჩინეთის სამეურნეო მიწებსა და მონღოლურ სტეპებს შორის არსებულ საზღვარზე შეარჩია

[5]ჰაი-იუნი - ძენ-ბუდიზმის მიმდევარი ბერი.

[6]გუიუქ-ყაენი - მონღოლთა მე-3 დიდი ყაენი.

[7]იუნანი - დასავლეთ ჩინეთში მდებარე პროვინცია.

ადგილი, რომელიც ფენ შუის[8]პრინციპებზე იყო დაფუძნებული. ყუბილაის ახალი ჩრდილოეთის დედაქალაქი შანგ-ტუ-ს სახელით იქნებოდა ცნობილი.მოგვიანებით, ევროპელებმაშანგ-ტუს ოდნავ შეუცვალეს სახელი და „ხანადუ“-ს სახელწოდებით დაიმკვიდრეს.

მონღოლთა ყაენს მუნქეს, ბუნებრივია, არ გამოპარვია ყუბილაის ძლევამოსილების ასეთი ზრდა და მის მიერ დაარსებულ ახალ დედაქალაქში ორი სანდო თანაშემწე გაგზავნა, რომელთაც ქალაქის შემოსავლების წყაროებისა და ზოგადი ფინანსების შეესწავლა დაავალა. დაჩქარებული ანგარიშების შემოწმების შემდეგ, მათ აღმოაჩინესმრავალი კანონდარღვევა, რომელსაც სჩადიოდნენ ჩინეთის მაღალჩინოსნები და მათი ძალადობრივი განწმენდა დაიწყეს.

ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა ძმების ურთიერთობაზე, რის გამოც ყუბილაის კონფუციანელი და ბუდისტი მრჩევლები მას საკუთარ ძმასთან პირადი შეხვედრისაკენ მოუწოდებდნენ, რათა მოლაპარაკება და შერიგებაოჯახურ დონეზე მომხდარიყო. მუნქე, რომელიც ერთდროულად უმკლავდებოდა ბუდისტებისა და დაოისტების 9 რელიგიურ კონფლიქტს და ამასთან ერთად სამხრეთ ჩინეთში სონგის დინასტიის დაპყრობის მოკავშირეების დიდი მოთხოვნილება ჰქონდა, ყუბილაისთან მშვიდობიანი ზავი გააფორმა.

ყუბილაიმ 1258 წელს თავის ახალ დედაქალაქშიგამართა დებატები, რომლის დროსაც დაოისტები დამარცხებულად გამოაცხადა და მათი ლიდერები თავიანთი რელიგიის უარყოფითა და ბუდიზმზე იძულებითი მოქცევით დასაჯა, ამასთან ერთად მათი რელიგიური ტექსტებიც გაანადგურა. მუნქემ ამასობაშისონგის დინასტიის წინააღმდეგ ახალი კამპანია წამოიწყო და მის ყველაზე უმცროს ძმას არიქბოქას[10] მონღოლთა დედაქალაქის ყარაყორუმის დაცვა დაავალა.

[8]ფენ შუი - ძველი აღმოსავლური ფილოსოფიური სისტემა, რომელიც დაახლოებით 3000 წლის წინჩამოყალიბდა ჩინეთში.

[9] დაოისტები - ჩინეთში არსებული ერთ-ერთი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის დაოიზმის მიმდევრები.

[10]არიქა ბოქა - ტოლუის მეშვიდე ვაჟი.

1259 წელსმუნქე ბრძოლაში დაიღუპა, რაც ყუბილაიმ იმავე წელს სონგის დინასტიის წინააღმდეგბრძოლის დროს შეიტყო, სიჩუანის პროვინციაში. [11] არიქ ბოქამ ყარაყორუმში ჯარებს მოუყარა თავი დაგამართა შეკრება, რომლის დროსაც საკუთარი თავი დიდ ყაენად გამოაცხადა .ყუბილაი, რომელიც მუნქეს სიკვდილის გაგების შემდეგ ახლო აღმოსავლეთიდან დაბრუნდა, თავისი ყურულთაი გამართა და თავი დიდ ყაენად გამოაცხადა. ამის შემდეგ იწყება ომი ყუბილაისა და არიქბოქას შორის, რომელიც 1264 წელს ყუბილაის გამარჯვებითა და არიქბოქას დანებებით დასრულდა.

დიდ ყაენ ყუბილაის თავიდანვე დიდი სურვილი ჰქონდა მთელი ჩინეთის გაერთიანების, რასაც ემსახურებოდა მისი აქამდე გამართული სამხედრო კამპანიები. 1271 წელს მან დააარსა დედაქალაქი თანამედროვე პეკინის ტერიტორიაზე და საკუთარ იმპერიას იუანის დინასტია უწოდა, რაც ჩინელი ქვეშევრდომების კეთილგანწყობის მოპოვებისა და გადაბირების მცდელობად უნდა შევაფასოთ.მისმა მცდელობებმა კი გაამართლეს, ვინაიდან 1276 წელს სონგის იმპერიის ოჯახის ძალიან დიდი ნაწილი ჩაბარდა ყუბილაის. მიუხედავად ამისა, ომი შემდეგი სამი წლის განმავლობაშიც გრძელდებოდა.

უკანასკნელი სონგების დანებების შემდეგ, 1279 წელს, ყუბილაი გახდა პირველი მონღოლი, რომელიც მართავდა მთელ ჩინეთს. ყუბილაი ხანის ბიოგრაფიის ავტორი ჯონ მენის გადმოცემით,*„სონგების დინასტიისათვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო, რომ მონღოლებს მთელი ჩინეთის ხელში ჩაგდება შეეძლოთ“.*

ყუბილაი ხანმა დააფუძნა კლასობრივი სისტემა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ფენის წარმომადგენლები იყვნენ მონღოლები, შემდეგ საფეხურზე იდგნენ შუა

[11]სიჩუანის პროვინცია - სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში მდებარე პროვინცია.

აზიელები, მერე ჩრდილოეთ ჩინელები და ბოლოს სამხრეთ ჩინელები. ეს უკანასკნელი ორი კლასი ყველაზე მეტად იჩაგრებოდა და ყველაზე მაღალი გადასახადების გადახდა უწევდათ. ყუბილაის წარუმატებელი და ძვირადღირებული სამხედრო კამპანიების დაფინანსებაც სწორედ ამათ ევალებოდათ. ამ კამპანიებში იგულისხმებოდა შეტევები ბურმაზე, ვიეტნამზე, სახალინზე, რის შედეგადაც ეს რეგიონები იმპერიას მოხარკედ გაუხდნენდა მათი ფინანსებიც ცალკეული ინდივიდების კამპანიების დასაფინანსებლად მიდიოდა.

ყუბილაიმ ასევე წარუმატებლად დაასრულა ორი საზღვაო შეტევა იაპონიაზე, 1274 და 1282 წლებში. მეორე საზღვაო შეტევაში 140,000 მეომრისაგან შემდგარი ჯარი აპირებდაკიუ-შიუს კუნძულზე[12] თავდასხმას, თუმცა მძლავრმა ტაიფუნმა, რომელსაც ზოგიერთი იაპონელი კამიკაძეს და „ღვთიურ ქარს“ უწოდებს, ჯარები ალყაში მოაქცია, გემების უმეტესობა ჩაძირა და მეომრების ნახევარზე მეტიც გაანადგურა. ამ წარუმატებლად დასრულებულ კამპანიას მოჰყვა იავის[13]დამორჩილების მარცხი 1293 წელს, როცა ყუბილაის ჯარი იძულებული გახდა დაეტოვებინა ტროპიკული სიცხით, მრავალი დაავადებითა და უსწორმასწორო რელიეფით მოცული ტერიტორია.

1281 წელს საყვარელი მეუღლის, ჩაბისა და 1285 წელს უფროსი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ ყუბილაი ნელ-ნელა ეთიშება იმპერიის ყოველდღიურ მმართველობას და აქტიურობას(6). მან დაიწყო დალევა და ჭარბი რაოდენობით ჭამა, რის გამოც ძალიან მალე სიმსუქნით დაავადდა. დროთა განმავლობაში გაუარესდა პოდაგრა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ყრუდ სტანჯავდა .

34 წლიანი ბრწყინვალე მმართველობის შემდეგ, 1294 წლის 18 თებერვალს, 79 წლის ასაკში მონღოლთა მე-5 დიდი ყაენი ყუბილაი ხანი გარდაიცვალა, რომელიც მონღოლეთში, ხანების საიდუმლო სამარხში დაკრძალეს. ყუბილაი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდებული მმართველის სახელით არის შესული და მონღოლთა ყაენების სიაშიც მეორე ადგილი უკავია ჩინგიზხანის შემდგომ. გონიერებისა და გააზრებული მმართველობის დამსახურებით მან მოახერხა ჩინელი მოსახლეობის პატივისცემის მოპოვება და მათთან ერთად უზარმაზარი ერთიანი იმპერიის შექმნა. მისი მმართველობის მთავარი პრობლემაც იმან განაპირობა, რომ ის და მისი მემკვიდრეები

[12]კიუსიუ, კიუ-შიუს კუნძული - კუნძული იაპონიის სამხრეთ ნაწილში.
[13]იავა (ინდონ. Jawa) — კუნძული ინდონეზიაში, დიდი ზონდის კუნძულების ჯგუფში.

ჩინური ტრადიციების გამზიარებელნი უფრო იყვნენ ვიდრე მონღოლურის, ამან კი მზარდი კონფლიქტი გამოიწვია ჩინეთის მონღოლთა მმართველებსა და მონღოლთა კონფედერაციის სხვა სახანოებს შორის, რომელთაც საკუთარი ხასიათისა და ტრადიციების შენარჩუნება ერჩივნათ ჩინეთით სათავეში მმართველობას.

ყუბილაი-ხანის გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა იმპერია მის შვილიშვილს თემურ-ყაენს ჩაბარდა, თუმცაწლების შემდეგ, 1368 წელს, მთელი რიგი აჯანყებების შედეგად, ყუბილაის დაარსებულმა იუანთა დინასტიამარსებობა შეწყვიტა .

ოსმალეთის იმპერიის შეიარაღება

ოსმალეთის იმპერიამ (1299-1923),რომელიც გახლავთ ერთ-ერთი უძლიერესი სუნიტურ-ისლამური სახელმწიფო, თავისი მოღვაწეობით, დიდი კვალი დატოვა მსოფლიოს ისტორიაში. იგი ოსმანის მეთაურობით ჩამოყალიბდა ანატოლიაში 1299 წელს, ხოლო მურად I-ს მიერ ბალკანეთში წარმოებული ომებისა და მეჰმედ II-ის მიერ კონსტანტინოპოლის აღების (1453 წლის 29 მაისი) შემდგომ ოსმალთა სასულთნო იმპერიად ჩამოყალიბდა.[14]

როგორც ზემოთაა ნახსენები, ოსმალეთის იმპრიას საფუძველი ჩაუყარა ოღუზი თურქების შთამომავალმა ოსმან ღაზიმ. მან გააერთიანა ბეილიქები (მცირე სამეფო-სამთავროები ანატოლიაში, რომლებიც ბეგების მიერ იმართებოდა), მოახერხა საკმაოდ დასუსტებული ბიზანტიისთვის ტერიტორიების დასაკუთრება და ოსმანთა დინასტიის ბატონობით სასულთნოს ჩამოყალიბება, რომელიც მოგვიანებით უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა.

[14] The A to Z of the Ottoman Empire, by Selcuk Aksin Somel, 2010, p.179

ოსმალეთის იმპერიის წარმატებებს რამდენიმე განმაპირობებელი ფაქტორი ჰქონდა, ესენია: სახელმწიფოს ისლამისა და ჯიჰადის იდეოლოგიის გარშემო გაერთიანება, მაღალი დონის ცენტრალიზება, სახელმწიფო განათლებისა და კანონთა სისტემა, დიდებულთა პირადი ქონებისა და შესაძლებლობების მკაცრი კონტროლი, ასევე მათი უმკაცრესად დასჯა ღალატის შემთხვევაში, მონებზე დამყარებული საკმაოდ მკაცრად და ორგანიზებულად გაწრთვნილი არმია, დენთის უმაღლესი დონის დამუშავება სხვადასხვა სამხედრო შეიარაღების წარმოებისთვის, სამხედრო ეთოსის გაბმულობა მთელ ადმინისტრაციაში, სულთნის, როგორც ისლამის დამცველის სტატუსი [15] და ა.შ. ოსმალეთის იმპერიის ძლევამოსილების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი სამხედრო შეიარაღება გახლავთ.სწორედ ამას ადასტურებს თოფქაფის სასახლეში დაცული იარაღისა და არტილერიის კოლექციის სიდიდე.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალი ქვეითი ჯარის შეიარაღებაში იწყება მოკლე, მოხრილი მახვილის - იათაღანის (თურქ.yatağan) გამოყენება. მოხრილობასთან ერთად, მახვილის მხოლოდ ერთი პირია ბასრი, აქვს მეტალის, ცხოველის რქის ან სპილოს ძვლის სახელური, რომლის ბოლოსაც მომრგვალებული ბუდე აქვს. სახელურს არ აქვს დამცავი (სახელურზე დამცავებს უკეთებენ, რათა ბრძოლის დროს ხელიდან არ გავარდნოდათ მახვილი),თუმცა მისი დეკორირება ხშირად ხდებოდა, რომელსაც, ძირითადად, დიდებულები მიმართავდნენ. იათაღანის სიგრძე 60-დან 80 სანტიმეტრამდე მერყეობს, წონა კი, დაახლოებით, 0.85 კილოგრამია. სახელწოდება მიიღო ცნობილი თურქი ხმლების მჭედლის - იათაან ბაბას საპატივსაცემლოდ[16]. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სულთან სულეიმანის იათაღანი. საისტორიო წყაროებიდან ვიგებთ, რომ 1526 წელს სასახლის ერთერთმა უველირმა ტეკელუმ სულეიმან ბრწყინვალეს აჩუქა მორთული იათაღანი. ამ საჩუქრუთ მან ხაზგასმით აღნიშნა მისი, როგორც მეომრის, უმნიშვნელოვანესი როლი. მას შემდეგ, რაც სულეიმანი პირადად ხელმძღვანელობდა თავის ჯარებს მასშტაბურ ლაშქრობებში ოსმალეთის მმართველობის დამყარებისათვის ბელგრადში, როდოსსა და უნგრეთის ზოგიერთ ნაწილში, ეს იათაღანი წარმოადგენდა მის სიძლიერეს, როგორც შეიარაღე-ბული ძალების მთავარსარდალს

[15] Ottoman Empire (1301-1922) , 2009-09-04 , ნახვის დრო: 06.07.2021, 11:21 https://www.bbc.co.uk/religion/religions/islam/history/ottomanempire_1.shtml

[16] YATAGAN, THE TURKISH SWORD, Abdullah KILIC , ნახვის დროს: 06.07.2021, 13:02, http://www.turkishculture.org/military/weapons/sword-knives/yatagan-the-turkish-332.htm

შეეფერებოდა.[17] მმართველის ხმალი კვლევის ობიექტად იქცა. ამ აშკარად თურქულ იარაღს ჰქონდა ორმაგი მრუდი დანა და სახელური დამცავი გარეშე. დანაზე გამოსახული იყო ფენიქსსა და დრაკონს შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც ასახავდა მის ჩინურ ინსპირაციას. ხმლის მშვენიერება ხაზს უსვამდა ე.წ. "ოქროს ხანას", რომელიც სულეიმანმა დაიწყო და ასევე სამხედრო ძალების მნიშვნელობას იმპერიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იათაღანის დიზაინი და მისი კავშირი საიმპერატორო კართან ხაზს უსვამს ოსმალეთის განსაკუთრებული კულტურის ჩამოყალიბებას, საზოგადოებაში სამხედრო ძალების დომინირებასა და XVI საუკუნის ერთ-ერთ უძლიერეს იმპერიად რამდენიმე რეგიონალური ხელისუფლების შერწყმას.[18]

სულეიმან I (ბრწყინვალეს) იათაღანი, რომელიც ტეკელუმ უსახსოვრა.

იმის გამო, რომ ოსმალთა იმპერია საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, რამდენიმე ადგილას იათაღანის თავისებური სტილი ჩამოყალიბდა. მაგალითად, ბალკანეთში ბატონობის დროს იათაღანის სახელური უფრო დაგრძელდა, მის დასამზადებლად კი რქას ან სპილოს ძვალს იყენებენ.ანატოლიაში შენარჩუნდა სახელურის მოკლე ვერსია, რომელსაც ძვლისგან, სპილენძისა და სხვადასხვა მეტალისგან ამზადებენ, ხოლო ლონიანის სანაპიროს (ლონიანი ხმელთაშუა ზღვაში შემავალი ერთ-ერთი ზღვაა, რომლის ყველა კუნძულიც დღეს საბერძნეთს

[17] Atil, The Age of Sultan Suleyman the Magnificent, 147.

[18] stories ottoman objects tell, Ceremonial Yatagan, Joseph Ryan, ნახვის დრო:11.08.2021, 11:44, https://mediakron.bc.edu/ottomans/ceremonial-yatagan

ეკუთვნის) ზეიბეკები (პარტიზანული დაჯგუფებები ოსმალეთში XVII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის დასაწყისამდე) იყენებდნენ ,,T-ს“ მსგავს სახელურიან იათაღანს[19]. საინტერესოა, რომ იათაღანზე განთავსებული იყო სოლომონის ბეჭდის მოტივები, შემქმნელთა ხელწერა ან ტექსტები ყურანიდან[20].

მე-19საუკუნე, ოსმალეთის იმპერია,ზეიბეკების იათაღანი

იათაღნის გვერდით ოსმალი მებრძოლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ქილიჯი (თურქ.kılıç - ხმალი). ესაა უკუგადახრილი, ცალპირა და ერთი ხელისთვის განკუთვნილი ხმალი, რომელსაც იყენებდნენ თემურიანებიც, მამლუქებიცა და თურქული მოდგმის ხანები ცენტრალურ აზიასა და სტეპებში. ქილიჯი არის თურქი ნომადებისა და მონღოლოიდური მოხრილი, ცალპირა ხმლების ადაპტირებული ვერსია. ქილიჯი გახდა სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლო. მაგალითად, სელჩუკი მბრძანებლები ატარებდნენ ქილიჯ-არსლანის ტიტულს, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ,,ხმალ-ლომს“. ისტორიაში ქილიჯის ტარების პირველი თარიღად დაფიქსირებულია XIV საუკუნის დასაწყისი, კონკრეტულ პიროვნებად კი მუჰამედ ხან უზბეკი. აღნიშნული ხმალი დღეს ერმიტაჟის მუზეუმშია დაცული[21].

[19] 19C Ottoman T Handle Zeibek Yataghan,ნახვის დრო:05.07.2021, 13:45მ https://www.antique-swords.eu/S08-19C-Ottoman-T-Handle-Yataghan.html

[20] Abdullah KILIC, Turkish Cultural Foundation

[21] The Culture of the Golden Horde". The State Hermitage Museum. 2019.

ქილიჩი,ოსმალეთის იმპერია,დაღაიღებულია 1772 წელით

ტრადიციულად, ქილიჯი არის საკმაოდ თხელი ხმალი, რომლის სიგრძის ბოლო 30% უკვე სქელდება. ეს ნაწილი გამოირჩევა ბასრი პირითა და წვეტით, რომელსაც იალმანს უწოდებენ და ხმლის ჭრის ძალას უფრო ზრდის. ამ დიდებული ხმლების ჭედვის მთავარი სახელოსნოები იყო დამსკოში, დერბენსა და ბურსაში. ხდებოდა ქილიჯის ექსპორტიც ევროპასა და აზიაში.

XVIII საუკუნის ბოლოს ოსმალეთში ქილიჯმა ევოლუცია განიცადა - ამიერიდან ხმალი უფრო დამოკლდა, კიდევ უფრო მოიხარა და მისი იალმანი მეტად გაფართოვდა. ამას გარდა, ხმლის სახელური ,,T-ს“ ფორმას დაემსგავსა, რამაც უფრო გაამარტივა მისი ხელით კონტროლი. ქილიჯის ასეთი ვარიანტით ბრძოლა და მოწინააღმდეგის აბჯრის გარღვევით ღრმა ჭრილობის მიყენება უფრო მარტივი გახდა, განსხვავებით ირანული წარმომავლობის ხმლისგან - შამშირისგან[22] (თავისი მოხრილობით, ცალპირიანობითა და სახელური ,,T-ს“ მსგავსი ახლოს დგას ქილიჯთან).

ზოგადად, ომის დაწყების წინ ნიჭიერი მხედართმთავარი, რამდენიმე ფაქტორთან ერთად, აფასებს გეოგრაფიულ არეალს, მტრის შეიარაღებას, განაწილებას, შესაძლებლობებსა და სხვა დეტალებს. სამხედრო აღწურვილობიდან ერთ-ერთი ყველაზე კარგი იარაღი ყოველთვის იყო მშვილდ-ისარი, რადგან მისი საშუალებით შორ მანძილზე მტრის დანაყოფების განადგურებაა შესაძლებელი, რაც თავისთავად საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლეს ზოგავს. თუმცა, ვინაიდანაც მშვილდ-ისრის სიჩქარე, სიძლიერე და გატყორცნის მანძილი შეზღუდულია, ადამიანები ყოველთვის მუშაობდნენ ამ იარაღის დახვეწასა და

[22] Stone and LaRocca, pp. 356-357.

გაძლიერებაზე. სწორედ ამას ცდილობდნენ ოსმალებიც, რაც, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით გამოუვიდათ.

ოსმალებს 3 სახის მშვილდ-ისარი ჰქონდათ: ომისთვის, სამიზნესა და შორი მანძილისთვის განკუთვნილი. თითოეული მათგანი მზადდებოდა ხის, რქის, წებოსა და მყესის გაერთიანებით (მყესი, ამ შემთხვევაში, მშვილდის მოხრილი ორი ბოლოა, რაც უზრუნველყოფს ძლიერი დაჭიმვის გაძლებასა და მექანიკური ძალის ისრისთვის გადაცემას). დამზადების შემდეგ მის გაშრობას 1-დან 3 წლამდე სჭირდებოდა. ნებისმიერი მშვილდის სახელური შუაშია, რომელსაც, ზოგადად, ლაკის საშუალებით აფორმებდნენ. ისრის ტარი იყო ფიჭვის, მისი წვერი კი რკინის, თითბერის ან ძვლის. ისრის სათავე იყო დაწნული, რათა ხელით შეკავება ადვილი ყოფილიყო, ხოლო მასში ბუმბულები იყო გაყრილი ისრის ფრენის სტაბილიზაციისთვის, მისი ძირი კი იყო ამოჭრილი, რათა ისრის მშვილდის სიმზე წამოცმა ყოფილიყო შესაძლებელი. მშვილდის სიგრძე 100-106 სანტიმეტრი იყო. თუმცა, მის რკალისებურ ვარიანტთან ერთად არსებობდა მეორე ოსმალური მშვილდის სახეობაც, რომლის ბოლოებიც არა რკალისებურად, არამედ ისრის ტყორცნის მიმართულებით იყო მოხრილი. ორივე მშვილდის სახეობა იმდენად მაღალ დონეზე ჰქონდათ ოსმალებს დახვეწილი, რომ როგორც მძიმე, ისე მსუბუქ ისრებს ისროდნენ წარმოუდგენლად შორ მანძილზე[23].



ტრადიციული ოსმალური მშვილდ-ისრის სახეობები

[23] PERFORMANCE OF TURKISH BOWS, Adam Karpowicz, 2006, ნახვის დრო: 06.07.2021, 15:31, www.atarn.org/islamic/Performance/Performance_of_Turkish_bows.htm

ბრძოლის დროს აბჯრის წინააღმდეგ ერთ-ერთ საუკეთესო იარაღად მიჩნეულია გურზი (mace). ამ იარაღს აქვს ხის ან რკინის მოკლე ტარი, რომელიც ხელის მოსაკიდებელიდან ბოლოს მიმართულებით სქელდება. მას ბოლოში აქვს წვეტებიანი, კუთხეებიანი ან უბრალოდ მრგვალი რკინის თავი. მეომრისთვის, რომელსაც საკმაოდ ძლიერი და უხეში ძალა ჰქონდა, მაკე წარმოადგენდა საუკეთესო იარაღს. ოსმალები გურზს ყოველთვის იყენებდნენ და იარაღის ოსმალური ვერსიაც ჩამოყალიბდა იმპერიაში.

შუასაუკუნეების ოსმალთა საბრძოლო იაღაღი გურზი

1465 წელს ოსმალეთში გამოჩდნა გრძელი მჭიდებიანი ცეცხლსასროლი იარაღი - მასკეტი [24] . XVI საუკუნიდან ოსმალები იწყებენ მასკეტის თავიანთი ვერსიის დამზადებას, რომლისთვისაც დამასკოს ცნობილ ფოლადს იყენებდნ;ენ[25]. ცნობილია, რომ 1526 წლის მოჰაჩის ბრძოლაში 2000-მა იანიჩარმა 9 ხაზი შექმნა, რომლებიც ყოველი გასროლის შემდეგ ერთმანეთს რიგრიგობით ენაცვლებოდნენ, შესაბამისად ისინი არც დროს კარგავდნენ და არც ენერგიას, სროლისას მუხლმოდრეკილები ან ფეხზე მდგომარეები იყვნენ. [26] სწორედ ოსმალებისგან შეითვისეს ჩინელებმა მუხლმოდრეკილ პოზიციაში რიტმულად სროლა, ხოლო ჩინერი მწერალი ჭაო შიჟენი ოსმალურ მასკეტებს აყენებდა უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ევროპულებს[27].

ოსმალეთს ყოველთვის მოიხსენიებდნენ, როგორც დენთის იმპერიას, რომელსაც მოსდევდა საფავიდთა ირანი და მუღალთა ინდოეთი. უკვე მე-14 საუკუნისთვის ოსმალებს

[24] Ayalon, David (2013). Gunpowder and Firearms in the Mamluk Kingdom: A Challenge to Medieval Society (1956). Routledge. p. 126.
[25] Pacey, Arnold (1991). Technology in World Civilization: A Thousand-year History.
[26] Ágoston, Gábor (2008), Guns for the Sultan: Military Power and the Weapons Industry in the Ottoman Empire, Cambridge University Press.
[27] Needham, Joseph (1987). Science and Civilisation in China: Volume 5, Chemistry and Chemical Technology, Part 7, Military Technology: The Gunpowder Epic. Cambridge University Press.

დენთის არტილერია შეთვისებული ჰქონდათ[28]. დენთის ათვისების შემდეგ იმდენად სწრაფად დაიწყო ცეცხლსასროლი იარაღების წარმოება ოსმალეთში, რომ იმპერიამ გადაუსწრო მის ევროპელ და შუა აზიელ მოწინააღმდეგეებს. ბაიაზიდ I-ს დროს ოსმალებს უკვე ჰყავდათ საკუთარი არტილერია, რომელიც 1399 და 1402 წლებში კონსტანტინოპოლზე იერიშის დროს გამოიყენეს. საალყო მექანიზმმა თავისი ფასი დაამტკიცა თესალონიკის აღებების დროს 1430 წელს.

როდესაც ოსმალურ არტილერიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბაზილიკა, იგივე დიდებული თურქული ქვემეხი [29] ან დარდანელის ზარბაზანი, რომელიც პირველად 1464 წელს შეიქმნა თურქი სამხედრო ინჟინერის - მუნირ ალის მიერ. ინჟინერი შთააგონა იმ სააალყო საშუალებებმა, რომლებიც ოსმალებმა 1453 წელს კონსტანტინოპოლის აღებისას გამოიყენეს. მურინ ალიმ ქვემეხი ბრინჯაოსგან ჩამოასხა, რომელიც 16.8 ტონას იწონიდა და 5.18 მეტრის სიგრძის იყო, მასში კი 0.63 მ. დიამეტრის ქვის ბურთი ჩადიოდა[30]. სახელწოდება ,,დარდანელის იარაღი“ მიიღო 1807 წელს, როდესაც ინგლისურმა ფლოტმა სცადა კონსტანტინოპოლზე იერიშის მიტანა, თუმცა დიდებულმა თურქულმა ქვემეხმა ინგლისურ ფლოტს გადამწყვეტი ზიანი მიაყენა და მათ უკან დახევა მოუხდათ.

დარდანელის ზარბაზანი, შექმნა თურქმა სამხედრო ინჟინერმა მუნირ ალიმ 1464 წელს.

[28] Nicolle, David (1980). Armies of the Ottoman Turks 1300-1774. Osprey Publishing,
[29] https://collections.royalarmouries.org/object/rac-object-6177.html
[30] Schmidtchen (1977b), pp. 226–228

ოსმალეთმა მსოფლიოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა თავისი დიდებით, კულტურით, პოლიტიკითა და გეოპოლიტიკური ცვლილებებით. იგი იმითაცაა გამორჩეული, რომ უცხოურ ელემენტებს იღებდა, საკუთართან ასინთეზირებდა და შემდეგ სრულიად ახალ ვარიანტს ქმნიდა. იგი შიშის ზარს სცემდა ევროპასაც და აზიასაც. არაერთხელ უღიარებიათ ოსმალეთის სიძლიერე სხავდასხვა ქვეყნის მბრძანებლებს. დღეს ოსმალური ისტორიით ყველაზე მეტად ამაყობს იმპერიის შვილობილი ქვეყანა - თურქეთი, რომელიც წინაპრის არაფრით არ ჩამოუვარდება და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა შორის შედის. ოსმალეთის დიდების ერთ-ერთ მთავარ გასაღებს კი მისი სამხედრო შეიარაღება წარმოადგენდა.

ვლად ცეპეში

ანა ახალაია
ირმა ქარდავა

1453 წლის 29 მაისს ოსმალთა არმია სულთან მეჰმედ მეორის ბრძანებით გადავიდა ბოლო იერიშზე, რასაც ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის დაცემა მოჰყვა. მუსლიმებმა გაძარცვეს ქალაქი, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი კი დასავლეთ ევროპაში გაიქცა და ევროპულ სახელმწიფოებს შეაფარა თავი.
სულთანი მეჰმედი არ დაკმაყოფილდა კონსტანტინოპოლის აღებით და განაგრძო ბრძოლა ქრისტიანების წინააღმდეგ. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არსებული სახელმწიფოები წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ოსმალეთის არმიას, თუმცა ამ დროს გამოჩნდება ვლახეთის დიდი მთავარი ვლად ცეპეში.
ვლად ცეპეშის მშობლიური მხარე იყო ვლახეთი, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარეობდა. ამ რეგიონს ესაზღვრებოდა ორი დიდი სახელმწიფო, უნგრეთი და ოსმალეთი და ორივე მათგანი ცდილობდა ამ ტერიტორიის დაპყრობას, ამისთვის კი ადგილობრივების მხარდაჭერის მოპოვება სჭირდებოდათ. ვლად ცეპეში ასე სულაც არ ფიქრობდა, იგი აცნობიერებდა, რომ არც უნგრეთი და არც ოსმალეთი არ იყვნენ მისი მოკავშირეები და შეუდგა მზადებას ომისთვის...
სანამ ომი დაიწყებოდა, მას ჯერ თავისი მოღალატე ოჯახის წევრები ჰყავდა მოსაშორებელი. 1456 წელს ვლადმა მოკლა ვლახეთის მთავარი, ვლადისლავ მეორე და სახელმწიფოს მართვა დაიწყო. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ვლადზე საუბარი, ამ პერიოდიდან ეწოდა მას სატანის მოციქული და შეითხზა ათასი ლეგენდა იმაზე, თუ როგორ სვამდა ადამიანების სისხლს...
1459 წელს სულთანმა მეჰმედ მეორემ ვლადს წერილი გაუგზავნა და შეახსენა, რომ ხარკი უნდა გადაეხადა (10000 დუკატი) და პლუს, ოსმალთათვის 500 მეომარი უნდა გაეგზავნა. ვლად დრაკულას

მეჰმედმა მოსთხოვა, რომ ამ 500 მეომარში ერთ-ერთი მისი შვილი უნდა ყოფილიყო. ვლახეთის მთავარი 4 წელი იყო მეჰმედის მამის, მურადის ტყვეობაში და ძალიან კარგად იცნობდა ოსმალურ წესებსა და მათი ცხოვრების სტილს. მან მიიღო წარმოუდგენლად რთული, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება, სიკვდილით დასაჯა სულთნის ელჩები. მიზეზად კი ის დაასახელა, რომ მათ მის წინაშე წარდგომის დროს ქუდები არ მოიხადეს.
მეჰმედმა უბრძანა ნიკოპოლისის გამგებელს, ჰამზა-ფაშას ვლად III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლა. ეს ყველაფერი ცნობილი იყო ვლახეთის მთავარისთვის და იგი ჩასაფრებული უცდიდა ოსმალო ფაშას. ოსმალეთის არმია ალყაში აღმოჩნდა. სულთნის არმია ტყვედ ჩავარდა და ვლადის ბრძანებით, თითოეული მათგანი ძელზე გასვეს. მათ შორის ოსმალეთის წარგზავნილი ფაშაც, მეტიც, ამ უკანასკნელისთვის ვლადმა ყველაზე დიდი სარი აარჩია.
როდესაც ეს ამბავი მეჰმედს შეატყობინეს, სულთანმა ბრაზისგან თავი ვერ შეიკავა და სიახლის მაცნობებელ მაჰმუდ ფაშას მუშტიც უთავაზა.

სულთანმა გადაწყვიტა, რომ ვლადი სიკვდილით დაესაჯა და ვლახეთის მთავრად ვლადის ძმა, რადუ გამოაცხადა, რომელიც გამუსლიმებული იყო. ვლადი მოკავშირეებს ევროპაში ეძებდა, წერილებს უგზავნიდა რომის პაპსაც, მაგრამ ყველაფერი უშედეგედ მთავრდებოდა. იგი დარწმუნდა, რომ

ბრძოლის გაგრძელება ისევ საკუთარ ხალხთან ერთად იყო შესაძლებელი.
1462 წელს სულთნის 120000-იანი არმია ვლახეთის ტერიტორიაზე შეიჭრა. პატარა სამთავროს გამგებელმა ბრძანა, რომ ყველა კაცი 12 წელს ზემოთ, ვისაც შეეძლო იარაღი აეღო ხელში, არმიაში უნდა ჩაწერილიყო და თურქების წინააღმდეგ უნდა ეომა. სულ შეიკრიბა 7000 ჯარისკაცი.
ვლადი ცდილობდა პარტიზანული ბრძოლებით გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა მტრისთვის და თანაც, ამას აკეთებდა ისე, რომ თურქებში პანიკურ შიშს თესავდა. მან 20000 თურქი გასვა სარზე 1462 წელს, ეს კი გააკეთა ისეთ ადგილებში, რომ მეჰმედის არმიას ენახა და მოესმინა მომაკვდავი თურქი ჯარისკაცების ყვირილი.
1462 წლის 17 ივნისს კი მოხდა ის, რასაც ვერავინ ვერ დაიჯერებდა. ვლად ცეპეში თავის მცირერიცხოვან არმიასთან ერთად მეჰმედის ბანაკში შეიჭრა საბრძოლველად. თურქებს იმდენად დიდი დანაკარგები ჰქონდათ, რომ სულთანმა ვლახეთი დატოვა. სულთანმა არმიის ნაწილი ჩააბარა ვლადის ძმას, რადუს, თუმცა ვლად დრაკულამ გამარჯვება ვერ მოახერხა, რადგან მისი ბიძაშვილი, მოლდოვის მთავარი შტეფანიც მოღალატე გამოდგა და ოსმალეთის მხარეს დადგა. ვლადს აღარ დაედგომებოდა სამშობლოში და უნგრეთის დაპყრობილ ტრანსილვანიას შეაფარა თავი.
ტრანსილვანიაში ვლადს კიდევ ერთი ღალატი ელოდა. რომის პაპი მხარს უჭერდა ვლახეთის მთავარს, მას სურდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო ოსმალეთის სასულთნოს წინააღმდეგ და დიდი რაოდენობით ოქროც გამოყო ამისთვის. უნგრეთის მეფის მატიაშ კორვინის მიზნები კი რადიკალურად განსხვავებული იყო, მისი სურვილი ამ ოქროს ხელში ჩაგდება იყო, ამ ყველაფრის გასამართლებლად კი დააპატიმრა ვლადი და ათასი ჭორი გაავრცელა მასზე. თითქოს ვლახეთის მმართველი ქრისტიან ბერებს ხოცავდა, საკუთარ მოსახლეობას წამებით კლავდა და აშიმშილებდა. რომის პაპი მოტყუვდა, ვლად ცეპეში გისოსებს მიღმა დარჩა.
ვლახეთი რადუს მმართველობის დროს მთლიანად დაემორჩილა ოსმალეთს, საფრთხე შეექმნა კათოლიკურ სამყაროსაც. რომის ახალმა პაპმა სიქსტუმ მეოთხემ მოითხოვა ვლადის გათავისუფლება. 1476 წელს გათავისუფლებულ მთავარს ტრანსილვანიის მოსახლეობა აღტაცებული შეხვდა (სწორედ იქ, სადაც თურმე ხალხს ტანჯავდა და ხოცავდა). ვლადი ვლახეთის განთავისუფლების დროს დაიღუპა კიდეც. მოღალატე უნგრეთის მეფის სამშობლოსაც არ ეწერა დიდი ხნის არსებობა, ოსმალეთმა 1526 წელს მთლიანად დაიპყრო ეს სახელმწიფო.

ისტორიული მესხეთის დაპყრობა და ისლამიზაცია ოსმალეთის იმპერიის მიერ

თეკლე აშორტია, მარიამი დიდებაშვილი

მესხეთი, ესაა ქართულიკულტურის კერა, სამხრეთის ბურჯი საქართველოსი, რომლის დაჯავშნულ მკერდს ეხლებოდა ათასი ღვარცოფი გოლვიან უდაბნოდან მოვარდნილ ურდოთა. ასეთი იყო დიდება მესხისა და მესხეთისა, ასეთი იყო დიდება საქართველოსი. XI საუკუნის მიწურულს, ოსმალურმა მახვილმა შეანგრია სამხრეთის ბურჯი საქართველოსი და იწყო თანდათანობით დაპყრობა მესხეთის, იწყო წაბილწვა ქართველთა სავანესი.

მესხეთი, როგორც ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი, თავის მხრივ რამდენიმე პროვინციას მოიცავს: სამცხეს, ჯავახეთს, კოლა-არტაანს, შავშეთს, ერუშეთს, კლარჯეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოსა და სპერს. აღნიშნული რეგიონი იწოდებოდა ზემო ქართლადაც, სადაც პირველი საუკუნეებიდან ფეხს იკიდებდა ქრისტიანობა, ხოლო IV საუკუნის 30-იან წლებში აქაც დანარჩენი ქართლის მსგავსად, განმტკიცდა და გაბატონდა აღნიშნული რელიგია. XI საუკუნისათვის, მესხეთი გაერთიანებული საქართველოს

შემადგენლობაში შედიოდა. აღსანიშნავია, რომ ამ გაერთიანების ერთ-ერთი და უმნიშვნელოვანესი პირობა იყო ის, რომ მესხეთში სალაპარაკო, სამწერლობო და საეკლესიო ენა მუდამ ქართული იყო. გაერთიანებულმა საქართველომ კი როგორც ვიცით XV საუკუნის ბოლომდე გასტანა და საბოლოოდ 1490 წელს დაიშალა. ამ დროიდან კი სამცხე-საათაბაგო (მესხეთი), როგორც ოსმალეთთან გამეზობლებული მხარე საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. მესხეთის პროვინციების დაპყრობა ოსმალეთმა XVI საუკუნიდან დაიწყო. 1555 წლის ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყო: აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთს ერგო, დასავლეთი კი ოსმალეთს. ორად გაინაწილეს მესხეთიც, მისი სამხრეთ ნაწილი ოსმალეთს დარჩა, ხოლო ჩრდილოეთი სამცხე-ჯავახეთის სახით ირანს. ოსმალებმა ჩილდირის ბრძოლაში გამარჯვებით მეხსეთის ჩრდილოეთ ნაწილის ხელში ჩაგდებაც მოახერხეს და 1579 წელს შეერთებულ სამცხე-ჯავახეთს ,,ჩილდირის საფაშო'' უწოდეს. ეს ტერიტორია შეუერთეს უფრო ადრე დაპყრობილ მესხეთის სამხრეთ ნაწილს, რომელსაც ,,გურჯისტანის ვილაიეთ''-ს უწოდებდნენ. ამის შემდეგ, გაერთიანებული მესხეთის ტერიტორიაზე, ერთი ადმინისტრაციული ერთეული , ახალციხის საფაშო ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ ოსმალეთი თავისი ვერაგული მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს, ყველა ზომასა და ყველანაირ მეთოდს მიმართავდა მესხეთის მისატაცებლად: დაწყებული მესხი თავადაზნაურობის, ათაბაგების, სამღვდელოების მოსყიდვა-გადაბირებით, ცრუ დაპირებებით, დასრულებული მუქარით-თავის მოკვეთით თუ სხვ. ამ მხრივ მრავალ საინტერესო ცნობასა და ფაქტს შეიცავს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში ივანე გვარამაძის პირად არქივში დაცული ხელნაწერი წერილი "სამესხეთოს დაქცევა". ივანე გვარამაძე გახლდათ XIX საუკუნის II ნახევრის სამცხე-ჯავახეთის ქართველთა პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და მრავალმხრივი მოღვაწე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა მხარისა და მთელი საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაში.ავტორს დასაწყისში მოყვანილი აქვს ანდაზა: "ჭინჭველს რომ ფრთა გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაუწყრებაო". აღწერილია მესხეთში თავადებისა და აზნაურების უთანხმოება, რამაცმთელ მოსახლეობაზეიმოქმედა. "თვეობით" ეკლესიები არ იღებოდა, ლოცვა-კურთხევა არ ჰქონდა ერს. მოწყვეტილნი იყვნენ ღთის სიტყვას, რაც ხელს უწყობდა გულის აცრუებაში მღვდელსაც და ბერსაც. "გამრავლებული იყო; ცოდვა ბოროტობა, უსჯულობა, უსამართლობა

ურთიერთსაკუთრებათა ცარცვა-გლეჯა, მრუშობა, ქალის ტაცება, ავაზაკობა, კაცის კვლა, ტყუილი მოწმობა, ცილის წამება, ღალატი და მისთანა ბოროტებანი”.

ეთნოლოგი და პუბლიცისტი აღნიშნულ წერილში მიუთითებს: “თუ ათაბაგს ქართლისა და იმერეთის მეფეებსა და გურიელსა და დადიანსა ჰქონოდათ საზოგადო სარგებლობა და არათავიანთი საკუთარი სარგებლობა, ოსმალო ვერასოდეს შემოადგამდა ფეხს ჩვენს ქვყანასა. სამწუხარო ის იყო უმწეობითა

სამესხეთო ჰქრებოდა… ოსმალებმა, ბრძოლით რომ უძნელდებოდათ შემოსვლა სამესხეთოს დასარბევად, ადგილობრივ თავადაზნაურობას უწყეს მოსყიდვა მრავლის საჩუქრებით, უგზავნიდნენ კეკლუც ქალებს, არაბულ ცხენებს, ძვირფას თვალ-მარგალიტებს და მდიდრულ ტანისამოსს. უმისოთაც გარყვნილნი და დაცემული, ზნეობითაც ჰყიდებდნენ თავიანთ სამშობლოს მაჰმადიანებზედ, რომ იმათ ხელქვეშ მყოფთ მუდამ წელს ჰქონოდათ მათგან ძვირფასი საჩუქრები მოუკლებლად… მღვდლებსაც თავიანთი ვალდებულება დაევიწყნათ და სულით, გულით ვერცხლის მოყვარულობას შესდგომოდნენ ვაჭრობით, მათ დღე-ღამე მოსვენება აღარ ჰქონდათ”. მესხეთის ათაბაგთა, თავადაზნაურთა და სამღვდელოების ასეთმა ქმედებებმა ეს მხარე პოლიტიკურად მოადუნა, დააუძლურა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო მტერს მის დაპყრობაში.

1510 წელს ოსმალთა დიდი ლაშქარი, რომელსაც სულთან ბაიაზიდ II-ის მემკვიდრე-სელიმ ფაშა ედგა სათავეში, საქართველოს დასალაშქრავად გამოემართა.

როცა ახალციხეს მიადგნენ ოსმალონი, მათ გამოეგებნენ სამცხის მთავარნი-დედისიმედი და ყვარყვარე ათაბაგი და მოართვეს ქალაქის კლიტენი. მზეჭაბუკ ათაბაგმა

მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. წარუძღვა მტრის ლაშქარს ათაბაგი და იმერეთს ჩაიყვანა. შემოდგომა იყო, ქვეყანა ამ მხრიდან შემოტევას არ ელოდებოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს (1510-1556 წწ.), რომელიც ტახტზე ახალი ასული იყო, სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა. ოსმალებმა გადაწვეს ქუთაისი, დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბები, დაწვეს ეკლესიები. მტერს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები. ზამთარი კარს იყო მომდგარი და მალე თოვლი ზეკარის გადასასვლელს გაუვალს გახდიდა. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს კი დიდი საფრთხე ელოდა, ამიტომ სელიმ ფაშამ გადაწყვიტა, ნაალაფევითა და ტყვებით ქვეყანას გასცლოდა… ასე რომ, თუ მღვდელმა თევდორემ მტერს გზა აუბნია და მეგზურობა არ გაუწია, მესხეთის ათაბაგმა მზეჭაბუკმა მტრის ლაშქარს უწინამძღვრა დაოსმალებს ქუთაისი გადააწვევინა, მის სინდისზეა ბაგრატისა და გელათის ტაძრების იავარქმნაც… მზეჭაბუკ ათაბაგი "დამოუკიდებლად" ყოფნას არ იშლიდა, მეტიც: ისარგებლა ანტიოქიის პატრიარქის, ასევე ოსმალეთის ფარული მხარდაჭერით და მესხეთი ეკლესიურადაც ჩამოაშორა ქართლის საკათალიკოსოს. ათაბაგებმა სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაში მოაშთეს მეფისა და კათალიკოსის ხსენებაც კი. სამარცხვინო ქართველთა შორისაა მესხეთის თავადი-ოთარ შალიკაშვილი და ათაბაგ ყვარყვარეს ვაჟი-ქაიხოსრო, რომლებიც ოსმალეთის ხონთქარს სთხოვდნენ, კვლავ გამოეგზავნა ჯარი ბაგრატ მეფის წინააღმდეგ. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია ასეთი დეტალი: **''და შემდგომად ამისა წარვიდნენ ხონთქართანა ოთარი შალიკაშვილი და ქაიხოსრო ყვარყვარეს შვილი, და დიდად დაუმძიმდა ხუანთქარსა დამარცხება ჯარისა თვისისა და გამოუსია აზრუმისა დადიაბექირის ფაშა და ჯარი ურიცხვ''.** მსგავს ცნობებს იძლევა ვახუშტი ბაგრატიონიც. ბრძოლა მოხდა ქარაღაქის ველზე 1543 წელს, ოსმალთა რიცხვი 22 ათასამდე იყო. ისინი თოფ-ზარბაზნებით იყვნენ შეიარაღებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ლევან დადიანი ამ ბრძოლაში ბაგრატს გვერდით არ დაუდგა, ქარაღაქის ბრძოლა მაინც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. თვით ოსმალეთის მთავარსარდალი მუსტაფა ფაშა ამ ბრძოლაში დაიღუპა. იმერეთ-ქართლისა და გურიის გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალეთის ჯარი. ბრძოლა გაიმართა სოხოისტასთან, რომელიც ქართველთა მარცხით დასრულდა.

მიუხედავად განცდილი მარცხისა, XVI საუკუნეში იყო ქართველთა გაერთიანებისა და მტრის წინააღმდეგ ერთიანი ბრძლის მცდელობები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით განდგომას-"დამოუკიდებლობას" მესხეთის ათაბაგი იჩენდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ გადაწყვიტა მისი მორჯულება. 1535 წელს "შემოკრიბნა ბაგრატ მეფემან სრულიად სპანი იმერთანი დადიან გურიელითა... და წარვიდა დაპყრობად სამცხისა".გადამწყვეტი ბრძოლა 1535 წლის 12 აგვისტოს ახალქალაქის მახლობლად, სოფელ მურჯახეთის ველზე მოხდა. ამ ბრძოლაში ყვარყვარე ათაბაგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატ მეფემ მთელი სამცხე დაიკავა და იგი ათი წლის განმავლობაში იმერეთის სამეფოსთან იყო გაერთიანებული, თუმცა ოთარშალიკაშვილისა და ქაიხოსრო ყვარყვარეს ძის მიერ სულთნის კარზე არაერთგზის დასმენით, ოსმალეთის ძალისხმევითა და ახალი დალაშქვრის შედეგად სამცხე-საათაბაგო, ანუ მესხეთი კვლავ საქართველოსგან გამოყოფილი აღმოჩნდა. საბოლოოდ, 1578 წლის აგვისტოში ოსმალეთ-ირანის ომში ოსმალეთმა მიღწეული გამარჯვების შედეგად, ფაქტობრივად, დაასრულა მთელი მესხეთის დაპყრობა. სწორედ ეს იყო ეროვნული ტრაგედია - საქართველოს გამაერთიანებელ და გამთიშველ ძალთა საბედისწერო ჭიდილის შედეგი XVI საუკუნეში, როცა ოსმალ დამპყრობთა და ფეოდალ-მოღალატეთა ქმედებით ძალმომრეობამ გაიმარჯვა, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა ძირძველი მესხეთი, რომელშიც შედიოდა სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, თორთუმი, ისპირი, ტაო, კლარჯეთი და ჭანეთი, რომელთა ფართობი 58 815 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა და საქართველო შაგრენის ტყავივით დაპატარავდა.

მესხეთის მიწაზე ადრეც ბევრი სისხლი დაღვრილა, თუმცა XVI-XVII საუკუნეებში ისტორიული მესხეთი როგორც ზემოთაც აღინიშნა, სპარსელებისა და თურქების ბრძოლის ეპიცენტრი იყო. მიმდინარე მოვლენების საბოლოო შედეგს კი წარმოადგენდა ის რომ ოსმალებმა მოახერხეს და სრული კონროლი დაამყარეს სამცხე-საატაბაგოს სამთავროზე და საქართველოს ამ ისტორიულ მიწა-წყალს ''გურჯისტანის ვილაეთი დაარქვეს''. დაპყრობილი ტერიტორიის ზუსტი აღწერდც ჩაატარეს. 1595 წელს შედგენილი ''გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი''საყურადღებო დოკუმენტია მეცნიერებისთვის. კეროდ ''დავთრის'' მიხედვით ირკვევა, რომ 1595 წელს სამცხე-საათაბაგოში 123738 კომლია, ამათგან 12339 არის ქართველი

ქრისტიანი; მაგ: 1595 წლის მონაცემები მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ სხვილისში, ვარევანში, ტურცხში, ბურნაშეთში, აზავრეთში, კარტიკამში, აბულსა და სხვ.

დამპყრობლები, ტერიტორიის სრული დაპყრობის შემდეგ, უფრო წარმატებით ავიწროებენ, დევნიან, კლავენ ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლ თავად-აზნაურებსა და გლეხებს. ქართველების ხანგრძლივი წინააღმდეგობით გამწარებული ოსმალოები განსაკუთრებული სისასტიკით მართლმადიდებლებს ანადგურებენ. ამ დროს საქართველოს სხვა კუთხეებს შეაფარეს თავი ავალიშვილების, გოგორიშვილების, ბერიძეების, ლომსიანიძეების, მესხაძეების, მესხელების,მესხიშვილების, მუსხელაშვილების, ციციშვილების, ჯავახიძეების, ჯავახიშვილების... წინაპრებმა. ქართველთაგან დაცარიელებულ სოფლებში ოსმალოები ასახლებენ მომთაბარე თურქებს, თათრებს, თარაქამებს. ადგილზე დარჩენილი ქართველობის ნაწილშიც, ჯერ ცეცხლითა და მახვილით, მოგვიანებით კი ეკონომიკური შეღავათების გზით, მაჰმადიანობას ამკვიდრებდნენ.

მესხეთის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ თურქებმა მათი ეკონომიკური დაპყრობა დაიწყეს, რასაც მესხების გამაჰმადიანების პროცესიც მოჰყვა. სარწმუნოების შეცვლის აუცილებლობა ოსმალური მიწათმფლობელობის წესის გავრცელებამ განაპირობა, რადგან მათი კანონმდებლობის თანახმად, მიწის ფლობა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეს შეეძლო, სამხედრო სამსახურში კი მხოლოდ მუსლიმებს იღებდნენ. ისლამის მიღებას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ მოსახლეობა ვერ უძლებდა ქრისტიანებზე შეწერილი გადასახადების გადახდას. გამუსლიმებული ქართველები კი თავს ,,თურქებად'' მოიხსენიედნენ.

მე-18 საუკუნეში, მესხეთის კრიზისი ღრმავდება: მუსლიმანობის გავრცელებით იზღუდება საეკლესიო ცხოვრება და მრევლი; შესაბამისად ვიწროვდება ძირძველი სამწიგნობრო ქართული ენის გავლენის ველი. ფაქტობრივად, თურქებისვე ხელშეწყობით, ეკლესიაში ქართულს ენაცვლება სომხურიც. ოსმალოები არ ერჩოდნენ კათოლიკეებს, რადგან კათოლიკება თავისი არსით არ ნიშნავდა ქართველობას. ქართველთა ერთი ნაწილი კათოლიკე ხდება. აღნიშნულის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჟაკ ფრანსუა გამბა, რომლის მიხედვითაც, 1820-24 წლებში ახალციხის მხარეში (უდე, არალი, ხიზაბავრა, ივლიტა, წყრუთი, ვალე,

აბასთუმანი, ხერთვისი...) 500 კათოლიკე ოჯახია, მათ ორი ეკლესია აქვთ და ექვსი მღვდელი ემსახურება. ღვთისმსახურება სომხურ ენაზე წარმოებს.

XIX საუკუნის კოლა-არტაანსა და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებს მუსლიმან ქართველთა მონათხრობი ადასტურებს ისტორიული წყაროებითა და დოკუმენტებით გადმოცემულინფორმაციას. ამ მხრივ აღსანიშავია ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერები აღნიშნულ ისტორიულ კუთხეებში მოგზაურობის დროს. კერძოდ, ზ.ჭიჭინაძე წერს: ''ოლთელნი და არტაანელნი ამბობენ, რომ არტაანის ქართველებში გამუსლიმანება სწორედ იმ დროს დაწყებულა, როცა მუსლიმანობა ოლთისკენ დაწინაურებულა და გავრცელებულა. ამიტომ მთელმა არტაანმაც ბევრად ადრე მიიღო ისლამიო, ვიდრე შავშელ და აჭარელთაო. ამ გარემოებას დიდდად ხელს უწყობდა ისიც, რომ ყარსის(კარი) თემის ქართველებში მუსლიმანობა ერთობ მალე გავრცელდა. ვინც ეს არ იწამა, იმას გადასახლება უხდებოდა, ოსმალოს მთავრობა გადასახლებულთა ადგილებზედ ასახლებდა ბერძნებს, სომხებს, ქურთებს და თათრებს''.

უნდა ითქვას ისიც, რომ მესხების გამაჰმადიანების პროცესი ერთბაშად არ წარმართულა. თავდაპირველად თავადები და დიდგვაროვნები გამუსლიმდნენ და რადგან ეს იყო იძულებითი ნაბიჯი მიწების შესანარჩუნებლად მათი ოჯახის დანარჩენი წევრები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას. ეს გაგრძელდა მანამ, სანამ სულთანმა ბრძანება არ გამოსცა, რომლის თანახმადაც, მუსლიმთა ცოლებსად აუცილებლად უნდა მიეღოთ ისლამი. ბრძოლა მიწათმფლობელობის ქართულ და თურქულ ფორმებს შორის, რეალურად იყო ბრძოლა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სარწმუნოებებს შორის, რადგან ხალხის შეგნებაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის შენარჩუნება ნიშნავდა ქართველობის შენარჩუნებას და პირიქით. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ გლეხკაცობა ყველაზე თავგამოდებით იცავდა თავს და დიდხანს არ მაჰმადიანდებოდა, თურქთა თითქმის საუკუნოვანი ბატონობის პერიოდში, ამ უკანასკნელთაც მოუწიათ პოზიციების დათმობა და ახალ რჯულზე მოქცევა.

მესხეთში ანტიქრისტიანული პროცესების პარალელურად, უკვე გამაჰმადიანებულ მესხ მოსახლეობაში თურქული ენის გავრცელებისთვისაც ნოყიერი ნიადაგი მზადდებოდა. მეჩეთებთან იქმნებოდა პირველდაწყებითი სასულიერო სასწავლებლები ,,ჰადისის სახლები'',

სადაც ლოცვებსა და თურქულ ენას ასწავლიდნენ, რათა მესხების ყოველდღიურ ცხოვრებაში მშობლიური ქართული ენის ადგილი თანდათანობით თურქულს დაეკავებინა. მიუხედავად სარწმუნოებრივიდა ენობრივი ფაქტორისა, მესხები მაინც ახერხებდნენ გამიჯვნოდნენ, სხვა მუსლიმ ხალხებს, რომლებიც მათთან ერთად მოსახლეობდნენ მესხეთის ტერიტორიაზე. მაჰმადიანი ქართველობა ცდილობდა არ აღრეულიყო უცხო წარმოშობის ხალხში. მაჰმადიანი მესხები თავს თურქებად კი არ თვლიდნენ, არამედ ,,იერლი მისლიმან"-ად (,,ადგილობრივი, მკვიდრი მაჰმადიანი"), ამით ისინი ქურთებისა და თარაქამებისაგან განსხვავდებოდნენ.

ამ ყველაფრის შემდეგ გამაჰმადიანებული მესხი მოსახლეობა თურქებად შერაცხეს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ თავად თურქები მესხებს ,,გურჯი ოღლის" (,,ქართველის შვილი") უწოდებდნენ (სხვათა შორის, ეს მეტსახელი შემონახული იყო გვიანობამდე. ასპინძის რ-ის სოფ. ზემო ოშორაში 1839 და 1842 წლების აღწერებში დაფიქსირებულია ოჯახის უფროსი ალი გურჯი ოღლი, ხოლო სოფ. აბის მხვნელ-მთესველთა შორის 1847 წ. ირიცხება ისმაილ გურზინ-ოღლი).

მესხეთის საკითხთან დაკავშირებით მერაბ კოსტავა აღნიშნავდა: ,,გამორჩეული იყო კუთხე იგი, სამოღვაწეო გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულესი, მრავალთა ღირსთა მამათა სავანე, მშობელი რუსთველისა, იოანე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა და ბეშქენ ოპიზრებისა, ივანე და შალვა ახალციხელთა და ა.შ. წისქვილის დოლაბი უნდა დატრიალებულიყო ამ ხალხის თავს, მათთვის თურქნი რომ ეწოდებინათ''. მართლაც რომ მესხებისთვის საუბედუროდ დატრიალდა მოვლენები XVI საუკუნიდან. ოსმალეთის იმპერიამ, როგორც ზემოთ მოყვენილი ცნობებით დასტურდება, ყველა ღონეს მიმართა რომ სრულიად თავისი მმართველობის ქვეშ მოექცია საქართველოს ისტორიული მხარე. ოსმალეთი არ დასჯერდა მესხეთის პოლიტიკურ დაპყრობას და მოსახლეობის გამაჰმადიანების წყალობით, ისიც კი მოახერხა რომ გამუსლიმებული მესხები თავს ,,თურქებად'' მიიჩნევდნენ. კიდევ უფრო გართულდა ვითარება XX საუკუნიდან, როდესაც ქართველი ხალხის გათიშვის პოლიტიკით, რუსეთის იმპერიამ მესხეთში თურქული სკოლები გახსნა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დროიდან მუსლიმი მესხები აღარ ქართველობენ, რადგან მათთვის „ქართველი" ქრისტიანთან იყო გაიგივებული და ნაცვლად ამისა თავს „იერლიმისლიმანს" (მკვიდრი

მუსლიმანი) უწოდებდენ. მეზობელი მართლმადიდებელი და კათოლიკე ქართველები კი მათ „თათრებად“ მოიხსენიებდნენ.

1921 წლის ყარსის ხელშეკრულების მიხედვით ისტორიული მესხეთის სამხრეთი ნაწილი თურქეთის, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილი, სამცხე და ჯავახეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა. უკვე 1944 წლისთვის ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა, რადგან ,,თურქებად'' წოდებული მესხები, ,,პროთურქული'' ორიენტაციის საზოგადოება საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ საზღვრისპირა რეგიონში, არასანდოდ მიიჩნია, რაც გახდა კიდევაც მათი დეპორტაციის ერთ-ერთი მიზეზი. აღნიშნული დეპორტაცია კი განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N627-სს დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს N00117 ბრძანების საფუძველზე. იმ დროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მაჰმადიანი მესხები მოხსენიებულნი არიან, როგორც თურქული წარმომავლობისა და ეროვნების პირები. საინტერესოა, რომ 1944 წელს მესხეთიდან გასახლებულ პირთა საერთო სახელად დღემდე დამკვიდრებულია მათი საერთო სახელი ,,თურქი მესხები''. გამომდინარე იქიდან, რომ ისტორიული წყაროების მესხები ქართველთა ერთ-ერთი ჯგუფია, შეგვიძლიია ვთქვათ, რომ ,,თურქი მესხი'' ისეთივე აბსურდული ტერმინია როგორც, მაგალითად, ფრანგი რუსი.

ოსმალეთის იმპერიის მიერ მეთექვსმეტე საუკუნიდან დაწყებილი მესხეთის ტერიოტიული დაპყრობის, პოლიტიკური დამონებისა და ისლამიზაციის პროცესი ადგილობრივებისთვის რა თქმა უნდა აუტანელ საცხოვრებელ პირობებს ქმნიდა და აუარესებდა მათ ყოფას. საქართველოს აღნიშნული ისტორიული კუთხის ტერიტორიული დამორჩილების შემდეგ, ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულმა მუდმივმა წნეხმა, რომელიც მიზნად ისახავდა იმას, რომ მათ დაევიწყებინათ მშობლიური ენა, შეეცვალათ თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების წესი, რელიგიური აღმსარებლობა და შეიძლება ითქვას ეროვნებაც კი, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა ისლამიზაციის პროცესის წყალობით გამუსლიმებული ქართველები თავს ,,თურქებად'' თვლიდნენ, განსაზღვრა მესხებისა და მესხეთის შემდგომი ბედიც. გამომდინარე იქედან, რომ ჯერ რუსეთის იმპერიის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის მმართველობის დროს არანაკლებ მძიმე იყო გამაჰმადიანებული მესხების

მდგომარეობა, რასაც ადასტურებს მათი დეპორტაცია, რომელსაც შემდგომში მოჰყვა საქართველოს ტერიტორიიდან გადასახლებული ქართველების მიერ სამშობლოში დაბრუნების მიზნით რეპატრიანტული მოძრაობის დაწყება, შეგვიძლია თვქვათ, რომ ოსმალეთის იმეპრიის დაწყებული პოლიტიკა, მიმართული იმისაკენ, რომ მესხეთი დანარჩენი საქართველოსაგან გამოყოფილი ყოფილიყო, საბოლოოდ საბჭოთა კავშირმა დაასრულა. განვითარებულმა პროცესებმა წარუშლელი, ტრაგიკული კვალი დატოვა საქართველოს ისტორიულად განუყოველი მხარის-მესხეთის განვითარებასა და მესხების ცხოვრებაში.

რ ე ლ ი გ ი ა

ბიბლია ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში - შესაქმე

ანი ბალიაშვილი, ლელა ჯაბანიშვილი, მიხეილ სოტიროვი

ბიბლია თავისი მოცულობითა და შინაარსით უნიკალური ნარატივია. იგი ერთი შეხედვით რელიგიური წიგნია, თეოლოგიური, ეზოთერული, მითოლოგიური და ნახევრად ფოლკლორული ასპექტებით, თუმცა ამავდროულად მონუმენტური მასშტაბის ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ანთროპოცენტრულ ხასიათს ატარებს.

შესაძლებელია, რომ ბიბლიის ნარატიული წყაროები, რომლებიც სხვა უფრო ძველიწყაროებიდან გამომდინარეობს, პირობითად რამდენიმე ნაწილად დავყოთ. ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ,,დაბადება'' - შესაქმე, რომელიც ბიბლიის პირველ წიგნს წარმოადგენს. დაბადების დასაწყის პასაჟებში აქცენტი კეთდება ღმერთის მიერ სამყაროს შესაქმისა და წარღვნის თემაზე, ვრცლადაა მოთხრობილი პატრიარქებსა და მათ ღვაწლზე, თხზულების დასასრულს კი - იოსების ისტორიას ვხვდებით.

ბიბლიის აღნიშნული მონაკვეთი ,,კოლექტიურ ნაშრომს'' წარმოადგენს, რომელსაც რამდენიმე ავტორი უნდა ჰყოლოდა ისრაელის სხვადასხვა თაობიდან. მოზაიკური კანონების ავტორობის საკითხი ეჭვქვეშ დგას. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსე როდია ერთადერთი პატრიარქი, რომელიც ამ კანონებზე მუშაობდა და ,,დაბადების'' ავტორობა მიეწერება.
,,დაბადების'' პასაჟებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მისი ავტორი შესანიშნავად იცნობდა ეგვიპტურ გარემოს, იმ ქვეყნის ადათ-წესებსა და ენას. საინტერესოა, რომ დაბადების ენა არქაულია. აღნიშნული თხზულება გვევლინება უძველეს ,,სახელმძღვანელოდ'', რომელშიც აღწერილია როგორც ებრაელი პატრიარქების ცხოვრება და დიდ ერად ქცევის ამბავი, ისე - შუქდება მათი მეზობელი ეთნოსების ,,კულტურულ ერად'' ჩამოყალიბების პროცესი.

პირველ წიგნს ებრაულად ჰქვია ''bereschith'' (,,დასაბამად''), რადგან ეს წიგნი ამ სიტყვით იწყება. სეპტუაგინტას ბერძნულ თარგმანში აღნიშნულ თხზულებას ეწოდება ,,გენეზისი'', ქართულში კი - ,,შესაქმე'', ვინაიდან წიგნის შინაარსს გამოხატავს, რომელიც ქვეყნიერების შექმნასა და ებრაელთა შორის ძველი აღთქმის ეკლესიის დაფუძნებაში მდგომარეობს. წიგნი სინას უდაბნოში დაიწერა. მისი მიზანია, აჩვენოს დასაბამი ღვთის ეკლესიისა ქვეყანაზე და,

ასევე ისიც, თუ როგორ იფარავდა ღმერთი რჩეულ ერს ბოროტი და გარყვნილი ხალხისგან.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ,,შესაქმის'' წიგნი შინაარსის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა: 1.ქვეყნიერებისა და ადამიანის გაჩენა (1-2,3); 2.ისტორია ღვთის ეკლესიისა, სამოთხეში მისი დაარსებიდან აბრაამის მოწოდებამდე (2,4-11,26); 3.ეკლესიის ისტორია აბრაამიდან იოსების სიკვდილამდე (10,27-50).

ბიბლიის კრიტიკული შესწავლისას მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რატომ დაწერა მოსემ თავისი წიგნები. საინტერესოა სირიელი საეკლესიო მოღვაწის, წმ. ეფრემ ასურის მოსაზრება ამ საკითხზე: ,,პირველი ადამიანების გონებაში შემოქმედის მიერ ჩადებული იყო ჭეშმარიტი ცოდნა ღმერთის შესახებ და ეს ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა'', თუმცა, რაც აბრაამის შთამომავლობა გადასახლდა ეგვიპტეში, დაივიწყეს ცოდნა ჭეშმარიტღმერთზე და დაიწყეს კერპთაყვანისმცემლობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ღმერთის შთაგონებით მოსემ ებრაელთა გამოფხიზლება და ღმერთის რწმენის აღდგენა ამ მიზეზთა გამო დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ პირველი წიგნის, ,,შესაქმის'' გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. უპირველესად ხაზი უნდა გავუსვათ მოსაზრებას, რომ თითქოს მოსეს დროს დამწერლობა არ არსებობდა მაშინ, როდესაც გამოკვლევები საპირისპირო ფაქტზე მეტყველებს და აბსურდულიც კი იქნება საკითხის დასმა, იცოდა თუ არა წერა მოსემ, ვინაიდან დიდი რაოდენობით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებიამტკიცებენ, რომ დამწერლობა მანამდეც ფართოდგავრცელებული იყო.

კრიტიკოსთა ნაწილის აზრით, ,,შესაქმის'' წიგნის საფუძველი ძველი აღმოსავლეთის ხალხების, კერძოდ ბაბილონელთა,მითოსიდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ამ უძველეს ნარატივში ვხვდებით პოლითეიზმსა და ამასთან, ღმერთებს შორის ბრძოლებს, რაც ეწინააღმდეგება ებრაელთა მონოთეისტურ რელიგიას, თუმცა ამ უნიკალური კულტურულ-რელიგიური დოკუმენტების შედარებისას შეგვიძლია, რომ გამოვავლინოთ მრავალი მსგავსება თუ განსხვავება, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სამყაროს შექმნისა და პირველი ადამიანების დაბადების თემაძველი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურისთვისაც ნაცნობი იყო, რაც მათ მითოლოგიურ ტექსტებშიც გამოვლინდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ,,შესაქმის'' თემის საფუძველი შეიძლება, ვეძიოთ ბაბილონისკენ. აქ ვხვდებით ბაბილონურ ეპიკურ თხზულებას ,,ენუმა ელიშს'', სადაც მოთხრობილია ამბები სამყაროს შექმნის შესახებ. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ბიბლიური ,,შესაქმის'' კავშირი ბაბილონურ ,,ენუმა ელიშთან'' ბოლომდე გამოკვეთილი არ არის, თუმცა ნარატივთა შედარებისას მაინც შეიმჩნევა გარკველი მსავსებები.

მსგავსება განსაკუთრებით ნათლად ჩანს ლინგვისტურ დონეზე. მაგალითად, ტერმინი თეჰომ („ღრმა'')ჩნდება დაბადებაშიც. ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით, შესაძლებელია,აღნიშნული სიტყვა უკავშირდებოდეს ბაბილონურ ქალღმერთ თიამათს. გარდა ამისა, ,,ენუმა ელიშის'' ვერსიაში ვხვდებით ცნობებს აპსუ-თიამათის სიყვარულის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ თემატურად ეს ადგილი არ ემთხვევა შესაქმის პასაჟებს, მაინც იკვეთება გარკვეული მსგავსება, კერძოდ, ბიბლიაში ნახსენები ,,წყლები''მრავლობითშია და გამოიყოფა მათი ორი კატეგორია.

ასევე, ,,შესაქმე'' მოგვითხრობს დედამიწაზე წყლისა და მიწის განცალკევების შესახებ, რის შემდეგაც ღმერთი მცენარეების შექმნას იწყებს. იქმნება ცის დიდი და მცირე მნათობები- მზე, მთვარე და ვარსკვლავები, რომლებიც ნათელს ჰფენენ სამყაროს და, ამავდროულად, გვევლინებიან დღე-ღამის მონაცვლეობისა და წელიწადის დროთა აღმნიშვნელად. მოგვიანებით ღმერთი ისევ დედამიწას უბრუნდება და შობს ცის, მიწისა და წყლის ბინადრებს, საბოლოოდ კი მისი ღვაწლი გვირგვინდება ადამიანის შექმნით ,,ხატად და მსგავსად თვისისა''.



მიქელანჯელო - ,,ადამის შექმნა''

თხრობა გრძელდება პირველი ადამიანის გარშემო, რომელსაც ღმერთიმეორე ნახევარს შეუქმნის ქალის სახით: ,,ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ''. ადამიანი ბუნების ,,მეუფე'' ხდება, თუმცა იგი მალევეგადაუხვევს ღვთის ნებას და იგემებს ,,ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობის'' ნაყოფს, რომელიც ადამიანს ,,ყველაფრის შეცნობის'' უნარს მისცემს. ადამიანმა, ღმერთისმსგავსად, დაიწყო კეთილისა და ბოროტის საიდუმლოებათა დანახვა, რომელიც უნივერსალურცოდნას ეფუძნებოდა. ნიშანდობლივია, რომ ,,კეთილი და ბოროტი'', როგორც კომპოზიტი, ეგვიპტურშიც გვხვდება და ,,ყოველივეს, ყველაფერს'' მოიაზრებს.

პირველი ადამიანი აბსოლუტური ცოდნის შემეცნებისკენ სწრაფვისთვის დაისაჯა და ცოდვილი ადამი ედემის ბაღიდან განიდევნა. პარალელიზმი, კაცთა მოდგმის თანდათანობითი ინვოლუციის მომასწავებელი, გვხვდება ერთი მხრივ, ადამსა და ევას, მეორე მხრივ - ბაბილონის გოდოლს შორის, ვინაიდან ორივეგან ადამიანი ცდილობს, გაუტოლდეს ღმერთს - პირველ შემთხვევაში, ,,ცნობადის ხის'' ნაყოფის გემოს ხილვით, მეორე შემთხვევაში კი - ცასთან შემაერთებელი გოდოლის აგებით, რასაც შუამდინარელნი დურ-ან-ქის უწოდებდნენ და დიდი შთაგონებით აშენებდნენ. საბოლოოდ, ედემის ადამმა, ღვთიური ცოდნის ნაცვლად, სიკვდილი ჰპოვა ანუ დაკარგა სულისა და ხორცის განუყრელი ერთიანობა, შინეარის ხალხი კი - იმის ნაცვლად, რომ ზეცას მისწვდომოდა, დედამიწის ზურგზე გაიფანტა და სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდა, რამაც საბოლოოდ გათიშა კაცობრიობის ერთი ორგანიზმი.

საინტერესოა, რომ მარადიული სიცოცხლის პრობლება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ძველაღმოსავლურიფილოსოფიისა და ლიტერატურისთვის. ბიბლიური ადამისა და ევას გამოძევებას მოჰყვა პირველი ადამიანების გამრავლება და შთამომავლობის გავრცელება. ადამის ძენი - კაენი და აბელი წარმოგვიდგებიან, როგორც მიწათმოქმედი და მწყემსი. მათ შორის დაპირისპირება, განსხვავებული ცხოვრების წესის გამო, ფაქტობრივად, გარდაუვალი იყო, რამაც თავი იჩინა რელიგიური კულტმსახურების დროს - თითქოს კაენის მიერ ძღვნად მირთმეული მიწის პირველი ნაყოფი ღმერთს ნაკლებად ეამა, განსხვავებით აბელისგან, რომელმაც მსხვერპლად რჩეული პირუტყვი შესწირა. სწორედ ეს გახდებასაფუძველი ძმათა შორის პირველი კონფლიქტისა, რასაც აბელის სიცოცხლე შეეწირება.

საინტერესოა, რომ მოცემული ამბების პარალელი უნდა ვეძიოთკვლავ შუამდინარულ მითებთან, რომელშიც გადმოცემულია ქალღმერთ ინანას არჩევანი მწყემსი დუმუზისადმი საქმროთა არჩევის დროს. ერთ-ერთი შუმერული ტექსტის თანახმად, რომელსაც ,,ინანას ნიშნობის'' სახელით მოიხსენიებენ, ნათელი ხდება, რომ ურუქის ტერიტორიაზე ქალღმერთ ინანას გულის მოსაგებად ერთმანეთს ექიშპებინ მწყემსი დუმუზი და მიწათმოქმედი ენქიმდუ. მიუხედავად იმისა, რომ ქალღმერთს განსაკუთრებით ხიბლავდა მიწათმოქმედი და მისი მოვლილი ბაღები თუ ყანები, ბოლოს მაინც მწყემს დუმუზზე ქორწინდება.

უნდა აღინიშნოს, რომ შესაქმის სხვადასხვა ვარიანტები (ესქატოლოგიური მითები) თემატურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მათგან ყველაზე ცნობილია ბაბილონურივერსია - ,,ენუმა ელიში'', რომელშიც გადმოცემულია კოსმოსის ფორმირების, ღმერთების გაჩენის (თეოგონია), მათი ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის სიუჟეტები.

არა ნაკლებ საინტერესოა სამყაროს შესაქმის ეგვიპტური ვერსიები. იქიდან გამომდინარე, რომ ძველ ეგვიპტეში არა ერთი რელიგიური ცენტრი არსებობდა და თითოეულს თავისი კოსმოგონიური სისტემა ჰქონდა, სამყაროს შექმნის სხვადასხვა ვერსია გაჩნდა. რას კულტის აღზევების შემდეგ (V დინასტიის ეპოქა), ქვეყანაში გაბატონდა ჰელიოპოლისური კოსმოგონია, რომლის თანახმადაც ყოველი ღვთაებრივისა და ცოცხალის (ყოფიერის) პირველსაწყისი და წარმომქმნელია ღმერთი ატუმი, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, ქაოსიდან - ნუნიდანაა მოვლენილი. ქალაქ მემფისის აღზევებას მოჰყვა ახალი კოსმოგონიური სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც სამყაროს დემიურგი ღვთაება პტახი იყო. მისი სიტყვის ძალით გაჩნდნენ ღმერთები და მათი ტაძრები, ხელოსნობა და ხელოვნება, სამყარო და მისი კანონები. შუა სამეფოს ხანაში სამყაროს შემოქმედი გახდა უნივერსალური ღმერთი ამუნი, რომლის სახელსაც მიაწერდნენ მიწის, ადამიანებისა თუ ცხოველების შექმნას. ამუნი ,,მამაა ყოველთა, ერთადერთი არსი ყოვლისშემოქმედი, რომლისგანაც წარმოდგა კაცობრიობა და ღმერთები, იგია მეუფე, სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ძალა'' (,,ამუნის ჰიმნი'', ლეიდენის პაპირუსი).



სამყაროს შესაქმე (ეგვიპტური მითოლოგია)

ამასთანავე, საინტერესოა შუმერების ინტერპრეტაცია ამ საკითხთან მიმართებით. სიტყვებით ,,მთელი ქვეყნიერება ზღვა იყო ოდენ'' ერთდროულად გამოიხატება შუმერის ქვეყნისა და სამყაროს შექმნის მითოლოგემა. წყლის სტიქიონი, ვითარცა დასაბამი ყოველივე არსებულისა, ბევრი ხალხის მითოლოგიაში დასტურდება. ეგვიპტური პირამიდების წარწერებში შესაქმის წინადროული მდგომარეობა გამოხატულია იეროგლიფით, რომელშიც ნათლად იკვეთება ერთმანეთის პარალელური ჭავლები, - ესაა ნიშანი ნუნისა, პირველარსებული ქაოტური მორევის, საიდანაც წარმოიშვა შემოქმედი ღვთაება. როგორი მდგომარეობა გვაქვს ბერძნებთან? ბერძნული ფილოსოფიის გარიჟრაჟზე საგანთა არქეს მაძიებელ თალესსაც აღუნიშნავს, ,,ყველაფერი წყლიდან წარმოიშვაო'', რაც ბაბილონურ მითოლოგემას ემთხვევა. ზემოთ ნახსენები სიტყვების ,,მთელი ქვეყნიერება ზღვა იყო ოდენ'' პარალელების ძებნას თუ დავიწყებთ, უთუოდ გაგვახსენდება ბიბლია, რომლის მიხედვითაც პირველი სიცოცხლე წყალში ჩაისახა. აგრეთვე, ,,დაბადების'' საინტერესო ეპიზოდებია წარღვნისა და ,,ბაბილონის გოდლის თემა'', რომელიც კიდევ უფრო სრულყოფს აღნიშნულ წიგნს.

რომ შევაჯამოთ, შესაქმე ბიბლიის პირველი და ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო წიგნია სამყაროს შექმნის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არა ისტორიული, არამედ - რელიგიური თხზულებაა, მაინც შეგვიძლია მისი ისტორიულ წყაროდ გამოყენება შესაბამისი მეთოდოლოგიისა და წესების დაცვით.



ბიბლიის რამდენიმე მნიშვნელოვანი მუხლის ქრისტიანულ-ისლამური ინტერპრეტაციისათვის

რატი რამიშვილი

აბრაამულ რელიგიებს, მეტადრე, ქრისტიანობასა და ისლამს მრავალი საერთო თუ განმასხვავებელი ნიშანი აქვს. ამ განსხვავებებს კი ბადებს სხვადასხვა დოგმატი, წესი, რომელიც ემყარება კონკრეტული სარწმუნოების წმინდა წერილს. ამ შემთხვევაში ბიბლიას, ანუ თანახსა და სახარებას (არაბ. ,,ალ-'ინჯილ") და ყურანს.

საიდუმლო არ გახლავთ, რომ ორი წმინდა წერილის მიმდევრები ცდილობენ დაამტკიცონ თავიანთ სარწმუნოების სიმართლე და საყოველთაო ჭეშმარიტება სწორედ ხსენებული წიგნების მეოხებით: ქრისტიანმა ბიბლიით, ხოლო მუსლიმმა ყურანითა და ავთენტური ჰადისებით. თუმცა ნებისმიერი ადამიანი დაეთანხმება მოსაზრებას, რომ გაცილებით უფრო წონადი და ავტორიტეტულია, როცა საპირისპირო აზრს, კონკრეტულ შემთხვევაში კი სხვა სარწმუნოების ადამიანს თავისივე წიგნიდან უმტკიცებ ამა თუ იმ აზრს, რომელსაც აყენებ შენი რელიგიის სამსახურში.

ქრისტიანობამ და ისლამმა არსებობის მანძილზე უზარმაზარი გამოცდილება დააგროვა. ეს გამოცდილება, უპირველესად, აისახა მათ დოქტრინულ, თავისებურ მიდგომებზე, როცა საქმე ეხებოდა პოლემიკას სხვადასხვა საკითხზე, რომლებზეც ვერ თანხმდებოდა ორი რელიგია: სამების დოგმატი, იესო ქრისტეს ღმერთობა, მუჰამადის წინასწარმეტყველური მისია, წმინდანთა კულტი, ხატთაყვანისცემა და, რაც მთავარია, ისლამის უკანასკნელი წინასწარმეტყველის და ,,წინასწარმეტყველთა ბეჭედის" (არაბ. Khatam an-nabiyyin)1 -

მუჰამადის ქრისტიანთა და იუდეველთა წმინდა წერილებში მოხსენიების შესახებ დაუსრულებელი კამათი და თავისებური ინტერპრეტაციები. სწორედ ამ უკანასკნელზე ვისაუბრებთ და გადმოვცემთ ორი მხარის პოზიციას ბიბლიის ამა თუ იმ პასაჟზე.

რასაკვირველია, შეუძლებელია მოვიხსენიოთ ყველა ინტერპრეტაცია, რომ არაფერი ვთქვათ მათ ჯეროვან განმარტებებზე. თუმცა აუცილებელია წარმოვადგინოთ ის ძირეული განმარტებები, რომლებიც აჩვენებს როგორც კონკრეტული რელიგიის დოგმატურ-პოლემიკურ მიდგომებს, ისე კონტექსტს.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მუჰამადი, როგორც ბიბლიის წერილებში ნაწინასწარმეტყველები მოციქული, პირდაპირ მითითებულია ყურანში შემდეგი სიტყვებით: ,,ისინი, რომელნიც მიჰყვებიან მოციქულს, უწიგნურ წინასწარმეტყველს, იმას, ვისზედაც ნახავენ დაწერილს თავიანთ თავრათსა და ინჯილში...“ (,,ყურანი“; 7:157. იმავე აზრს ატარებს შემდგომი აია: ,,და აჰა, უთხრა ‘ისა იბნ მარიამმა: ო, ისრაელის ძენო, ჭეშმარიტად, მე ვარ მოციქული ალაჰისა თქვენთან, დასადასტურებლად იმისა, რაც ჩემს უწინაა თავრათისგან და მახარებლად მოციქულის, რომელიც მოდის ჩემს შემდეგ. მისი სახელია აჰმადი.“ (,,ყურანი“ 61:6). ამ და სხვა რამდენიმე მუხლზე დაყრდნობით დაწყებული ისლამის პირველი საუკუნეებიდან დღემდე მუსლიმები ეკამათებიან ქრისტიანებს მუჰაადის წინასწარმეტყველური მისიის დასაცავად.

ჯეროვანია, გადავიდეთ უშუალოდ ბიბლიური პასაჟებზე და წარმოვადგინოთ მათი განმარტებები ორი აბრაამული რელიგიის შუქზე.

პირველ რიგში, უნდა შევჩერდეთ ,,მეორე რჯულის“ წიგნის 18:15-18-ზე, როცა მოსე მიმართავს ებრაელებს: ,,წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე... შენ რომ ხარ ისეთ წინასწარმეტყველს დავუდგენ მოძმეთა წრიდან, ბაგეზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებს ყველაფერს, რასაც მე ვუბრძანებ.“ (,,მეორე რჯული“; 18:15-18). - ტრადიციული ქრისტიანული განმარტებებით ეს მუხლი მიემართება ქრისტეს, როგორც წინასწარმეტყველს ,,ახალი აღთქმისა.“ ,,მოციქულთა საქმეებში“ სწორედ ამ მუხლს იმოწმებს იუდეველთა

დასარწმუნებლად პეტრე: ,,მოგივლინოთ თქვენთვის წინასწარ აღთქმული იესო ქრისტე... მოსემ თქვა: ,,უფალი ღმერთი ჩემნაირ წინასწარმეტყველს აღგიდგენთ თქვენი მოძმეებიდან, ყურად იღეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით...“ (,,მოციქულთა საქმეები“, 3;20-22). როგორც ვხედავთ, ქრისტიანთა უპირველესი წიგნი - ,,ახალი აღთქმა“ განმარტავს და უკავშირებს ამ მუხლს იესო ქრისტეს. გარდა ამისა, მესიის ,,მოსესთან მსგავსების“ დასადასტურებლად არსებობს შემდეგი ძირითადი არგუმენტები:

როდესაც მოსე დაიბადა ფარაონმა განაცხადა, რომ ისრაელიან ახალშობილ ბავშვებს ამოხოცავდა. მსგავსად, როცა იესო დაიბადა, მეფე ჰეროდემ გასცა მსგავსი განკარგულება, რომ ყველა ებრაელი ბავშვი ორი წლისა და კიდევ უფრო უმცროსი ამოეხოცათ (იხ. მათე 2; 16-18.).

იმისთვის, რომ მოსე გადარჩენილიყო, დედამისმა გაგზავნა იგი ეგიპტეში. როდესაც მოსე გახდა სრულწლოვანი, იგი გამოვიდა ეგიპტიდან, რადგან გამოარჩია უფალმა, რათა ეხსნა ხალხი. ანალოგიურად, ქრისტეს დაბადებისას მათეს სახარების 2;13-15-ე მუხლები გვეუბნება, რომ: ,,უფლის ანგელოზი გამოეცხადა სიზმარში იოსებს და უთხრა: ,,ადექი, წაიყვანე ყრმა და მისი დედა და გაიქეცი ეგვიპტეს და იყავი იქ, ვიდრე მე გეტყოდე; ვინაიდან ჰეროდეს სურს მაგ ყრმის მოძებნა, რათა დაღუპოს იგი.“

მოსე იყო შთამომავალი ლევისა, შთამომავალი იაკობისა, ებრაელი, ასევე იესოც იყო ებრაელი. დედამისი - მარიამი კი შთამომავალი დავით მეფისა (მეფსალმუნე).

,,გამოსვლათა“ წიგნის მიხედვით, მოსეს სახე ასხივებდა და ბრწყინავდა ღვთის დიდებისაგან. (იხ. გამოსვლათა 34;29-30,35). ანალოგიურად, ქრისტეს სახეც ბრწყინავდა და ასხივებდა, რამეთუ გამოჩნდა ღვთის დიდება თაბორის მთაზე ფერისცვალებისას. (იხ. მათე 17;1-5).

მოსემ შესთავაზა ღმერთს თავისი თავი შესაწირად, რათა ეპატიებინა ებრაელი ხალხისათვის ღმერთს კერპთაყვანისცემა. სახარების მიხედვით, იესომ შესწირა თავი კაცთა ცოდვებისათის. (ოთხი ,,სახარება“ ადასტურებს ამას).

როგორც გასული საუკუნეების, ისე თანამედროვე ქრისტიანი თეოლოგები ხსენებული არგუმენტებით ცდილობენ განმარტონ და დაიცვან თავიანთი პოზიციები ამ ბიბლიური პასაჟის მიმართ.



რადიკალურად განსხვავებულია მუსლიმთა აზრი ამ წინასწარმეტყველურ მუხლზე. ცნობილი მუსლიმი ღვთისმეტყველების (აჰმად დიიდათი, ზაკირ ნაიკი, იუსუფ ესთესი, შაბირ ალი, ჯამალ ბადავი და სხვ.) ნაშრომებსა თუ საჯარო ლექციებში ხაზგასმულია, რომ ხსენებულ ადგილას საუბარია მუჰამადზე, როგორც ,,მოსეს მსგავსს წინასწარმეტყველზე". მათი აზრით, სიტყვები ,,მოძმეთა წრიდან" მიემართება არაბებს, როგორც ებრაელთა სემიტ ძმებს.

მე-20 საუკუნის დიდი მუსლიმი თეოლოგი აჰმად დიიდათი ამბობს: ,,მოსეს, მშვიდობა მას, და მის ხალხს, ებრაელებს, აქ ღმერთი მიმართავს, როგორც ეროვნულ-ეთნიკურ ერთობას და ამ შემთხვევაში მათი ძმები უეჭველად არაბები უნდა იყვნენ." (Deedat A., What the Bible says about Muhammed; 1970, pg. 33).

ქრისტიანთაგან განსხვავებით, მუსლიმები აქცენტინტირებენ ,,მოძმეთა წრეზე", როგორც ისააკის შთამომავლების (ებრაელების) ,,ძმებზე" - ისმა'ილის შთამომავალ არაბებზე, რომლიდანაც წარმოიშვა მუჰამადი.

მეტიც, თანამედროვე ცნობილი მუსლიმი თეოლოგი ჯამალ ბადავი დასძენს: ,,რთულად მოიძებნება ისეთი ორი წინასწარმეტყველი ერთმანეთის მიმართ მსგავსებით, როგორიც მოსე და მუჰამადია (მშვიდობა მათ). ორივეს მიეცა ყოვლისმომცველი რჯულის კანონი, ორივეს ჰყავდა უთვალავი მტერი, იყვნენ გამარჯვებულნი მრავალ ბრძოლაში, ორივე იყო თავისი ხალხის წინასწარმეტყველი, ორივეს მოუწია თავი დაეღწიათ მკვლელობისგან მიგრაციით,2 მსგავსებები მოსესა და მუჰამადს შორის ჩანს მათ ადამიანურ ცხოვრებაშიც..." (იხ. Badawi J. Dr., Muhammad in the Bible, 2005., pg. 28-29).

ქრისტიანი აპოლოგეტი ჯონ გილქრისტი მუსლიმთა ხსენებულ ინტერპრეტაციას ასე წარმოგვიდგენს: ,,1. მოსე და მუჰამადი გახდნენ სამხედრო მეთაურები და სულიერი ლიდერები თავიანთი ხალხისა. 2. მოსესა და მუჰამადს თავდაპირველად ეურჩებოდა საკუთარი

ხალხი. 3. მოსემ და მუჰამადმა შექმნეს შესაძლებლობა თავიანთი გარდაცვალების შემდეგ პალესტინის ტერიტორიის სწრაფი და წარმატებული დაპყრობისა, თავიანთი ნაცვლების (მიმდევრების) იესო ნავეს ძისა და 'უმარის თაოსნობით." (იხ. სტატიაში ვრცლად: Gilchrist J., Is Muhammad foretold in the Bible?.,)

მსგავსად, ცხელი დებატების საგანია ესაია წინასწარმეტყველის (ძვ.წ VIII საუკუნე) წიგნის 29-ე თავის მე-12 მუხლი, რომელსაც, როგორც დავინახავთ, არ გააჩნია მესიანისტური ღირებულება ქრისტიანობაში, განსხვავებით ისლამისა.

კონტექსტი შემდეგს გვამცნობს: ,,იქნება თქვენთვის მთელი ეს ხილვა, როგორც დაბეჭდილი წიგნის სიტყვები, რომელსაც აძლევენ წიგნის მცოდნეს და ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ შემიძლია, რადგან დაბეჭდილია წიგნი. ეძლევა წიგნი წიგნის უცოდინარს და ეუბნებიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ ვიცი წიგნი. თქვა უფალმა: პირით მომიახლოვდა ეს ხალხი და ბაგით მადიდებს მხოლოდ, გულით კი შორს არის ჩემგან და გაზეპირებულ ანდერძად ექცათ ჩემდამი მოწიწება..." (ესაია, 29:11-13).



ტრადიციული ქრისტიანული განმარტება ამ მუხლს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ უთმობს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, არ გახლავთ მესიანისტური. ქრისტიანთა აზრით, ესაიას მთელი 29-ე თავი მიემართება ებრაელებს, რომელნიც ამ პერიოდში არ ემორჩილებოდნენ ღვთის სიტყვას, მხოლოდ ბაგეებით ადიდებდნენ ღმერთს და არა გულით, არ აღასრულებდნენ ისინი ჯეროვნად მოსეს რჯულს. ამიტომ არის აღნიშნული, რომ არც ,,წიგნის მცოდნემ" და არც ,,არ მცოდნემ" არ იცის ,,დაბეჭდილი წიგნი", რამეთუ არ შეუმეცნებიათ გულით. ცნობილი ქრისტიანი აპოლოგეტი მეთიუ ჰენრი (1662-1714) განმარტავს რა ამ პასაჟს და დასძენს: ,,ღვთის წერილები3 ,,დაბეჭდილია" მთელი კაცობრიობისთვის, განათლებულისა თუ გაუნათლებელისათვის... ისინი4 ისრაელის ღმერთს თაყვანს სცემდნენ მხოლოდ თავიანთი ტრადიციების მიხედვით და არა გულით..." (იხ. ინტერნეტვერსია: Henry M., Commentary on the Whole Bible (Complete); Commentary on the book of Isiah,. Chapter 29).

ილინოისის პროფესორი დეივ მილერი უშუალოდ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ასეთ დასკვნას გვამცნობს: ,,ყურადღება მიაქციეთ, რომ ესაია ჯერ აღწერს თანამედროვე ხალხის უნებისყოფობას, რათა დაენახვებინა სიმართლე (საერთო სახე) ჯერ მათი შედარებით ,,წიგნის მცოდნესთან", რომელსაც ეუბნებიან წაიკითხოს რაღაც, მაგრამ ის უარყოფს და თავს იმართლებს, რომ წიგნი დაბეჭდილია. შემდგომ წიგნი გადაეცემა გაუნათლებელ ადამიანს, რომელიც თავს იმართლებს იმით, რომ მან არ იცის წიგნი. საქმე ისაა, რომ ესაიას თანამედროვე ხალხი არ აქცევდა ყურადღებას ღმერთის სიტყვას, რომელსაც ამბობდა წინასწარმეტყველების მეშვეობით. თავიანთი დახშული გონებით ისინი ეწამებოდნენ ღვთის არშესმენის გამო, როცა ასურელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს. მაგრამ, ჩვეულებრივ, ღმერთმა გამოავლინა უკეთესი დღე, როცა ხალხი მოუსმენდა მას. (იხ. მე-17 მუხლი). " - ასკვნის თეოლოგი. (იხ. Miller D. Ph.D., Apologetics Press., Is Muhammad Mentioned in the Bible?; 2003).

რადიკალურად განსხვავებულია მუსლიმების დამოკიდებულება ხსენებულ მუხლთან. მუსლიმი თეოლოგები, ფაქტობრივად, ყველაზე ძლიერ და ცხად მტკიცებულებად მიიჩნევენ ესაიას 29:12-ს, როგორც უცხადესს წინასწარმეტყველებას მუჰამადზე. ისლამის მიმდევრების რწმენით, მუჰამადმა არ იცოდა წერა კითხვა, ის არ იყო საერო მეცნიერებების მცოდნე. (იხ. Gunther S., Journal of Qur'anic studies; Muhammad, the Illiterate prophet: An islamic creed in the Qur'an and Qur'anic exegesis,. 2002, pg. 3).

თანამედროვე ისლამის უდიდესი ავტორიტეტი, პროფესორი ზაკირ ნაიკი ერთ-ერთ საჯარო ლექციაში აცხადებს: ,,ეძლევა წიგნი წიგნის უცოდინარს და ეუბენიან: წაიკითხე, ის კი ამბობს: არ ვიცი წიგნი." - სწორედ ეს მოხდა, როცა გამოცხადება მიეცა უკანასკნელ წინასწარმეტყველ მუჰამადს (მშვიდობა მას). ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ გამოცხადება მან მიიღო ჰირას მთაზე მთავარანგელოზი ჯაბრა'ილისგან[5], როცა ანგელოზმა უთხრა მას: ,,წაიკითხე!", მან კი უპასუხა: ,,არ ვიცი კითხვა" (არაბ. Ma 'ana bi'qarii')[6] ეს ზუსტად აღსრულებაა ესაიას წინასწარმეტყველებისა."-ამბობს პროფესორი. (იხ. ვიდეოვერსია: Naik Z. Dr. , Prophet Muhammad (pbuh) Prophesied in the Bible in the Book of Isaiah., 2020, Jun 22). ამის შემდეგ იქნა განსაკუთრებით ატაცებული ხსენებული განმარტება ბიბლიის ამ მუხლისა სხვადასხვა თეოლოგიურ წრეებში.

აღსაღნიშნავია, რომ საჰიჰ ალ-ბუხარის ავთენტურ ჰადისში - ,,,გამოცხადების წიგნში“ (بدء باتك الوحي) მოხსენიებულია სწორედ ხსენებული გამოცხადების გარდამოვლენა ჯაბრა’ილისგან. მას გადმოსცემს ‘აიშა. (იხ. Sahih Al-Bukhari., Revelation., Hadith 3; Narrated 'Aisha (the mother of the faithful believers).

სტატიის ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანობისა და ისლამის, როგორც ორი მნიშვნელოვანი აბრაამული რელიგიის ძირითადი დოგმატური განსხვავებები გამომდინარეობს მათი შეხედულებებისაგან, რომლებიც, მიემართება კონკრეტულ შემთხვევაში ერთ-ერთ წონად და ავტორიტეტულ წიგნს - ,,ბიბლიას“.

როგორც დასაწყისში ვახსენეთ, შეუძლებელია ყოველი ინტერპრეტაციის, შეხედულებისა თუ პოლემიკური საგნის გადმოცემა. არც ერთ ნაშრომს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ამაზე, რადგან ის გამოცდილება, რომელიც დააგროვა ორმა რელიგიამ ასწლეულების განმავლობაში, დაუტეველია და თითოეულ საკითხს რუდუნებით, დიდი დაფიქრებით, გაანალიზებით გადმოცემა სჭირდება. ასეთ ფაქიზ და მორწმუნეთათვის თუ უბრალოდ დაინტერესებული პირებისთვის საჭირო თემებზე მსჯელობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს.

რაც შეეხება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს სტატიაში უკვე განხილული მუხლებისა. ბუნებრივია, ეს გახლავთ სარწმუნოების ინტერესიდან გამომდინარე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ორი რელიგია ერთმანეთის მონათესავეა და არც ის იქნება გასაკვირი, თუკი ერთ-ერთი თეოლოგიური წრე შეეცდება ერთი შეხედვით ,,მეორე, უცხო რელიგიის“ წიგნიდან შეეცადოს არგუმენტების შეკრებასა და გამოყენებას, ან - პირიქით. სტატიის მიზანიც ეს გახლდათ: მკითხველისთვის იყოს გასაგები რეალობაში არსებული ძველი თუ ახალი ინტერპრეტაციების (რელიგიური) და პოლემიკაში პრაქტიკულად გამოყენებისას დამოწმებული არგუმენტების აღქმა.

ატონის კულტი და გარდატეხა ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში

ზიზი ხვედელიძე

ძველმა ეგვიპტურმა კულტურამ დიდწილად შექმნა მსოფლიოს ხელოვნების სახე. სწორედ, რომ ძველ ეგვიპტეში შეინიშნება, აზრობრივ-ემოციური და გამომხატველობითი მეთოდები. ძველი ეგვიპტის ფართომასშტაბიან და უამრავი საინტერესო დეტალით სავსე ისტორიაში, უდიდესი ადგილი უჭირავს ამონხეტეპ IV-ის მოღვაწეობის პერიოდს. (ჩვ.წ.მდე 1353-1335 წწ). ის იყო ამონხეტეპ III-ისა და მისი მეუღლის ტეიეს ვაჟი, ფარაონი XVIII დინასტიიდან. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამონხეტეპ-IV-ის პოლიტიკურ ფიგურასთან არის დაკავშირებული რეფორმათა მთელი პარადიგმა. მისი მმართველობა სავსეა სიახლეებით. ესპერიოდი ამარნის ეპიზოდს სახელით არის ცნობილი. ფარაონმამთელი ძალისხმევა მიმართა რელიგიური რეფორმის გატარებისკენ. ამონხეტეპ IV დაუპირისპირდა ეგვიპტის ტრადიციებს და თვით ეგვიპტის ღვთაებებსაც კი. ტახტზე ასვლის შემდეგ, მალევე თებეში, იწყებს ახალი ღვთაების, ატონის ტაძრის აგებას. მისი მმართველობის მეექვსე წელი, გამოირჩევა საინტერესო ცვლილებებით, ვინაიდან ფარაონი გადადის ახალ დედაქალაქ ახეტატონში, რომელიც მის მიერ იქნა აშენებული. იღებს ახალ სახელს ეხნატონს, ატონის კულტის პატივსაცემად. სახელს იცვლის ეხნატონის მეუღლე ნეფერტიტიც, მას ეწოდება ნეფერ-ნეფრუ-ატონი. ეხნატონმა უარყო ყველა ღვთაება მათ შორის რაც და ამონიც. აკრძალულ იქნა თავად სიტყვა ,,ღმერთების'' გამოყენებაც. ფარაონ ეხნატონის ბრძანებით, თაყვანი უნდა ეცათ მხოლოდ ატონის, მზის ღვთაებისთვის. მზის კულტს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ეგვიპტეში, ჯერ კიდევ წინადინასტიური პერიოდიდან. ატონი იკონოგრაფიული აღწერით, წარმოადგენდა მზის დისკოს, რომლის სხივები მთავრდებოდა ადამიანის გაწვდილი ხელებით.

ეხნატონის მიერ გადაგმული ნაბიჯები, რაც გამოიხატა ატონის კულტისადმი მიძღვნილი ქალაქის აშენებაში, საკუთარი და მეუღლის სახელის ცვლილებაში, ემსახურებოდა ახალი რელიგიური რეფორმის განმტკიცებასა და მის ფუნდამნეტურ დანერგვას.

აღნიშნული რეფორმით, ეხნატონმა დიდი დარტყმა მიაყენა გაძლიერებულ ქურუმობას და საგრძნობლად შეარყია მათი ძალაუფლება. ამ პროცესის ერთგავრ საფუძვლად მიიჩნევა

ჯერ კიდევ თოტმეს III-ის პერიოდში, რეზიდენციის თებედან მემფისში გადატანა, ვინაიდან საფრთხის შემცველი იყო ამონის ქურუმობა, რომელთა ხელში თავს იყრიდა დიდძალი ქონება, რაც ამტკიცებდა ქურუმების გავლენას. სწორედ, რომ ყველაზე მეტად თებესა და მის რაიონებში იგრძნობოდა ქურუმების სიძლიერე. ამ ნაბიჯმა გარკვეულწილად ნიადაგი შეამზადა ეხნატონის რეფორმისთვის. ეხნატონი დაუპირისპირდა ბიუროკრატიულ ფენას და კონტრასტულად შეცვალა ეგვიპტეში აქამდე არსებული რელიგიური და პოლიტიკური ფონი.

ეხნატონის მიერ გატარებული რეფორმების მიღება, ადვილი არ იყო ისეთი კონსერვატიული ქვეყნის საზოგადოებისთვის როგორსაც ძველი ეგვიპტე წარმოადგენდა. ეხნატონმა თავისი რეფორმით სცადა ქვეყანა გაეერთიანებინა ერთი ღვთაების გარშემო და წინა პლანზე წამოსწია მონოთეისტური იდეალი. პოლიტიკური და რელიგიური ატმოსფერო შეიცვალა მთელ ეგვიპტეში. იკრძალება ძველი ღმერთების ხსენება, წარწერებიდან იშლება მათი სახელები. ეხნატონის რეფორმა თავისი არსით უამრავ ასპექტს აერთიანებდა. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ძველი ეგვიპტის ისტორიაში. ეხნატონი შეეხო ყველაზე სათუთ და ამავედროს მძლავრ თემას, როგორიც არის რელიგია. ადამინთა ცხოვრების ნირი და რელიგია ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს.

ნიშანდობლივია, რომ ეხნატონის რეფორმის ანარეკლი ყველაზე კარგად აისახა ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში. ეგვიპტურ ფერწერას საკუთარი ჰარმონიული რიტმი აქვს, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სხვა არსებული მიმართულებებისაგან. ძველ ეგვიპტეში მიღებული იყო მკაცრი კანონები, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა ხელოვანი. ამ ნორმების დაცვა უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა, როდესაც სრულდებოდა ფარაონის გამოსახულება, ვინაიდან უნდა გამოკვეთილიყო ღვთაებრივი ნიუანსები. სახისა და სხეულის ნაკვთები სრული პროპორციით სრულდებოდა. ძველმა ეგვიპტურმა ხელოვნებამ ძირეული გარდატეხა განიცადა, ეხნატონის მმართველობის პერიოდში, როდესაც შესამჩნევი გახდა რეალიზმის ნიშნები. ეხნატონმა ცვლილების განხორციელება საკუთარი თავიდან დაიწყო, როდესაც მისი სკულპტურა შექმნეს ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე. ფარაონის გამოსახულებაში ჩანს მისი რეალური აღწერილობა. ეხნატონი არ არის წარმოდგენილი, როგორც ღვთაებრივი. მის სკულპტურაში გამოხატულია ადამიანური ნიშანთვისებები.

ეხნატონმა დაამსხვრია ძველ ეგვიპტეში არსებული ჩარჩოები და მთლიანად შეცვალა ძველი ეგვიპტის ხელოვნებაში არსებული კანონები.

ამარნის კულტურაში უპირველესი ხდება ემოციებისა და რეალური დეტალების გადმოცემა. სწორედ, ამგვარ ნამუშევარს წარმოადგენს ეხნატონის გამოსახულება, რომელზეც ფარაონის სუსტი და ავადმყოფური აღნაგობაც კი შეინიშნება. ეხნატონმა უარყო ძველ ეგვიპტეში არსებული ხელოვნების დოგმები და კანონები. ამარნის პერიოდში იწყება ძველი ტრადიციებისადმი დაპირისპირება და მათი უარყოფა. ყოველივე ეს გამოვლინდა იმ ფაქტში, რომ ფარაონის სახის გაიდიალება და მისი ღვთაებრივად წარმოჩენა აღარ იყო აუცილებელი. ეხნატონის რეფორმამ ხელოვნებაში დანერგა ახალი მეტყველების სტილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ადამიანთა გრძნონებისა და განცდების გამოხატვა. ეს იყო განსაკუთრებული მხატვრულ-აზრობრივი ფორმა, რამაც საგრძნობლად შეცვალა და დაამსხვრია, არსებული კანონები, რომლებიც ზღუდავდნენ ხელოვანებს და უგულვებელყოფდნენ რეალიზმის ნიშნებს.

ეხნატონის რეფორმის გამოძახილი შეიმჩნეოდა ხელოვნების თითქმის ყველა ასპექტში. ამ ახალი ხედვებით გაჟღენთილი იყო ამარნის პერიოდის ფილოსოფიური და კულტურული სივრცე. ამავე პერიოდის ტექსტებში ხშირად ფიგურირებს სიტყვა ,,მაატ''-ი, რაც ,,ჭეშმარიტების აღმნიშვნელია. გამოთქმა ,,ჭეშმარიტი ღმერთი'' ხშირად გამოიყენებოდა ატონისადმი მიძღვნილ ტექსტებში. ეხნატონის მმართველობის პერიოდში უპირველეს ადგილზე დადგა ჭეშმარიტებისა და რეალიზმის ფენომენი. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების განსაკუთრებული მეთოდები, რომელიც ამარნის პერიოდში დამკვიდრდა, მხოლოდ ფარაონის გამოსახულებაში არ აისახებოდა. სწორედ, რომ ახალ ახალ ტენდენციებზე დაყრდნობით, შემუშავებული ხერხებით იქნა გამოსახული ფარაონის ოჯახიც. ახეტატონის საზღვრებზე აღმართულ ქვასვეტებზე არსებული წარწერები და რელიეფი ინფორმაციას გვაწვდის ქალაქის მშნებლობის შესახებ. რელიეფზე კი ასახულია ფარაონის ოჯახი, რომელიც პატივს მიაგებს ატონს. ფარაონის ოჯახის წევრებიც, მსგავსად ეხნატონისა,გამოსახულია რეალური კონცეპტების გათვალისწინებით. ეხნატონის რეფორმამ, ხელოვნებაში შექმანა ახალი ესთეტიკური და თემატური თვალსაზრისი. ნათლად, შესამჩნევი გახდა დეტალი, რაც

გულისხმობდა ყველა ფიგურის პროფილში გადმოცემას. ყოველიევ ეს კი სრულიად აკრძალული იყო სამეფო პირების გამოსახვისას. ეხნატონის რეფორმამ კონტრასტული და რადიკალური ძვრები გამოიწვია ძველი ეგვიპტური ხელოვნების სპექტრში.

როგორც, უკვე აღვნიშნეთ ფარაონის გამოსახულების სტერეოტიპული ჩარჩოები დაიმსხვარა და ამარნის პერიოდში გადამწყვეტი როლი ეჭირა რეალური ასპექტების გამოკვეთას. წინა პლანზე გადმოვიდა ბუნებრივი კომპოზიცური კავშირები. ეხნატონის რეფორმამ განაპირობა, ნამუშევრებში ხელოვნების რეალისტური დისკურსის გამოკვეთა.

სწორედ, ამარნის პერიოდის ფერწერაში ვხდებით ჩვენ ეხნატონის გამოსახულებას თავის მეუღლესთან და ქალიშვილებთნ ერთად. აღნიშნულ გამოსახულებებში განსაცვიფრებელი დინამიურიბით არის გადმოცემული რეალიზმის ნიშნები და ადამიანური განცდები. ამარნის პერიოდში არსებული ხელოვნების ახალი მიდგომების მეშვეობით, შესაძლებელი ხდება აღვიქვათ, გამოსახულებათა სულიერი მდგომარეობაც კი: სიყვარული, სიხარული, სევდა გარდაცვლილ ქალიშვილზე და სხვა. ძველი ეგვიპტური კანონებიდან გამომდინარე კი ფარაონის ასეთი ადამიანური ასპექტებით წარმოჩენა ყოვლად მიუღებელი იყო. ეხნატონის რეფორმამ, განაპირობა ძველი ეგვიპტური ხელოვნების გარდატეხა და სრულიად ახალი მსფოლმხედველობის ჩამოყალიბება.

ეხნატონის მოღვაწეობას მეტად დიდი ადგილი უჭირავს ძველი ეგვიპტის ისტორიაში. მის მიერ გატარებული რეფორმები თავისი არსითა და სიღრმისეული გაგებით, რომელმაც ხელოვნების მიმდინარეობაც კი შეცვალა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა.

აჰმად იბნ ჰანბალი

სოფიკო მოლაშხია, არჩილ ცარახბაია.

იმამი აბუ' აბდულაჰ აჰმად ბინ მუჰამმად ბინ ჰანბალ აშ-შაიბანი-აზ-ზუჰლი (أبو عبد الله أحمد بن محمد بن حنبل الذهلي), ასევე ცნობილია, როგორც **იმამი აჰმადი,აჰმად იბნ ჰანბალი** და **იბნ ჰანბალი** . იგი იყო მუსლიმი თეოლოგი, მუჰადდისი, ღვთისმეტყველი, იურისტი და წამებული თავისი რწმენისათვის.[31]

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, აჰმად იბნ ჰანბალი დაიბადა ჰიჯრის კალენდრის 164-ე წელს (786). მისი გენეალოგია,რომელიც მითიურ აბრაამამდე მიდის,მიუთითებს იმაზე,რომ ის ეკუთვნოდა „**Banū Māzin**" ტომს,რომელიც მონაწილეობდა ერაყისა და ირანის დაპყრობაში. [32]

დაახლოებით 15 წლის ასაკიდან, აჰმად იბნ ჰანბალმა დრო დაუთმო ყურანის შესწავლასა და ალაჰის მოციქულის, წინასწარმეტყველ მუჰამადის,შესახებ ჰადისებს.პირველი სწავლული, ვისგანაც მან ჰადისები მოისმინა, იყო აბუ იუსუფ ჰუშაიმ იბნ ბაშირ იბნ აბი ჰაზიმი.[33]

აჰმად იბნ ჰანბალმა გადაწყვიტა, რომ ცოდნა შეეძინა ჰადისების ყველა სწავლულისგან ერაყში, სირიასა და ჰიჯაზში, სწორედ ეს შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ ის არის პირველი სწავლული, რომელმაც გააერთიანა ჰადისები ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონიდან. ამის უტყუარი მოწმობაა მისი მუსნადი, რომელშიც გარკვეულ კატეგორიებშია გაერთიანებული ჰადისები სირიიდან, ჰიჯაზიდან, ერაყიდან (ბასრადან, ქუფადან, ბაღდადიდან). ბუნებრივია, რომ ჰადისების შეგროვება დაიწყო ბაღდადიდან - ქალაქიდან, სადაც ცხოვრობდა.[34]

იმამ აჰმადის მუსნადი იყო ყველაზე დიდი წიგნი ჰადისებისა მისი სიცოცხლის პერიოდში და შემდეგაც. მასში შედიოდა ჰადისები, რომლებიც არ არის ნაპოვნი არსად სხვაგან. მუსნადის წერა იბნ ჰანბალს 36 წლის ასაკში დაუწყია 200 / 822 წელს, იემენიდან დაბრუნების შემდეგ. იმამ აჰმადის მუსნადში გაერთიანებული იყო მოგზაურობებისას გაგონილი შვიდი

[31] Livnat Holtzman – ,,Ahmad B.Hanbal'' გვ.15-გვ.16

[32] იმავე

[33] იმავე
[34] Salahuddin Ali Abdul Majwood - ,,The Biography of Imam Ahmad bin Hanbal" გვ.19-გვ.21

ათასზე მეტი ჰადისი და მისი 283 შეიხის მიერ ჩაწერილი დაახლოებით ოცდაათი ათასი ჰადისი.[35]

ის ასევე დაინტერესებული იყო ლეგენდებით მოციქულ მუჰამადის თანმხლებთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ გამოკვლევების წყალობით, მან ადრეულად აითვისა არაბული ენის გრამატიკა მისი ყველა სინატიფით.

თავისი აკადემიური ცხოვრების დასაწყისში, სანამ მოძლიერდებოდა, სჭირდებოდა მასწავლებელი, რომლისგანაც ცოდნას მიიღებდა ექსკლუზიურად, სხვა მასწავლებლების მითითების გარეშე. ასეთი აღმოჩნდა, ზემოთ უკვე ნახსენები, ჰუშაიმ იბნ ბაშირ იბნ აბი ჰაზიმი, რომელიც აღესრულა 805 წელს (ჰიჯრით 183). აჰმად იბნ ჰანბალმა მისგან ცოდნის მიღება 801 წელს (179 ჰიჯრით) დაიწყო, როცა თვითონ 16 წლისა იყო. ამაზე თვითონ იმამი აჰმად იბნ ჰანბალი ამბობდა: „ მე ჰადისების სწავლა დავიწყე 16 წლის ასაკში და ჰუშაიმი აღესრულა როცა 20-ისა ვიყავი. პირველად მისგან მოსმენა დავიწყე 179 წელს (ჰიჯრით)“. ჰუშაიმის გარდაცვალების შემდეგ აჰმადმა დაიწყო ჰადისების შესწავლა ყველგან, სადაც შეეძლო მათი პოვნა.[36]

აჰმად იბნ ჰანბალის მოგზაურობა ჰადისების მცოდნეთაგან ცოდნის შესაძენად დაიწყო 808 წელს (186 ჰ.). მან იმოგზაურა ბასრაში, ჰიჯაზში, იემენში და ქუფაში. ბასრაში იმყოფებოდა ხუთჯერ და იქ უმეტესად არ ჰყოფდა ექვს თვეზე ნაკლებს. მან ასევე ხუთჯერ იმოგზაურა ჰიჯაზში, სადაც პირველი სტუმრობისას, რომლის მიზანიც იყო იბნ ‘უიაინასგან ჰადისების მოსმენა, (809 / 187) გაიცნო იმამი აშ-შაფი’ი, რომლისგანაც სწავლობდა როგორც ჰადისებს, ისე ისლამურ სამართალს. მექელი იმამი აშ-შაფი’ი აჰმად იბნ ჰანბალზე ამბობდა, რომ ის იმამი იყო რვა სფეროში: ჰადისებში, ისლამურ სამართალში, არაბულ ენაში, ყურანში, სიღარიბეში, ასკეტიზმში, ღვთისმოსაობასა და სუნნაში. [37]

198 წელს ჰიჯრით (820) ჰაჯის შესრულების შემდეგ, ის გაემგზავრა იემენის დედაქალაქ სანაში, ‘აბდურ-რაზზაკ იბნ ჰამმამთან. მას თან ახლდა მეგობარი და ცოდნის მიღებაში თანაზიარი იაჰია იბნ მა’იინი. სანაში მან დაჰყო ორი წელიწადი და მექაში გაბრუნდა. მოგზაურობის დროს ის სტუმრობდა ისლამური თეოლოგიის მთავარ ცენტრებს. [38]

აჰმად იბნ ჰანბალი არ წყვეტდა ცოდნის მიღებას და იწერდა ჰადისებს იმამის წოდების მოპოვების შემდეგაც კი. საინტერესოა ერთი გადმოცემა, რომლის თანახმადაც ერთ-ერთმა იბნ ჰანბალის თანამედროვეთაგან შენიშნა მელანი მის ხელზე და უთხრა: „აბუ აბდილლა! შენ

[35] იმავე გვ.40-41
[36] იმავე გვ.19-21
[37] Tabaqat al-hanabilah, vol.1. p.5 გვ.21-23
[38] Tabaqat al-hanabilah, vol.1. p.5 გვ.21-23

მიაღწიე ამ წოდებას და შენ მუსლიმთა იმამი ხარ. მან კი უპასუხა: „მელნით ვიქნები სამარის კარამდე“-ო .[39]

კადრი სერიალიდან „იმამი აჰმად იბნ ჰანბალი“

იმამი აჰმადი არ მართავდა სასწავლო სესიებს და არ იღებდა ოფიციალურ იურიდიულ განაჩენებს, სანამ არ დაასრულა სწავლება. მან მხოლოდ სწავლის დასრულების შემდეგ გადაწყვიტა მიეღო მოსწავლეები და ისლმაური სამართლის მიხედვით გამოეტანა სხვადასხვა განაჩენი.

30 წლის ასაკში მან დაიწყო ურთიერთობა მისი თაობის ცნობილ მეცნიერებთან და ფართო მოწონება დაიმსახურა. მან კონტაქტები დაამყარა ჰიჯაზში, ერაყსა და სირიაში ისეთ გავლენიან ავტორიტეტულ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ იეზიდ იბნ ჰარუნი, ვაკი იბნ ალ-ჯარა, იაჰია იბნ მა’ინი.მან თანდათანობით მოიპოვა ფართო მასშტაბის პოპულარობა ,რაც ძირითადად იმის გამო მოხდა, რომ იგი ღვთივსათნო ცხოვრებას ეწეოდა და ფართო ცოდნა ჰქონდა.საზოგადოებაში ცნობადობის ზრდასთან ერთად გაიზარდა მის მიმართ კითხვები ჰადისებისა და ისლამური სამართლის შესახებ. [40]

მასზე ხმები ვრცელდებოდა, რომ ის იყო ღვთისმოშიში და ღვთის მოსავი, მოკრძალებული, ცოდნის მიღებისადმი თავდადებული და მისკენ მსწრაფი სიცოცხლის ბოლომდე, მიუხედავად სირთულეებისა, რომლის გადატანაც არაერთხელ მოუხდა.

იმამი აჰმადი 40 წლის იყო, როდესაც დაიწყო იურიდიული და პედაგოგიური საქმიანობა.ამ ასაკშივე შეირთო პირველი ცოლი.[41]

[39] Salahuddin Ali Abdul Majwood - ,,The Biography of Imam Ahmad bin Hanbal” გვ.25
[40] Livnat Holtzman – ,,Ahmad B.Hanbal’’ გვ.17-გვ.18
[41] Salahuddin Ali Abdul Majwood - ,,The Biography of Imam Ahmad bin Hanbal” გვ.32-გვ.35

ჰადისების მოგროვების პერიოდში იმამმა აჰმადმა განამტკიცა აზრი, რომ რელიგიაზე რაიმეს დამატება და სიახლის შემოტანა (ბიდ'ა) ყოვლად მიუღებელი საქმე იყო. ის ღიად უპირისპირდებოდა მსგავსი ქმედების ჩამდენ ხალხს და ქადაგებდა მათ წინააღმდეგ, აფრთხილებდა ყველას, მორიდებოდნენ ასეთ ადამიანებს.[42]

იმ პერიოდში, როდესაც იმამ აჰმად იბნ ჰანბალი ცხოვრობდა, მუ'თაზილიტიზმის ფსევდო-სწავლება აყვავდა, უმაღლესი ხელისუფლებაც კი მუ'თაზილიტთა იდეების გავლენის ქვეშ მოექცა, რომელთაც ხალიფა ალ მა'მუნი მფარველობდა. ჩამოყალიბდა ინკვიზიციის მსგავსი ორგანო და დაიწყო სუნიტ სწავლულთა დევნა . [43]

ინკვიზიცია ტარდებოდა ბაღდადშიცა და სახალიფოს პროვინციებშიც. ეს გაგრძელდა 833-დან 848 წლამდე, ოთხი ხალიფას მმართველობის პერიოდში და დასრულდა ალ-მუთავაქილის მმართველობის დროს, რომელიც ტრადიციონალისტულ შეხედულებას დაუბრუნდა. [44]

მუ'თაზილიტების რწმენით ყურანი იყო ღვთის ჩვეულებრივი ქმნილება, რომელიც არაფრით არ აღემატებოდა სხვა ქმნილებებს და ადამიანებს ჰქონდათ უფლება განესაჯათ და გაეაზრებინათ ის ფილოსოფიურად, ხოლო სუნიტების რწმენის თანახმად ყურანი ღვთის მარადიული ატრიბუტია, ის არის ღვთის სიტყვა და საჭიროა მისი პატივისცემა. [45]

იმამი აჰმადისთის ყოვლად მიუღებელი იყო მუ'თაზილიტთა ფილოსოფია და ბოლომდე უარყოფდა მას. ხალიფა ალ-მა'მუნის ბრძანებით,იგი დაატუსაღეს მუჰამმად იბნ ნუჰთან ერთად, რამაც გამოიწვია სახალხო მღელვარება, რის შედეგადაც გაათავისუფლეს.

ალ-მა'მუნმა ის პირადად დაიბარა,მაგრამ შეხვედრა არ შედგა, რადგან ხალიფა უეცრად გარდაიცვალა. როგორც იმამ აჰმადის თანამედროვენი გვამცნობენ, იმამი მხურვალედ სთხოვდა ღმერთს, აეცილებინა ხალიფასთან შეხვედრა.[46]

მაგრამ ყველაფერი ალ-მა'მუნის გარდაცვალებით არ დასრულებულა, მისმა მემკვიდრემ ალ-მუ'თასიმმა კვლავ დააპატიმრა აჰმად იბნ ჰანბალი, რომელიც აგრძელებდა მუ'თაზილიტთა ფილოსოფიის უარყოფას.[47]

იმისათვის, რომ მოეპოვებინა მისი მორჩლება და სხვა სუნიტებში შიში გამოეწვია ალ'მუთასიმმა გადაწყვიტა დაესაჯა იმამი და ამ მსვლელობის საყურებლად მან ბაღდადის მთავარ მოედანზე შეკრიბა სწავლულები, გადამწერები, სახელმწიფო მოხელეები და სხვანი.

---

[42] იქვე.65

[43] https://www.britannica.com/biography/Ahmad-ibn-Hanbal 27.07.2021 18:12 სთ

[44] https://medinaschool.org/library/lich 27.07.2021; 19:20 სთ

[45] Salahuddin Ali Abdul Majwood - ,,The Biography of Imam Ahmad bin Hanbal გვ.65-გვ.66

[46] https://www.britannica.com/biography/Ahmad-ibn-Hanba 27.07.2021 18:24 სთ

[47] https://www.britannica.com/biography/Ahmad-ibn-Hanba 27.07.2021 18:24 სთ

ხალიფამ ბრძანა გამოეყვანათ იმამი აჰმადი და იქამდე გაეშოლტათ, სანამ არ აღიარებდა მუ'თაზილიტიზმს, მაგრამ ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო. იმამმა მრავალი შოლტის მიუხედავად მაინც არ აღიარა მუ'თაზილიტთა ფილოსოფია, ის სატუსაღოში დააბრუნეს და შემდეგ ჩუმად გაათავისუფლეს.[48]

მომდევნო ხალიფა გახდა ალ'მუთასიმის მემკვიდრე, ალ-ვასი'ი, რომელიც მუ'თაზილიტური იდეის ერთგული დარჩა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მუ'თაზილიტთა მიმართ უკმაყოფილებამ იმატა ბაღდადში, არ სცადა იმამ აჰმადის დაპატიმრება,მაგრამ მოსთხოვა ქალაქის დატოვება. იმამმა დროებით , მოქმედი ხალიფის გარდაცვალებამდე, დატოვა ბაღადდი .[49]

ალ-მუთავაქქილი იყო მომდევნო ხალიფა, რომლის დროსაც ყველაფერი პირიქით მოხდა, მან მუ'თაზილიტები გაათავისუფლა მაღალი თანამდებობებიდან და მათი ლიდერი გააძევა ბაღდადიდან. ეს იყო დასასრული პერიოდისა,რომელიც ისტორიას შემორჩა, როგორც მიჰნა.[50]

მიუხედავად იმისა, რომ იბნ ჰანბალმა მუ'თაზილების დიდი ზეწოლა გამოიარა, გაუძლო დევნას, წამებას და ნახა მრავალი მისი თანამოაზრისა და მეგობრის სიკვდილი, სწორედ მუ'თაზილიტთა მიზეზით, იგი არ იძულებდა არავის და ალაჰს სთხოვდა, რომ დაეყენებინა არასწორ გზაზე მავალნი ჭეშმარიტ გზას. აბუ 'ისა 'აბდურ-რაჰმან ბინ ზასან არ-რაზზაზი ამასთან დაკავშირებით იხსენებს: „ჩვენ ვლოცულობდით, როდესაც აბუ აბდილლაჰ იბნ ჰანბალი იყო ჩვენს შორის და მესმოდა მისი, რომ ამბობდა : „ო, ალლაჰ! ვინც მიჰყვება ერეტიკულ აზრებს ან საკუთარ პირად მოსაზრებას და ფიქრობს, რომ მიჰყვება ჭეშმარიტ გზას, როცა ასე არ არის, დააბრუნე ის სიმართლისკენ..." [51]

იმამ აჰმად იბნ ჰანბალის ცხოვრების ყველა ეპიზოდი საინტერესოა დაწყებული მისი სიყმაწვილიდან მის გარდაცვალებამდე, ცხოვრების თითოეულ ეტაპზე ის ამჟღავნებდა შემწყნარებლობასა და უდიდეს ღვთისმოსავობას.

ყურადსაღებია გადმოცემა, რომლის თანახმადაც ისლამური კალენდრის მესამე თვის რაბი' ულ-აუუალის პირველ ღამეს 241 წელს ჰიჯრით, აჰმად იბნ ჰანბალი ლოგინად ჩავარდა. ამ დროს იგი დაახლოებით 77 წლის უნდა ყოფილიყო. ახლოვდებოდა მისი გარდაცვალების დღე და როგორც თვითონ, ასევე ხალხიც კარგად გრძნობდა ამას. მისი სახლის მიმდებარე ტერიტორია გადაივსო ბაღდადელებით და ითხოვდნენ იმამთან შესვლას. იბნ ჰანბალის ვაჟი სალიჰი კი მამის ნებართვის შესაბამისად უშვებდა ხალხს მასთან და ოთახიც მუდამ სავსე იყო. იმამმა აჰმადმა შემოსვლის ნება დართო ერთ-ერთ მთხოვნელს, რომელიც ხალიფას სასახლეში იყო მისი წამების დროს და მისი დასჯის ერთ-ერთი მომთხოვნი იყო. კაცი ვედრებით

[48] იქვე
[49] იქვე
[50] იქვე
[51] tabaqat al-hanabilah, vol.1, p.205 გვ.121

შემოვიდა, რომ ეპატიებინა იმამს მისთვის ან შური ეძია. ხოლო იმამმა უთხრა: „გათავისუფლებ, იმ შემთხვევაში თუ აღარ ჩაიდენ ასეთ რამეს“-ო. [52]

აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ჰანბალის გარდაცვალების ზუსტი დღის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთხმად თანხმდება ყველა მისი თანამედროვე წყარო, რომ ის გარდაიცვალა რაბი'ულ - აუუალის თვეში 241 წელს ჰიჯრით, 77 წლის ასაკში.[53]

ქორწინებისა და განქორწინების პროცესი ისლამში

გვანცა წიწილაშვილი, სალომე ჩაფიძე

ბევრ მუსლიმს სჯერა, რომ ქორწინება ცხოვრების ფუნდამენტური ნაწილია. ქორწინება არის შეთანხმება მამაკაცსა და ქალს შორის იცხოვრონ ერთად, როგორც ქმარმა და ცოლმა. საქორწილო შეთანხმებას კი ეწოდება ნიქაჰ (Nikah). მუსლიმთა უმეტესობისთვის ქორწინების მიზეზებია: 1. მეუღლეები დარჩნენ ერთმანეთის ერთგულნი მთელი ცხოვრების განმავლობაში 2. ჰყავდეთ შვილები და აღზარდონ ისინი მუსლიმური სარწმუნოების მიხედვით. ქორწინება ბევრჯერაა ყურანში ნახსენები. წინასწარმეტყველი მუჰამედი თავისი სწავლებითა და ქმედებებით მუსლიმანთათვის ავტორიტეტულია, ყურანის მიხედვით, მუჰამედი დაქორწინებული იყო, ამიტომაც ბევრი მუსლიმი იმეორებს მის მაგალითს.ქორწინება ისლამური მრწამსით, ღვთისთვის სასურველ საქმედ ითვლება. მუსლიმ მამაკაცს შეუძლია ჰყავდეს ოთხი ცოლი, ეს ცნობილია პოლიგამიის სახელწოდებით. მამაკაცები ყველა ცოლს თანასწორად და სამართლიანად უნდა მოექცნენ, თუ ეს არ შეუძლიათ, მაშინ მათ ყურანი აფრთხილებთ, რომ ერთ ქალზე უნდა იქორწინონ. მუსლიმ ქალებს კი მხოლოდ ერთი ქმრის ყოლის უფლება აქვთ. [54] აღსანიშნავია, რომ ყურანი პოლიგამიას არ განიხილავს, როგორც

[52] Salahuddin Ali Abdul Majwood - ,,The Biography of Imam Ahmad bin Hanbal" გვ.137-გვ.138
[53] იქვე. გვ.143

[54]https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/zd8qn39/revision/2

იდეალს, უბრალოდ, მუსლიმს რთავს ნებას ჰყავდეს რამდენიმე ცოლი. ***„და თუ თქვენ შიშობთ, რომ სამართლიანი ვერ იქნებით ობლების მიმართ [ვინც იმყოფებიან მზრუნველობის ქვეშ], მაშინ დაქორწინდით [სხვა] ქალებზე, რომლებიც მოგეწონებათ - ორზე, სამზე, ოთხზე. ხოლოთუ გეშინიათ, რომ სამართლიანი ვერ იქნებით [მათთან], მაშინ [იქორწინეთ] ერთზე ან იმაზე, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა (ურწმუნოებთან ომის დროს). ეს უფრო ახლოსაა [ალლაჰის საზღვრებთან], რომ არ გადაუხვიო სწორი გზიდან.“***[55] მართლმორწმუნე მუსლიმს, მუსლიმური სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევაში აქვს ოთხი ცოლის ყოლის უფლება, თუ ამისთვის ყველა აუცილებელ პირობას შეასრულებს: ყველა გათხოვილ ქალსუნდა ჰქონდეს ცალკე საცხოვრებელი, სოციალური მდგომარეობის შესაბამისად, ქმარმა ყველა ერთნაირად უნდა შეინახოს, თუ ერთ სახლში ორი ან მეტი ცოლია, ქმარი ვალდებულია ყველა ცალკე ოთახითა და მსახურით უზრუნველყოს, ყველას ერთნაირი ყურადღება მიაქციოს... ასევე უნდა მოექცეს შვილებს, რომლებიც კანონიერი ქორწინების შემდეგ ეყოლება.

ისლამური სარწმუნოების მიხედვით, საცოლის შერჩევის დროს უპირატესობა მის რელიგიურობასა და ზნეობრივ მხარეს ექცევა. ესაა საფუძველი მყარი და ჰარმონიული ოჯახის ჩამოყალიბებისთვის. მომავალი მეუღლეების ოჯახის სიმტკიცე რამდენიმე კრიტერიუმზეა დამოკიდებული: 1. რელიგიურობა - მამაკაცი ან ქალი, რომელიც რელიგიურ წესებსა და მორალს არ იცავს, შესაფერისი პარტნიორი ვერ იქნება. 2. ისლამი - ქმარი აუცილებლად მუსლიმი უნდა იყოს, მაგრამ ასევე იკვლევენ იმას, მისი მამა და ბაბუა თუ იყვნენ ამ რელიგიის წარმომადგენლები. 3. თავისულება - ბევრის აზრით, მონა არაა თავისუფალი ადამიანის თანასწორი. 4. წარმომავლობა - არაბეთში წარმომავლობის თანასწორობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 5. შეძლებულობა - მეუღლეები მატერიალურად თანასწორნი უნდა იყვნენ. 6. პროფესია - მომავალი მეუღლეების ნათესავები მსგავსი პროფესიის წარმმადგენლები უნდა იყვნენ. ასევე დიდი ყურადღება ექცევა გარეგნულ მხარეს, მომავალი მეუღლეები ამ მხრივაც ერთმანეთის შესაფერისი უნდა იყვნენ. ქალს სრული უფლება აქვს აირჩიოს საქმრო, ხელის თხოვნის შემთხვევაში თავისი სურვილისამებრ შეუძლია მიიღოს ან უარყოს შეთავაზება.

[55]გელოვანი ნ, ქალი ისლამში (VII-X სს), თბილისი 2005, გვ. 158-159

ზავაჯის ანუ კანონიერი ქორწინების პირველი ეტაპია გარიგება, ხელის თხოვნა (ხიტბა) და მაჰრის გადახდა, მეორე და მესამე ეტაპი კი მოიცავს საქორწილო ხელშეკრულების დადებას, საპატარძლოს გადაყვანას სასიძოს სახლში და საქორწილო ცერემონიალი, ზეიმი. თუ საცოლე მცირეწლოვანია, ამ შემთხვევაში, საქმროს უწევს დაყოვნება, სანამ გოგონა არ გახდება 13-15 წლის. მუსლიმურ სამართალში ქალთა დისკრიმინაციად შეძლება ჩავთვალოთ ის, რომ მას ეკრძალება ქორწინება არამუსლიმ მამაკაცზე, მაშინ როცა მუსლიმ კაცს უფლება აქვს იქორწინოს არამუსლიმ ქალზე. მაგალითად, მუსლიმ მამაკაცს შეუძლია დაქორწინდეს ქრისტიან ან იუდეველ ქალზე, ოღონდ შვილებიი მუსლიმანებად უნდა აღიზარდონ და ცოლს მემკვიდრეობაზე უფლება არ ეძლევა. ქორწინება აკრძალულია სისხლის ნათესავებს შორის - ***„გეკრძალებათ თქვენ ცოლად თქვენი დედები, თქვენი ქალიშვილები, თქვენი დები, თქვენი მამიდები და დეიდები, თქვენი ძმისშვილები და დისშვილები, თქვენი ძიძები, რომელთაც ძუძუ გაწოვეს, თქვენი ძუძუმტე გოგონები...“*** [56] მამაკაცმა საცოლეს უნდა გადასცეს ქონება, რასაც ეწოდება მაჰრი. მაჰრი ალლაჰის მიერაა დაწესებული და ქალის ბუნებრივ უფლებას წარმოადგენს. მაჰრი მხოლოდ ისლამური ქორწინებისთვისაა დამახასიათებელი, მინიმალურ მაჰრისთან დაკავშირებით აზრთასხვადასხვაობაა, მაგრამ ეს დაახლოებით 10-12 დირჰამია, მაქსიმალური კი არაა ლიმიტირებული - ეს საქმროს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მაჰრი მხარეთა წარმომადგენლების მორიგების დროს განისაზღვრება. მისი გადახდის პირობები კი ქორწინების ხელშეკრულებაშია მოცემული, რომელსაც სიღა ეწოდება. შესაძლებელია, რომ მაჰრის დიდი ნაწილი საქმრომ ქორწილზე მიიტანოს ძვირფასეულობის, სამკაულებისა და სხვა სახით. მაჰრი შეიძლება გადაეცეს საცოლის მამას, მეურვეს, უახლოეს ნათესავს ან თავად მომავალ მეუღლეს. თუ საქმრო დათქმულ დროში არ გადაიხდის მაჰრს, მაშინ საცოლეს უფლება აქვს პირობითი განქორწინებისა, რაც საფასურის სრულ დაფარვამდე გრძელდება.

ისლამი მამაკაცებს მიუთითებს, რომ კარგად მოექცნენ ქალებს. მოციქულმა თქვა: ***„საუკეთესო თქვენს შორის არის ის, ვინც საუკეთესოდ ექცევა თავის ცოლს“.***[57]ამავდროულად კი ისლამი ქალებს მორჩილებიისკენ მოუწოდებს. დაქორწინება შესაძლებელია სახლშიც და

[56]გელოვანი ნ, ქალი ისლამში (VII-X სს), თბილისი 2005, გვ. 154
[57]გელოვანი ნ, ქალი ისლამში (VII-X სს), თბილისი 2005, გვ. 172

მეჩეთშიც. აღსანიშნავია საქორწინო ცერემონიალი (ურს, ვალიმა), ოღონდ ეს დაფუძნებულია სხვადადსხვა ისლამურ ადათზე და არა რაიმე კანონებზე.ქორწინებისთვისსაუკეთესო თვედ ითვლება შავვალი (მუსლიმური მთვარის კალენდრით), ვინაიდან ამ თვეში იქორწინა ერთთ-ერთმა მოციქულმა აიშაზე.

ასევე არსებობს დროებითი ქორწინება (ნიქაჰ ალ-მუთ'ა), როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება განსაზღვრული დროით, ერთი დღიდან 99 წლამდე. დროებითი ქორწინება ითვალისწინებს ცოლის შენახვას მაჰრის ნაცვლად და საზღაურს ქორწინების დარღვევის დროს. ასევე აღსანიშნავია მონებთან ქორწინება (ნიქაჰ ალ-აბიდ). თეოლოგთა უმეტესობა ფიქრობს, რომ მონას არ აქვს უფლება ერთდროულად ჰყავდეს ორი ცოლი, ამავდროულად მონას დასაქორწინებლად სჭირდება პატრონის თანხმობა.

ისლამური სამყაროსთვის განქორწინება მეტად არასასურველ და ნეგატიურ ფაქტად აღიქმება. განქორწინება ისლამში, ეს არის უკიდურესი ფორმა, როდესაც ოჯახური ცხოვრების გაგრძელება ყოველგვარ აზრს კარგავს. განქორწინება ნებადართულია და ორივე მეუღლეს შეუძლია მისი მოთხოვნა, იმ შემთხვევაში თუ გრძნობენ რომ მათი ერთობლივი ცხოვრება არამარტო მძიმე, არამედ შეუძლებელიც კია. წინააღმდეგ შემთხვევაში განქორწინება აკრძალულია. ისლამში შევხვდებით ნებადართულ და ნებადაურთველ ქმედებებს, განქორწინება კი ნებადართულ, მაგრამ არასასურველ ქმედებას მიეკუთვნება. ***„ალლაჰისთვის განქორწინება ყველაზე არასაყვარელი ქმედებაა იმათ შორის, რომლის ნებასაც ის რთავს".*** [58]

ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეებს შორის ურთიერთობის გაფუჭების მიზნით ერთვება მესამე პირი, აიათებში კი არის დარიგება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება დაუფიქრებლად ყველაფრის დაჯერება, რასაც ადამიანი სხვებისგან ისმენს. ჰადისში ახსნილია, რომ მეუღლეების ურთიერთობაში ჩარევა, მათი წაკიდების მიზნით არის

[58]https://islamicpublishing.org/KAYNAKLAR/Dokumanlar/KITAPLAR/georgian/gurcuce-islami-acidan-kadin.pdf?fbclid=IwAR1d5C6OHcd5hEPZwW6ZYMwnrp7WaWwqPQX3iRsEo5XCm_ef97mHJP9bh0o გვ. 109

საზიზღარი საქციელი, რომელიც მუსლიმს არ შეეფერება. ***,,ის, ვინც ცოლს ქმრის წინააღმდეგ განაწყობს, ჩვენგან არ არის"***[59].

განქორწინება მხოლოდ ერთი მოთხოვნის საფუძველზე არ ხდება. ისლამი ძალიან ბევრ გზას სთავაზობს მეუღლეებს შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად. მაგალითად, ქმარი ცდილობს გამოიჩინოს დიდი მოთმინება და გულწრფელად გაიგოს მეუღლის პრეტენზიების და უკმაყოფილების არსი, რათა შეძლოს აღნიშნულის გამოსწორება. მეუღლეებს შორის იმართება საუბრები, რომლის მთავარი ამოცანა პრობლემის აღმოფხვრა და ურთიერთობის შენარჩუნებაა.

თუ ყველა ქმედება უშედეგოდ სრულდება, ისლამში რეკომენდირებულია ორივე მეუღლის ოჯახიდან ახალო ნათესავების მოწვევა, რომლებსაც შეეძლებათ მათი განსჯა და შერიგება. მომრიგებელი მხარეები მამრობითი სქესის მუსლიმებით უნდა იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებიც არიან თავისუფალნი, ითვლებიან სამართლიან და პასუხისმგებლიან ადამიანებად.

არბიტრებმა ორივე მხარის მოსმენის შემდეგ უნდა სცადონ მათი შერიგების ხერხი მოძებნონ, უნდა დაიწყონ დარიგებით და თუ საჭირო გახდა უნდა დააშინონ კიდეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიემხრონ რომელიმე მათგანს. ოჯახის მოსამართლეებს მხარეთა პრეტენზიები უზენაეს მოსამართლემდე მიაქვთ. თუ ყველა მიღებული ზომის მიუხედავად ცოლ-ქმრული ცხოვრება მეუღლებიისთვის ტანჯვის ტოლფასია, მაშინ ეს ქორწინება სრულდება მოსამართლის გადაწყვეტილებით, რომელიც ყველასათვის ცხადდება. ასეთ გაყრას ეწოდება ,, გამოცხადებული განქორწინება".

,,ტალაკ" (გაშვება, გაყრა) არის განქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამში. ქმარი ათავისუფლებს ცოლს ყოველგვარი ცოლ-ქმრული ვალდებულებისგან გაყრის განსაკუთრებული ფორმულის წარმოთქმით. ისლამურ სასამართლოში არსებობს 17 ასეთი ფორმულა. განქორწინების გავრცელებულ ფორმათა შორისაა ,,ანთი ტალაკ"- თავისუფალი ხარ. ქორწინება ანულირდება ერთი მეუღლის სიკვდილის ან სარწმუნოებისგან განდგომის

[59]https://islamicpublishing.org/KAYNAKLAR/Dokumanlar/KITAPLAR/georgian/gurcuce-islami-acidan-kadin.pdf?fbclid=IwAR1d5C6OHcd5hEPZwW6ZYMwnrp7WaWwqPQX3iRsEo5XCm_ef97mHJP9bh0o გვ.111

შემთხვევაში. ასევე გაყრის სახეებია ზიჰარ და აიმან. ზიჰარ - გაყრის წინაისლამური სახეა, რომელიც მუჰამედმა გააუქმა. აიმან კი ფიცის სახელწოდებიდან წარმოსდგება, რომელსაც მუსლიმი წარმოთქვამდა მარჯვენა ხელის აწევით.

განქორწინების დროს უკანასკნელი სიტყვა მამაკაცს ეკუთვნის, ეს კი იმით აიხსნება, რომ სწორედ ის ცდილობს ოჯახის შენარჩუნებას, ის იხდის მაჰრს და ინახავს ცოლ-შვილს. მამაკაცმა გაყრის შემდეგ, უკვე ყოფილი ცოლი უნდა შეინახოს დადგენილი ვადის გასვლამდე. ისლამი აუცილებელ და მიზანშეწონილ ქმედებად მიიჩნევს, რომ განქორწინების პრიორიტეტული უფლება იმას ეკუთვნოდეს, ვინც ოჯახის შენახვაზე არის პასუხისმგებელი.ქალს მხოლოდ ერთ შემთხვევაში აქვს განქორწინების პრიორიტეტული უფლება, თუ მომავალი ქმარი თანხმდება იმას, რომ განქორწინების უფლება ქალს დარჩეს. განქორწინების უფლება ცოლსაც ისევე აქვს როგორც ქმარს. ისლამურ სამართალში საქორწინო ხელშეკრულების დადების დროს, მხარეებს შეუძლია გარკვეული პირობების წამოყენება. მაგალითად, ქალს შეუძლია თავად დაიტოვოს უფლება ,,თვითონ გაეყაროს თავის ქმარს". ასეთ განქორწინებას ისლამში ,,თევფიზი ტალაყ" ეწოდება.ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ მამაკაცს შეუძლია ცოლისთვის განქორწინების უფლების მინიჭება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალს შეუძლია ამით სპეკულირება მცირე უთანხმოების დროსაც კი. ***,,თუ ქალი ქმრისგან გაყრას დაუსაბუთებელი მიზეზების გარეშე ითხოვს, მისთვის სამოთხის არომატიც აკრძალულია".***[60]ქალს შეუძლია ქმრისგან, რომელიც ამაზე თანხმობას არ იძლევა, განქორწინება მისი კუთვნილი ქონების სანაცვლოდ მოითხოვოს. ამ შემთხვევაში მამაკაცი აღიდგენს მატერიალურ დანახარჯებს და ცოლისგან უკან მიიღებს სახსრებს, მას კი შეუძლია ახალ ქორწინებაზეც იფიქროს.ქმარს გაყრის მოთხოვნა აქვს როგორც თავად, ისე ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით. რაც შეეხება ქალს, მას რიგი მიზეზების გამო შეუძლია განქორწინების მოთხოვნით მიმართოს მოსამართლეს. სულ ექვსი ასეთი მიზეზი არსებობს.

1)ავადმყოფობა ან საპატიო მიზეზი

[60]https://islamicpublishing.org/KAYNAKLAR/Dokumanlar/KITAPLAR/georgian/gurcuce-islami-acidan-kadin.pdf?fbclid=IwAR1d5C6OHcd5hEPZwW6ZYMwnrp7WaWwqPQX3iRsEo5XCm_ef97mHJP9bh0o.გვ.118

ქალს შეუძლია განქორწინება მოითხოვოს, თუ ქორწინების დროს ცნობილი ხდება რაიმე დაავადების შესახებ. მაგალითად, ფსიქიური აშლილობა, შიდსი და სხვა განუკურნებელი სნეულებები. საპატიო მიზეზებს შორის შეიძლება იყოს აღმოჩენილი ნათესაური კავშირები მეუღლეებს შორის.

2) მატერიალური უზრუნველყოფის არარსებობა

ქმარმა უნდა უზრუნველყოს ცოლი საკვების, ტანსაცმლის და სხვა საჭიროებების თვალსაზრისით. თუ ქორწინების შემდეგ შეძლებული ქმარი არ გამოყოფს ცოლისთვის ხარჯებს, ცოლს შეუძლია მისგან ხარჯების მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში განქორწინების მოთხოვნის სრული უფლება გააჩნია.

3) ქმრის ხანგრძლივი არყოფნა

იმ შემთხვევაში თუ ქმარი სახლს ტოვებს დიდიხნით, ცოლს შეუძლია სასამართლოს მიმართოს განქორწინების მოთხოვნით. ქმრის უგზოუკვალოდ გაქრობიდან ოთხი წლის შემდეგ, მოსამართლეს შეუძლია ცოლის მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

4) ქმრის დაპატიმრება

ყველა სამართალმცოდნე თანხმდება იმაში, რომ ქმრის დაპატიმრება არ შეიძლება ითვლებოდეს განქორწინების მიზეზად, ვინაიდან ამ მოთხოვნის ლეგიტიმურობის დამამტკიცებელი ადათები და ჰადისები არ არსებობს.

5) ცუდი ურთიერთობები.

მეუღლეებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა, უთანხმოება, სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება შესაძლოა გაყრის მიზეზი გახდეს. აღნიშნულ შემთხვევაში ორივე მეუღლიდან შეიძლება მომდინარეობდეს ეს მოთხოვნა.

6)მრუშობა

ღალატი, უდიდესი ცოდვა და სამარცხვინო ქმედებაა, რომლის შემთხვევაშიც განქორწინების საკითხი აუცილებლად დგება.

თუ ადამიანმა იცის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გაყრას ვერ შეძლებს, შესაძლოა არასოდეს იქორწინოს.

ინდუიზმი და მისი დაპირისპირება ქრისტიანულ მრწამსთან

ნინო ოზგელდოვის

ალბათ შეხვდებით ქუჩაში სხვადასხვა სექტანტს, რომელიც ცდილობს გადაგიბიროს თავის რწმენაზე, შეხვდებით ასევე სხვადასხვა სამლოცველოსა თუ რჯულის ადამიანს. რელიგიას ხომ უდიდესი წვლილი მიუძღვის ადამიანის იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის, ტრადიციებისა და კულტურის ჩამოყალიბებაში. სწორედ, რელიგია ქმნის ადამიანს, კაცობრიობის ისტორიას, არ აქვს მნიშვნელობა თუ რა რელიგია იქნება ის. როგორც ვიცით, უმეტეს შემთხვევაში, არცოდნის გამო, ესა თუ ის რელიგია და მისი მიმდევრები კრიტიკისა და შეურაცხყოფის ქვეშ ექცევიან, ამასთანავე უპირისპირდებიან შენს „სარწმუნოების სიმბოლოს“ ანუ მრწამსს. ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი სტატიის თემა „ინდუიზმი და მისი დამირისპირება ქრისტიანულ მრწამსთან“ ყოფილიყო, რათა უფრო უკეთ გვცოდნოდა მისი განმარტება, ადათ-წესები, მისი მიმდევრების იდეები, მათი გაბატონებული ფასეულობების დიდი ნაწილის შეუთავსებლობა ქრისტიანობასთან და, რა თქმა უნდა, ისიც, თუ რა საშიშროების წინაშე შეიძლება დამდგარიყო, ან დადგეს ქრისტიანი ერი.

ინდუიზმი მრავალი მიმართულებით იტაცებს ადამიანს. იგი ძალზედ მაცდურია, ამასთანავე მიმზიდველიც- ყოველი სისუსტისა, განსაკუთრებით კი ამპარტავნებისათვის. ინდუიზმი ინდოეთის უძველეს რელიგიას განეკუთვნება. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მისი ფესვები ჯერ კიდევ ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციაში უნდა ვეძებოთ, ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოს რელიგიებს შორის. ინდუიზმს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მის ეტაპად შეიძლება ჩავთვალოთ ვედური რელიგია, რომელიც საბოლოოდ ძვ.წ. II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. თვითონ ტერმინი ინდუიზმი კი ევროპული წარმოშობისაა და ის, ფაქტობრივად, ერთ მთლიან რელიგიას არ წარმოადგენს. იგი პოლითეისტურია. მრავალი სხვა რელიგიისგან განსხვავებით,

ინდუიზმს არ ჰყავს დამაარსებელი. ის წარმოადგენს სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების, იდეების, მსოფლმხედველობის შერწყმას, რომელშიც გადაიკვეთება მონოთეიზმი, პოლითეიზმი და პანთეიზმი. ინდუიზმში მთავარი ღვთაებებია: ვიშუ, ბრაჰმა და შივა, რომლებიც ღვთიურ სამებაში - ტრიმურტიშია გაერთიანებული.

ინდუიზმის ძირითად პრინციპებს განეკუთვნება - დჰარმა(ღმერთის მიერ შექმნილ ბუნების, მორალის, რელიგიის, კეთილდღეობის მარადიულ კანონი), კარმა (ითარგმნება, როგორც „მოქმედება“, „ქმედება“. იგი აერთიანებს თავისუფლებისა და ბედისწერის გაგებას) და სამსარა (სამსარას სამყარო ქმნის ისეთ გარდამავალ სიხარულს , რომელიც არსებას უტოვებს ხელახლა დაბადების სურვილს, რათა დატკბეს მატერიალურად).

ინდუიზმის რელიგიაში ცენტრალური ადგილი მსხვერპლშეწირვას უკავია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ადამიანს უფლება აქვს, თხოვნის შესრულება მოითხოვოს. ხოლო, რაც შეეხება სამყაროს წარმოშობისა და მოწყობის შესახებ ვერსიებს ინდუიზმი სხვადასხვანაირად გვთავაზობს. როგორც ზემოთ ითქვა, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ რელიგიას არ გააჩნია მწყობრი, ერთიანი სისტემა. მიუხედავად ამ ყოველივესი, ინდუისტების უმრავლესობა აღიარებს, რომ ღმერთმა დემიურგმა ბრაჰმამ, სამყარო პირველადი მატერიის მეშვეობით შექმნა. ინდუისტთა აზრით, ნებისმიერი მოვლენა ოდესღაც უკვე მოხდა და მომავალშიც განმეორდება.

„დოგმატების ომი“ ასე ეწოდება იმ ურთიერთდაპირისპირებებს, რაც ინდუიზმსა და ქრისტიანულ რელიგიებს ეხება. მტერი ინდუიზმი გახლავთ, ხოლო ომი, რომელიც მან ქრისტიანობას გაუმართა დოგმატების ომია. ქრისტიანები და ინდუისტები, რასაც კი პატივს სცემენ, ყველაფერი, თითოეული მათგანის დოგმატებისგან გამომდინარეობს. ის, რაც ქრისტიანებს მიაჩნიათ, რომ არის ყველაზე დიდი ცოდვა, ინდუისტებისთვის პირიქით, უმაღლესი სიკეთის განსახიერებაა. ქრისტიანული მრწამსი მიიჩნევს, რომ ამპარტავნობა ცოდვათა შორის უპირველესია. თუნდაც თვით ათი მცნებიდანაც კი, ყველა პუნქტი ამპარტავნობას აერთიანებს და უშუალოდ უკავშირდება მას: თუ მოკლავ კაცს და წაართმევ ღმერთისგან ნაბოძარ სიცოცხლეს, „დასაჯე“. გაქვს უფლება?-ესე იგი ამპარტავანი ხარ. მოყვასის ცოლს თუ სხვა თვალით შეხედავ, ეს რას ნიშნავს? მის ქმარს სჯობიხარ?- მაშინ

ამპარტავანი გამოდიხარ, ეცი პატივი მშობლებს, მაგრამ არ ითვალისწინებ ამ პუნქტს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ბევრჯერ გვსმენია შვილისგან ეს ფრაზები- „რა გაგიკეთებია?“, „მანქანა ვერ მიყიდე“, „განათლება ვერ მომეცი“ და ა.შ. ამ შემთხვევაშიც ამპარტავანი გამოდიხარ. სწორედ, ამპარტავნობისგან გამომდინარეობს ყველა ის თვისება, როგორებიცაა ეგოიზმი, თვითკმაყოფილება და უზომო სიამაყე. ხოლო ინდუისტებისათვის კი, განსაკუთრებით ვედანტების მიმდევართათვის, ერთადერთი ცოდვა ისაა, თუ არ გწამს, რომ სწორედ შენ , ყოველი ადამიანი შენთან ერთად და მთლიანად კაცობრიობა ხართ ღმერთი.

ამრიგად, ქრისტიანობისა და ინდუიზმის დოგმატები შეპირისპირებისას ყოველ ქმედებაში გამორიცხავენ ერთმანეთს, უფრო კონკრეტულად კი, ის,რაც ადამიანის ბუნებას, ღმერთის ბუნებასა და ადამიანის არსებობის, ცხოვრების აზრს ეხება.

ბოლო ხანებში გარკვეულწილად მომძლავრდა მტერი-ინდუიზმი და სხვა აღმოსავლური რელიგიები, თავისი სისასტიკით, ვერაგობითა და მლიქვნელობით. ისინი, ერთ დროს, განსაკუთრებულად ვრცელდებიან ქრისტიანულ ქვეყნებში. ამ მხრივ გამოირჩევა ამერიკა, სადაც XIX საუკუნის ბოლოს ვედანტის შემსწავლელი პირველი წრეები ჩამოყალიბდა, რომლებიც ცდილობდნენ იმას, რომ საზოგადოებაში ჩამოეყალიბებინათ აზრი, თითქოს ინდუიზმსა და ქრისტიანობას შორის არავითარი დაპირისპირება და პრინციმული განსხვავება არ არსებობს, მეტიც ამბობდნენ, რომ ამით კარგი ქრისტიანი კიდევ უკეთესი ქრისტიანი დადგება, თუკი ის შეისწავლის და აითვისებს ვედანტას. მაგრამ, მხოლოდ ამ კონკრეტულ ქვეყანას არა, არამედ თითქმის მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობას მოედო იგი. მონასტრებში ხომ ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად ჭეშმარიტებას გვასწავლიან. გვეუბნებიან, რომ ძალა სიმდაბლეშია და ამპარტავნების ხაფანგს უნდა ვერიდოთ. მართალს ამბობს იაკობ მოციქული, როდესაც ამბობს: „ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“ .

ინდუისტები აგდებულად უყურებენ ქრისტიანულ მრწამსს, ამასთანავე მას „დაბალ, დუალისტურ ჭეშმარიტებას“ უწოდებენ.

ინდუიზმის მიზანია მსოფლიოს, მრავალმხრივი(უნივერსალური) რელიიგის შექმნა სასურველი ეშმაკისათვის, მას საშუალება ეძლება ამ ცრურელიგიას ცრუღმერთი დაუდგინოს და აიძულოს კაცობრიობა, რომ თაყვანი სცეს მას. ეს რელიგია, რა თქმა უნდა , იქნება უდიდესი გამანადგურებელი ქარიშხალი, რომელიც ქრისტიანობის გაქრობას შეეცდება და თუკი ქრისტიანი მოსახლეობა დაეთანხმება ინდუიზმნის მქადაგებლებს და მათ დამტკიცებებს, რომ ჩვენს რელიგიებს შორის განსხვავება არ არსებობს და თუკი მაინც არსებობს იგი მოჩვენებითია, არა რეალური, მაშინ ინდუისტური იდეები, მათი მიზნები ადვილად შემოაღწევენ ქრისტიანთა სულში. მათი ძალა ხომ დამანგრეველია, ერთი სიტყვით, მას შეუძლია ბოროტის თაყვანისცემამდე და აღიარებამდე მიიყვანოს ადამიანი.

„ვაი, რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად, რომელნი დასდებენ ბნელსა ნათლად და ნათელსა ბნელად, და რომელნი დასდებენ მწარესა ტკბილად და ტკბილსა მწარედ! ვაი, რომელნი ბრძენ არიან თაბით თვისით და წინაშე მათსა ზედმიწევნულებ!“

რაც არ უნდა იყოს, სამწუხაროდ, ეს მოვლენა დიდ კვალს დატოვებდა საზოგადოების ყველა სფეროში. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამ მოვლენის მიმართ იქნებოდა განსხვავებული შეხედულებები, შესაბამისად არც იქნებოდა ერთგვარი დამოკიდებულება მოცემული საკითხის მიმართ, თუმცა მიმაჩნია, რომ ინდუისტური რელიგია, კულტურა და ის მოთხოვნები, რომლებსაც იგი ითვალისწინებს ინდუიზმის მიმდევრების ტრამვაა, თუმცა არანაკლები გავლენა მოახდინა ამ რელიგიამ სხვადასხვა ქვეყნებზე. დღეს ინდოეთში მოსახლეობის 90% ინდუსტია. ამ რელიგიას აღიარებენ ნეპალში, პაკისტანში, მალაიზიაში, სინგაპურში, ნაწილობრივ- ბანგლადეშში და სხვა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმდევართა რაოდენობის მიხედვით ინდუიზმი ქრისტიანობისა და ისლამის შემდეგ მესამე რელიგიაა. ვფიქრობ, რომ იგი ნამდვილად შეუთავსებელია ქრისტიანულ ცხოვრებასთან, თუკი სერიოზულად დავუფიქრდებით და გავიაზრებთ ყოველგვარ ზემოთქმულს მივხვდებით, რომ უნდა გავემიჯნოთ ყოველგავრ სიბნელეს და გავწმინდოთ ჩვენი ცხოვრება, ყოველივე ბოროტული(დემონური) გავლენისაგან.

კულტურა

და

ცივილიზაცია

ჩინური იეროგლიფური დამწერლობა

ნინო გოგალაძე, სალომე მაჭარაშვილი

ჩინურ იეროგლიფურ დამწერლობას მსოფლიოში არსებულ დამწერლობათა შორის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშრებით, თუ როდიდან იწყებს ჩამოყლიბებასა და შემდეგ უკვე გავრცელებას ჩინეთში დამწერლობა. წერილობით წყაროებს თუ გავითვალისწინებ, უნდა ითქვას, რომ ნახევრადლეგენდალურმა იმპერატორმა ხუანგდიმ (ძვ.წ. 27-ე ს.) ერთ-ერთ ქვეშევრდომს-ცან-ძიეს დაავალა დამწერლობის შექმნა. სწორედ მას მიეწერება ტრადიციული ჩინური აზროვნებით იეროგლიფების შექმნა. არქეოლოგიური მონაცემებით ჯერ კიდევ იანშაოს კულტურაში აღმოჩენილია ძვ.წ. მეხუთე ათასწლეულის ქოთნები, რომლებზეც სხვადასხვა ნიშნებია ამოტვიფრული, ამასთანავე, დავენკუს კულტურაში, თანამედროვე სოფელ ბანპოს სიახლოვეს, სიიანის პროვინციაში აღმოჩენილია იმავე პერიოდის არაერთი ამოკაწრული სიმბოლო, რომლებიც ზოგიერთ მკვლევარს დამწერლობის პრიმიტიულ დონედ მიაჩნია, თუმცა ეს საკითხი კვლავ საკამათო თემაა.[61]

ჩინური დამწერლობა

ჩინური დამწერლობის შესახებ რამდენიმე ლეგენდა არსებობს, რომლებიც ანტიკური ჩინური პერიოდიზაციის ნაწილია. ყველაზე პოპულარულია ლეგენდები ცანგ ძიეასა და პაკუაზე.ცანგ ძიეს შესახებ პირველი ისტორიული წყარო დათარიღებულია ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებით. ისტორიული წყაროს ავტორი კი გახლდათ ცნობილი კონფუციანელი ფილოსოფოსი სუნ წ' (荀子). ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ იგი ცანგ ძიეს დამწერლობის შემქმნელად კი არა, არამედმის ეპოქაში საუკეთესო მწიგნობრად მოიხსენიებს.

[61] გოგა ჭანტურია, ჩინური დამწერლობა, საქართველოსს სამეფო, www.georoyal.ge , 11.16.2018 წელი.

ცანგ ძიე, 1685 წლის პორტრეტი

ცანგ ძიეს შესახებ უფრო ვრცელ ინფორმაციას ვხვდებით ხანის დინაასტის [62] ეპოქის დროინდელ მასალებში. ერთ-ერთი ისტორიკოსის ცნობით ცანგ ძემ შექმნა იეროგლიფები - „როცა ცანგ ძიემ შქმნა იეროგლიფები, ღმერთებმა ტირილი დაიწყეს, ციდან მარცვლეულის წვიმა წამოვიდა „ - მოცემულ ფრაზაში ჩანს რომ დამწერლობის შექმნა და განვითარება ადამიანთათვის დიდი სიხარულის მომტანი და განვითარების მომასწავებელი იყო. [63]

მოგვიანებით, ახ. წ. პირველ-მეორე საუკუნეებში სუ შენმა შეადგინა ჩინეთის ისტორიაში უძველესი იეროგლიფთა ახსნა-განმარტებებით, ანალიზური ლექსიკონი - „სიმბოლოების ახსნა და ნიშნების გაანალიზება“ (说文解字). სწორედ მანვე დაადასტურა ცანგ ძიეს მიერ იეროგლიფების შექმნა. როგორც ის აღწერს, ცანგ ძიემ თავდაპირველად შექმნა მარტივი, რამდენიმეშტრიხიანი იეროგლიფები, შემდეგ კი ამ იეროგლიფებზე დაყრდნობით შექმნა შედარებით რთული ფორმის ნიშნები იეროგლიფების ნიშნებისა და ხმების მიხედვით. საინტერეროა ის ფაქტიც, რომ იეროგლიფების შედგენის ექვსი მეთოდიდან ყველაზე პროფუქტიული და ხშირად გამოყენებადია ფორმისა და ხმის მეთოდი - იდეოფონოგრამული მეთოდი - რომელიც გულისხმობს ახალი იეროგიფების შექმნას ორი არსებული იეროგლიფით, რომლიდანაც ერთი გამოთქმას მიუთითებს, მეორე კი მნიშვნელობას.[64]

ცანგ ძიეს გვერდით, ზოგიერთი ანტიკური ჩინური წყაროს იეროგლიფების შექმნელად ასახელებს პაკუას.ეს უკანასკნელი ეწოდება რვა ტრიგრამას, რომლებიც ტაოისტური

[62] ხანის დინასტია (ძვ.წ. 206 - ახ.წ. 220)- საიმპერატორო დინასტია ჩინეთში.დინასტიის დამაარსებელია ლიუ ბანი, რომელმაც გააერთიანა ქვეყანა და ძლიერი ცენტრალიზებული იმპერია შექმნა.
[63] ოთარ ჭიღლაძე, სინოლოგია, ჩინური იეროგლიფური დამწერლობა, ნახვის დრო 10.06.2021 წელი, 12:56.
[64] Chen Tingyou. Chinese calligraphy. Beijing : China Intercontinental Press , 2010.

კოსმოლოგიის ცენტრს წარმოადგენენ. პაკუას ტრიგრამები იმის გამო ეწოდება, რომ თითოეული მათგანი შედგენილია სმი ხაზისგან. ხაზები იყოფა ორ - დაყოფილ და დაუყოფელ ნაწილებად, სადაც, დაუყოფელი ხაზი რის იანის სიმბოლო, ხოლო დაყოფილი - ინის. სამი დაუყოფელი ხაზი ერთად განასახიერებს სრულ იანს - ☰. სამი დაყოფილი ხაზი ერთად კი სრულ ინს - ☷. [65] დროთა განმავლობაში პაკუა დაუახლოვდა ასტრონომიას, კოსმოლოგიას, ანატომიას, გეომეტრიასა და ა.შ. ხანის დინასტიის ეპოქაში შედგენილი რელიგიური წინასწარმეტყველური წიგნი „ი ვეი“ ამბობს, რომ ცანგ ძიემ პაკუა გამოიყენა იეროგლიფების შესაქმნელად. თუმცა, ასევე არსებობს რამდენიმე ჩინური წყარო, რომელიც პაკუას პირველ დამწერლობად მიიჩნევს. ამის მადასურებელია მეექვსე საუკუნეში ვენ სუენის მიერ შედგენილი ერთ-ერთი უძველესი ჩინური ლიტერატურის ანთოლოგიაში არსებული ასეთი ფრაზა: „ კვანძების შეკვრა განვითარდა და მოგვცა პაკუას დამწერლობა“.[66]

ტრადიციული ჩინური დამწერლობის თანახმად, იეროგლიფების შექმნას წინ უძღოდა კვანძოვანი დამწერლობა. დამწერლობის შექმნამდე კვანძების მეთოდი გამოიყენებოდა საკომუნიკაციოდ და „ტექსტების“ დასაწერად. ისიც ყურადსაღებია, რომ დღესდღეობით არ არის დადასტურებული ჩინეთში კვანძოვანი დამწერლობის აქტუალობა, ტუმცა ამგვარი ტიპის დამწერლობა გამოიყენებოდა სამხრეთ ამერიკის იბდილებში.

	Oracle Bone script (starting around 1400 BC)	Bronze script (starting around 1100 BC)	Small Seal script (starting around 220 BC)	Clerical script (starting around 200 BC)	Simplified script (starting in 1950s)
horse					
to see					
rain					

ჩინური დამწერლობის განვითარების ეტაპები

[65] William G. Boltz, The origin and early development of the Chinese writing system, 1994.

[66] ოთარ ჭიღლაძე, სინოლოგია, ჩინური იეროგლიფური დამწერლობა, ნახვის დრო 10.06.2021 წელი, 14:23

ჩინური დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები დათარიღებულია ძვ. წ. მე-13 - მე-12 საუკუნეებით და ცნობილია „სამკიღხველო ქვების“ სახელწოდებით. სწორდ ამ პერიოდიდან აითვლება ჩინური დმწერლობის ისტორია და გამოყოფენ მისი განვითარების რამდენიმე პერიოდს. პირველი გახლავთ „ძიაკუვენი“. ამ პერიოდის სამკითხაო წარწერები შესრულებულია ცხოველების ტყავზე ან კუს ბაქანზე. აქ იეროგლიფები ჯერ კიდევ მსგავსია ხატოვანი გამოსახულებისა. დამწერლობა რთული აღსაქმელია მრავალი ფორმის შტრიხების გამო, მოხაზული ნიშნების სხვადასხვაგვარობისა და არაერთგვაროვნების გამო. „ძიაკუვები“ განვითარებული იყო შანის დინასტიისპერიდოში - ძ.წ. 1600-1045

„ძიაკუვენის“ ტიპის დამწერლობის ნიმუში

მეორე პერიოდი გახლავთ „ძინვენი“ . ეს წარწერები შესრულებული იყო ბრინჯაოზე. გავრცელებული იყო შანისა და ჭოუს დინასტიების პერიოდში (ძვ.წ . 1045 -771) . ეს წარწერები მსგავსია ძიაკუვენისა, თუმცა შედარებით დახვეწილია და მრგვალი ფორმებით გამოირჩევა. შესამჩნევია ხატოვანი დამწერლობიდან სიმბოლურზე გადასვლის ფაზაც. ჩინური დამწერლობის განვითარების მესამე საფეხურს ეწოდება „ჭუანვენი“ - წარწერები ქვის ბეჭდებზე. ფუნქციური იყო ჩუნ-ციუსა (ძვ.წ. 771-476) და ჭანკოს (ძვ.წ. 476-221) ხანაში. ამ დამწერლობის სხვადასხვაგვარი სტილი არსებობდა. იმპერატორ ცინ-ში ხუანდის (ძვ.წ. 221-206) ეპოქაში მოხდა ამ სტილების ნომილანიზაცია, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა „ სიაოჭუანის“ სტილი, რომელიც წინამორბედებთან შედარებით უფრო მარტივი და სტანდარტიზებული იყო. „სიაოჭუნი“ დღესაც კი გამოიყენება სახელობით ბეჭდებზე .

მეოთხე ეტაპი გახლავთ „ლიშუ“ - მსახურთა კალიგრაფია, ოფიციალური სტილი. ჯერ კიდევ ცინის პერიოდშ მოიკიდა ფეხი და გავრცელებული იყო ხანის პერიოდშიც, შენარჩუნდა ვეის დროსაც (220-265). ამ დამწერლობას იყენებდნენ დაბალი რანგის მოხელეები და ჩვეულებრივი ხალხი ყოველდღიურ ცხოვრებაში. განვითარების ამ სტილის ჩინურმა დამწერლობამ საბოლოოდ ჩამოიშრა ხატოვანი დამწერლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ჩამოყალიბდა განივკუთხობის პრინციპი

ლიშუს გვერდით დგას „ქაიშუ“ - სანიმუშო წერა, სტანდარტული სტილი. დმწერლობის ეს ფორმა პირველად ჩნდება ვეის პერიოდში (220-265) და , აღსანიშნავია, რომ დღესაც გამოიყენება. მან გადაიღო ლიშუს პროპორციები, თუმცა დაიმკვიდრა კვადრატულობის პრინციპი. „ქაიშუს“ იეროგლიფები უფრო მარტივი წასაკითხია ვიდრე წინა სახის ნიმუშებში. დღესდღეობით ეს სტილი გავრცელებლია სასწავლებლებში და კომპიუტერულ სისტემაში.

განსაკუთრეით საინტერესოა მეექვსე პერიოდი, რომელსაც „მორბენალი სტილი“ ეწოდება. ეს სტილი სწრაფი წერის აუცილებლობის შედეგად განვითარდა, იგი დგას ოფიციალურსა და და სწრაფი წერის სტილს შორის. მისთვის დამახასიათებელია მოხრილი ნიშნები. ამჟამად ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებენ.

ასევე სისწრაფესთან იყო დაკავშირებული მერვე ეტაპი ჩინური დამწერლობის ისტორიაში, რომელსაც „ცაოშუ“ ეწოდება.ეს არის ბალახისებრი, სწრაფი ხელის სტილი. განვითარდა ხანის დინასტიის დროს. მისთვის დამახასიათებელია იეროგლიფის ფუნჯის ერთი მოსმით წერა, ამის გამო კი რაღაც შტრიხები გაურკვევლად იხაზება და ნაწერიც ბუნდოვანია. ამიტომ ხშირად თავად ჩინელებსაც კი უჭირთ ამგვარი სტილით შესრულებული ნიმუშების ამოკითხვა. აქედან გამომდინარე, ამ სტილს იშვიათად გამოიყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩინური დამწერლობის ისტორიის უკანასკნელი პერიოდი გახლავთ „სინშუ“, რომელიც სანიმუშო და ბალახისებრი სტილის შერწყმას წარმოადგენს. ქაიშუსთან შედარებით უფრო მარტივია, ხოლო ცაოშუს მსგავსად მას წერისას მონსამის უწყვეტობა ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნიდან ჩინეთმა დაიწო იეროგლიფების გამარტივება. თანამედროვე ჩინურ დამწერლობაში გამოიყოფა „ტრადიციული“ და „გამარტივებული“

ნიშნები. უმეტესად, გაამარტივეს ისეთი ნიშნები, რომელთა ამოკითხვა შედარებით რთული იყო და მრავალ შტრიხს შეიცავდნენ. [67]

龙 龍

გამარტივებული ტრადიციული

	Oracle Bone script (starting around 1400 BC)	Bronze script (starting around 1100 BC)	Small Seal script (starting around 220 BC)	Clerical script (starting around 200 BC)	Simplified script (starting in 1950s)
horse				馬	马
to see			見	見	见
rain			雨	雨	雨

ფოტოზე: ჩინური დამწერლობის განვითარების ეტაპები

ჩინური დამწერლობა მოიცავდა 106 000-მდე იეროგლიფს. როგორც უკვე აღინიშნა, დღეს ჩინელები გამარტივებულ ვერსიას იყენებენ, თუმცა უნდ ააღინიშნოს, რომ ისიც კი 8000 იეროგლიფის აერთიანებს.საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჩინეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა იეროგლიფები სრულად არც იცის,საშუალოდ მხოლოდ 2000-დან 4000-მდე იეროგლიფს ცნობენ. [68] ეს ცალსახად მიუთითებს ამ დამწერლობის სირთულესა და სპეციფიკურობაზე. დღესაც კი იქმნება ახალი იეროგლიფები, თუმცა ისინი ოფიციალურ სისტემაში იშვიათად ხვდებიან. მრავალი იეროგლიფი დაიკარგა, არსებობს ერთი და იმავე

[67] Chen Tingyou. Chinese calligraphy. Beijing : China Intercontinental Press , 2010.

[68] ჩინეთი და მისი დამწერლობა - დედამიწის უდიდესი და დღემდე შემორჩენილი უძველესი ცივილიზაცია, 15.06.2018 წელი, ნახვის დრო:10.06. 2021 წელი, 18:52

იეროგლიფის დაწერის რამდენიმე ვარიანტი, დროის სვლასთან ერთად იეროგლიფების ნაწილი ხმარებიდან გადის და ე.წ. „მკვდარ იეროგლიფად“ იქცევა.

ინდური სამზარეულო

ქრისტინა

*კაპანაძე*ინდოეთი ის ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა. ეს საკვებშიც აისახება რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობს და გამორჩეულია თავისიმრავალფეროვანი ინგრედიენტებით და გემოთი. საკვების აღსაწერად მხოლოდ სანელებლებისხსენებაც კი საკმარისია, რომელსაც აქტიურად იყენებს ინდოეთი, ესენია: ზაფრანა, ქინძი,ჯანჯაფილი, კუმინი და რამდენიმე სხვა, რომლებიც ამძაფრებს გემოს. მწვანილები დაადგილობრივი სხვა ელემენტები ისეთივე მრავალფეროვანია როგორც ინდოეთის მოსახლეობა,ეს კი მრავალი რეცეპტის საფუძველია.

ინდური საკვების ისტორია ჰარაპანას დროიდან იწყება. ვარაუდობენ რომ დარიჩინის გამოყენებასაც ამ დროიდან დაედო საფუძველი. ამ პერიოდში ხორბალი, ფეტვი, ბრინჯი, წიწიბურა და ოსპი წარმოადგენდა ძირითად საკვებ მარცვლეულს. მათ თავდაპირველად წვიანებში იყენებდნენ, ხოლო შემდგომ მათი ფქვილისგან პურის ცხობა დაიწყეს, რომელსაც ჩაპატის ან ნაანსეძახიან. ინდის ხეობაში გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ბრტყელი ლითონის და თიხის ფირფიტები დღევანდელი ტავას მსგავსი,რომლითაც დასტურდება რომ ჩაპატის გარკვეული ზომა მაშინათვე იყო გავრცელებული.

მავრიანელთა მმართველობის დროს ინდური კულტურა 300 წლით იყო დაშორებული ცხოველთა მსხვერპლშეწირვის ციკლს, ამიტომ აქ ვეგეტარიანელობა გავრცელდა და ამიტომაცააუამრავი მარცვლეულის საბადო.რეგიონების მიხედვითაც იყოფა კერძები, მაგალითად სამხრეთ ინდოეთის სამზარეულოში ძირითადად ბრინჯი გამოიყენება,

რომელსაც წვნიანის სახით გამოიყენებენ და მას რასამს უწოდებენ.ასევე ქოქოსი

მნიშვნელოვანი ინგრედიენტია. დოზა (ბრინჯის ბლინები), იდლი (ორთქლზე მომზადებული ბრინჯის ნამცხვრები) და ფერმენტირებული ბრინჯი ძალიან პოპულარული კერძებია ინდუისტური ვეგეტარიანული დიეტის დროს. ასევე მნიშვნელოვანია უცხოელების წვლილი ინდურ სამზარეულოში, მაგალითად ჩაი რომელიც ინგლისელებმა შეიტანეს, საყვარელ სასმელად იქცა, რომელსაც თავისი ინტერპრეტაცია მისცეს და მასში ხშირად რძეს ამატებენ.

ჩრდილოეთზე დიდი გავლენა იქონიეს მოგოლთადინასტიამ რომელიც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მართავდა ინდოეთს, სანამ 1800 -იანი წლებიდან ინგლისელებმა არ ჩაანაცვლეს. კაკლის პიურე და ნაღები რომელსაც ზაფრანას ამატებენ და სხვა მდიდარ შესაკმაზებს მოგოლთა დინასტიიდანაა გადმოსული. ნაანის პური, რომელიც აქტიურად გამოიყენება ინდურ სამზარეულოში სინამდვილეში ავღანელი ხალხის ყოველდღიური პურია. ჩრდილოელები უფრო იკვებებიან ხორცით და მათი სამზარეულო ემიჯნება სამხრეთულს. რაც შეეხება დასავლეთის გოას, მაჰარაშტრასა და გუჯარათს, კვების უნიკალური გამოცდილება აქვთ. გუჯარაში ძირითადად მაჰმადიანი, პარსისელი, ინდუისტი და ჯაინელები ცხოვრობენ და მათ თითოეულს საკუთარი მომზადების ტექნიკა აქვთ.პარისებს აქვთ მდიდარი სამზარეულო ქათმით და ზღვის პროდუქტებით, განსხვავებით ჯაინებისაგან, რომლებიც მკაცრად ვეგეტარიანელები არიან რელიგიური მიზეზების გამო. გუჯარეთელები ძირითადად ბოსტნეულს ჭამენ და გუჯარათიმიიჩნევა ერთ-ერთ საუკეთესო ადგილადვეგეტარიანული საკვების მისაღებად.მაჰარაშტრა უზარმაზარი ,,სახელმწიფოა“ თავისი ცნობილი დედაქალაქი მუმბაით (ყოფილი ბომბეი). ამ დიდ რეგიონს აქვს ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები და რესტორნები, რომლებიც აერთიანებს ზღვის პროდუქტებს, წითელ ჩილის და ქოქოსს.აღმოსავლეთის სახელმწიფოები, როგორიცაა დასავლეთ ბენგალი, ორიზა, ბიჰარი და ჯარხანდი საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.ბენგალური სამზარეულო შეიძლება შეფასდეს, როგორც დელიკატური და დახვეწილი, საყვარელი პროდუქტი თევზი და ბრინჯია. ბენგალური კერძის შეკვეთა იწყება შერეული ბოსტნეულის კერძით, მწარე არომატით და მთავრდება , რძის ტკბილი დესერტით, რომლითაც ბენგალია ცნობილი. ბიჰარი დაჯარხანდი სარგებლობენ თავიანთი ბოსტნეულითდა ლობიოთი, თუმცა მათ აქვთ დასავლურიელფერიც,მაგალითად საქონლის, ღორის, თხის დაქათმის ხორცი.

ინდოეთში უამრავი დღესასწაულია და შესაბამისად ტრადიციის მიხედვით გარკვეული საჭმელიც სპეციალურად ამ დღეებისთვის მზადდება.დივალი, რომელსაც სინათლის დღესასწაულსაც უწოდებენ ძალიან მნიშვნელოვანია ინდურ კულტურაში, იგი სინათლის სიბნელეზე და სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღესასწაულია და ამ დღეს აუცილებელი საკვები-ტკბილეულია, თითეული ოჯახი ვალდებულია ყველანაირი სახის დესერტი მოამზადოს ეს იქნება გულაბ-ჯამუნი, ჯალები, შანკარპალი, გაჯარ კა, ჰალვა თუ ქაჯუ ბარფი.

ჰოლი, რომელიც ასევე უდიდესი დღესასწაულია ინდოეთში, ასევე ცნობილია როგორც ,,გაზაფხულის“ ან ,,ფერების“ ფესტივალი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონების მიხედვით განსხვავდება სამზარეულო, მაინც არის რამდენიმე მთავარი საკვები, რომლის მომზადებაც ამ დღესასწაულზე აუცილებელია. მაგალითად ტკბილინაღების რძის სასმელი,რომელსაც ტანდაის ან ბენგს ეძახიან. სასმელი სხავდასხვა თხილეულის და ეგზოტიკური სუნელების კომბინაციაა, როგორიცაა ილი, ვარდის ფურცლები და ცერეცო. საინტერესოა სასმელი, რომელსაც დღესასწაულის დაწყებამდე სვამენ, მასში მარიხუანას ურევენ კარგი განწყობის შესაქმნელად.

რაქშა-ბადანი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დღესასწაულია ინდოელებისთვის. ეს დის და ძმის კავშირს გამოხატავს. ამ დღეს ყველას ის საკვები შეუძლია მიირთვას და მოიტანოს რაც ყველაზე მეტად უყვარს. განსაკუთრებთ ამ დღეს მზადდება ბარფი, მითაი და პაკორა.

პონგალი ასევე მნიშვნელოვანი, ოთხ დღიანი მოსავლის დღესასწაულია სამხრეთ ინდოეთში. ამ დღეს მთავარი საკვები ტკბილი ბრინჯია, რომელსაც შაქარს, მშრალ ხილს და რძეს ამატებენ, ეს კერძი არც საქართველოსთვისაა უცხო, იგი ახალი თიხის ჭურჭელში მზადდება და ღია ცის ქვეშ, რამდენიმე საათის განმავლობაში დუღს, ჯერ მზეს მიუძღვნიან ხოლო შემდგომ შეუძლიათ დააგემოვნონ.

განეშ-ჩატური რომელიც 10 დღიანი ფესტივალია,ასევე მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულად მიიჩნევა. ამ დღეს მზადდება უფალი განეშას საყვარელი ტკბილეული მოდაკი, რომლის ბევრი სახეობა არსებობს, ყველაზე ცნობილი კი მაჰარაშტრიული მოდაკია,

რომელსაც ბრინჯის ფქვილისაგან ორთქლზე ამზადებენ, ვიზუალით ძალიან მოგვაგონებს ხინკალს. შიგთავსი კი ქოქოსის, ჯაგერის, ჯავზის დაზაფრანისგან შედგება.

ამრიგად, ინდური სამზარეულო საუკუნეების წინ წარმოიშვა და იგი თანდათან იხვეწებოდა, ემატებოდა სხვადასხვა რეგიონების ადგილობრივი ელემენტები, რამაც საოცრად არომატული კერძები წარმოშვა, რომლებიც დღესაც ძვირფასია. ეს არა მხოლოდ ინდოეთის სახლებშია გავრცელებული, არამედ მსოფლიოც სარგებლობს, სადაც ინდურ სანელებლებს ღრმა დაფასება აქვს.გემრიელი ინდუისტური კერძები მთელ მსოფლიოში ფერს და სუნელს მატებს ცხოვრებას.

ალ-ჰამბრას სასახლე - ,,მუჰამედის ჭეშმარიტი სამოთხე“

სალომე მაჭარაშვილი, მიხეილ ჯილავიანი

სამხრეთ ესპანეთში, სიერა-ნევადის მთებთან, ქალაქ გრანადას 150-მეტრიან ბორცვ - ლა-საბიკაზე მდებარეობს შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლი ალჰამბრა. ტერმინი ,,ალ-ჰამბრა“ მომდინარეობს არაბული სიტყვიდან (

ალ-ჰამბრას სასახლე, გრანადა, სამხრეთ ესპანეთი

მავრიტანული ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო მწვერვალის - ალ-ჰამბრას სასახლის მშენებლობა XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. 1238 წელს მუჰამედ I იბნ ნასრმა, მეტსახელად ალ-ახმარმა (,,წითურმა“), გრანადა მურსიის ემირს წაართვა. ალ-ახმარი ქალაქში ელვირას ალაყაფიდან შევიდა და ქალაქის მცხოვრებთა მისალმებაზე - “კეთილი იყოს შენი მობრძანება, ალაჰის წყალობით გამარჯვებულო!” - გამუდმებით პასუხობდა - “არ არს გამარჯვებული, ალაჰის გარდა”. ეს სიტყვები მის მიერ დაარსებული ნასრიდების დინასტიის დევიზად იქცა და ხშირად მეორდება ალ-ჰამბრას კედლებზე. ნასრიდების პირველმა ამირამ მუჰამედ I იბნ ნასრმა ლა-საბიკაზე სამთავრობო რეზიდენციის აგება 1239 წელს დაიწყო და ამგვარად საფუძველი ჩაეყარა ალ-ჰამბრას სასახლის მშენებლობას.

არქიტექტურული სამუაშოები სამეფო საყდრის გამაგრებით დაიწყეს. ისტორიული ცნობების თანახმად, გრანადაში მუჰამედის შესვლამდე ლა-საბიკას გორაზე მდებარეობდა ციხე-სიმაგრე, რომელიც 1052-1056 წლებში ადგილობრივი მმარეთველი დინასტიის ებრაელი ვეზირის - იუსუფ იბნ ნაღრალას რეზიდენცია იყო.[70] მოგვიანებით აღნიშნული სასახლე დაინგრა და სწორედ ამ ნანგრევებზე დაიწყო მუჰამედ I- მა ალ-ჰამბრას სასახლის მშენებლობა. მის დროს აშენდა სასახლის შემადგენელი რამდენიმე ნაწილი, მათ შორის: გატეხილი კოშკი, ციხე და საგუშაგო კოშკი. მისვე ინიციატივით მოწესრიგდა საირიგაციო სისტემა მდინარე დაროდან. მუჰამედ I- მა ააშენა საწყობები და დარბაზები ჯარისკაცებისა

[70] ირინა, კოშორიძე, ,, ისლამური ხელოვნება : არქიტექტურა : სახვითი ხელოვნება : დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება : VII-XIX საუკუნეები“, თბილისი, 2012 წელი, გვ.83-89.

და ახალგაზრდა მესაზღვრეებისთვის. მის სახელთანაა დაკავშრებული ალ-ჰამბრაში სასახლეებისა და ბარიერების მშენებლობა[71].

ალ-ჰამბრას სასახლის კომპლექსის აგება განაგრძეს ალ-ახმარის მემკვიდრეებმა მუჰამედ II-მ (1273-1302) და მუჰამედ III-მ (1302-1309). ამ უკანასკნელის სახელს უკავშრდება ალ-ჰამბრას დიდი მეჩეთისა და საზოგადოებრივი აბანოების მშენებლობა. ისტორიული ცნობები ცხადყოფს, რომ ალ-ჰამბრას კომპლექსის გარკკვეული ნაწილი იუსუფ I-ის (1332-1354) მმართველობის დროს აშენდა. სწორედ ამ ეპოქის დროინდელია კომარესის სასახლის კოშკი. იუსუფ I-ის ეპოქაში ალ-ჰაბრა მავრი მმართველის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა. მუჰამედ V-ს დროს (1354-1359) აიგო ლომების ეზო, ცალკე გამოიყო ალ-კასაბას ციტადელი და მედინა - საცხოვრებელი უბანი ამირას სასახლით. მუჰამედი თავად ხელმძღვანელობდა მშენებლობებს, ესაუბრებოდა არქიტექტორებს, მხატვრებსა და მუშებსაც კი, მონაწილეობდა ბაღების დაგეგმარებაში, არგვევინებდა იშვიათი ჯიშის მცენარეებს, ლამაზ ბუჩქებსა და ყვავილებს - სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ალ-ჰამბრა დღემდე ასეა შემონახული.[72]

1492 წელს ესპანეთში რეკონკისტას დასრულების შედეგ ალ-ჰამბრას სასახლის ცალკეული ნაწილები ქრისტიანი მონარქების რეზიდენციებისთის გამოიყენებოდა. ალ-ჰამბრას პირველ ალკალდად და გრანადის გენერალ-კაპიტნად დაინიშნა გრაფი დე ტენდილია. 1515 წელს გამოიცა სპეციალური ბრძანებულება ალ-ჰამბრას, როგორც "განსაკუთრებული და შესანიშნავი ნაგებობის" დაცვის შესახებ. მოგვიანებით, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ესპანეთის მმართველმა კარლოს V-მ (1516-1556), ბრძანა კომპლექსის ნაწილის დანგრევა. მას განზრახული ჰქონდა ამ სივრცეში რენესანსის სასახლის აშენება. მისივე ბრძანება ითვალისწინებდა ალ-ჰამბრას კომპლექსში შემავალი მეჩეთის დანგრევას და მის ნაცვლად ეკლესიის მშენებლობას. სწორედ ამ მეჩეთის ადგილას აშენდა სანტა მარიას ეკლესია XVI-XVII საუკუნეებში. მოგვიანებით, ტახტზე

[71] HISTORY OF THE ALHAMBRA OF GRANADA, ნახვის დრო: 11.05.2021, 00:03, https://www.alhambra.org/en/alhambra-history.html

[72] ჟურნალი ,,ისტორიანი", რამაზ გურგენიძე, 2014 წლის მაისის #5 გამოშვება

ბურბონთა ასვლის შემდეგ, ფილიპე V-ის მეფობის დროიდან (1700-1746) ესპანელმა მეფეებმა ალ-ჰამბრასადმი ინტერესი სრულად დაკარგეს. 1812 წელს ნახევარკუნძულზე მიმდინარე დამოუკიდებლობის ომის დროს ფრანგებმა ააფეთქეს სასახლის კომპლექსის ზოგიერთი კოშკი. 1821 წელს მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ალ-ჰამბრას დამატებითი ზიანი მიაყენა. 1828 წელს ხუროთმოძღვარმა ხოსე კონტერასმა შეადგინა ფართო სარემონტო და სარეკონსტრუქციო პროგრამა, რომელსაც 1830 წელს მხარი დაუჭირა ფერდინანდ VII- მ. 1847 წელს, კონტერასის ვაჟმა რაფაელმა განაგრძო სარეკონსტუქციო სამუშაოები სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. იგი თითქმის ოთხი ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა ალ-ჰამბრასთვის პირვანდელი სახის დაბრუნებას. მოგვიანებთ, 1890 წელს, მარიანო კონტერას გრანჯას სახელს უკავშრდება დამატებითი აღდგენითი სამუშაოები ალ-ჰამბრას სასახლის მიმდებარედ. ამის შემდგომ, XIX საუკუნემდე სასახლე დავიწყებას მიეცა და მხოლოდ XX საუკუნიდან აღორძინდა.[73]

საკუნეებია ალ-ჰამბრა მავრიტანული ხელოვნების მწვერვალად ითვლება, რომელსაც მავრი პოეტები ,,მუჰამედის ჭეშმარიტ სამოთხეს" უწოდებდნენ. სასახლის სიდიადეს მისი მშენებლობის პროცესი წარმოადგენს. ალ-ჰამბრას ასაგებად მავრიტანული და ძველი ბერძნული მეთოდია გამოყენებული. მავრები, მშენებლობის თავდაპირველ ეტაპზე, არჩევდნენ ქვის ფერსა და ტექსტურას, ისე, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო კონსტრუქციის ჰარმონიულობა, პროპორციები და სიმარტივე. ამის შემდეგ იწყებოდა ნაგებობის დეკორაცია. მშენებლობისას მავრები ყოველთვის ითვალისწინებდნენ არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს პრინციპს — შენობა აგების შემდეგ უნდა გალამაზებულიყო და არა უშუალოდ აგების პროცესში. სასახლეების მოსაპირკეთებლად იყენებდნენ ხელოვნურ მარმარილოს - ე.წ. სტუკოს, რომელიც უმაღლესი ხარისხის ბათქაშს წარმოადგენდა. არაბი ხელოსნები სწორედ სტუკოზე კვეთდნენ აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ მაქმანისებურ ორნამენტებს, რომლებიც

[73] ibid. 1992. "The Palaces of the Alhambra." al-Andalus : the art of Islamic Spain.

უსასრულოდ მეორდება. მდიდრული ჩუქურთმით მორთული ზოგი თაღი ჰგავს ულამაზეს სტალაქტიტებს, რომელთა სიმეტრიაც ზუსტადაა დაცული. [74]

ალ-ჰამბრას სასახლის შიდა ინტერიერი, სტუკოთი მოპირკეთებული კედლები

ალ-ჰამბრას შიდა ფასადის ნაწილი მოპირკეთებულია „ზილიზით“ - ფილების პატარა ნაჭრებით, რომლებიც რთულ გეომეტრიულ ფორმებადაა დაწყობილი. დაბლა, კედლების გასწვრივ მკვეთრი ფერებია გამოყენებული, რაც ძალზე კონტრასტულს ხდის ზედა მობათქაშებული კედლის მუქ ტონში გადაწყვეტილ ფერებს.

მავრიტანული არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშის - ალ-ჰამბრას სასახლის სიდეადეს მისი შემადგენელი ნაწილების მრავალფეროვნებაც განაპირობებს. იგი 6 სასახლისგან შედგება, მათგან ხუთი ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ალ-ჰამბრა, როგორც სამეფო უბანი, შედგებოდა სასახლეების, აბანოების, ორი კოშკისა და ბაღებისაგან. ეს უკანასკნელნი მუჰამედ პირველის მიერ შექმნილი საირიგაციო სისტემით მარაგდებოდა. მთელი სასახლე 23 კოშიკათა და კარიბჭით იყო გარშემორტყმული.[75]

ალ-ჰამბრას მთავარი რეზიდენცია გახდა კომარესის სასახლე, რომლის ცენტრშიც მდებარეობს საყოველთაოდ ცნობილი “მირტის ეზო”. ეს სახელწოდება მან მე-17 საუკუნეში მიიღო, მართკუთხა ფორმის წყალსატევის გვერდების გასწვრივ დარგული მირტის ხეების

[74] ჟურნალი ,,ისტორიანი“, რამაზ გურგენიძე, 2014 წლის მაისის #5 გამოშვება

[75] ირინა, კოშორიძე, ,, ისლამური ხელოვნება : არქიტექტურა : სახვითი ხელოვნება : დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება : VII-XIX საუკუნეები“, თბილისი, 2012 წელი, გვ.83-89.

გამო. მირტას ეზოს სიგრძე შეადგენს 43 მეტრს. კომარესის კოშკის შესასვლელის წინ განთავსებულია გრძელი და ვიწრო ე.წ. ნავების დარბაზი - "ზალა დე ლა ბარკა". ერთი მოსაზრებოთ, ეს სახელწოდება განპირობებულია დარბაზის ჭერის მსგავსებით ხომალდის ქედთან. კომარესის კოშკის ცენტრში მდებარეობს XIV საუკუნეში აგებული კვადრატული ფორმის დარბაზი ,,ელჩების დარბაზი", რომელიც ცერემონიებისთვის იყო გათვალისწინებული. ეს დარბაზი ალ-ჰამბრაში ყველაზე დიდია - მისი სიგრძე და სიგანე 11,3 მეტრია, ხოლო სიმაღლე - 18,2 მეტრი. კრამიტით მოპირკეთებული იატაკის შუაში ალამართა გერბია (XVI საუკუნე). ალაჰის ტახტი გამოსახულია ჭერის ცენტრში, გარშემო - მუსულმანური სამოთხის 7 ცის სიმბოლოებით. კედლებისა და თაღების ყველა ზედაპირი დაფარულია სტუკოთი, დახვეწილი თიხის ჩუქურთმებით, არაბული წარწერებით. მეორე იარუსზე, სამ კედელში, განლაგებულია სარკმლები, რომლებსაც აქვთ ულამაზესი შაბლონები.[76]

კომარესის სასახლე, ალ-ჰამბრა

ალ-ჰამბრას სასახლის შიდა ეზოებიდან ყვლაზე ცნობილი ,,ლომების ეზო" გახლავთ. Patio de los Leones (ლომების ეზო) 35 მეტრის სიგრძეზეა გაშენებული. იგი XIV საუკუნის მეორე ნახევარში აიგო. მის ცენტრში, მცირე ზომის შადრევნის გარშემო, განლაგებულია 12 ლომის ფიგურა. ისინი ნახევრად ძვირფასი მარმარილოსგანაა გამოკვეთილი. ,,ძველი ლეგენდის თანახმად, სწორედ 12 ლომს ეჭირა სოლომონის ტახტი და ამის შესახებ სულთან მუჰამედ ალ-განის აცნობა მისივე ვეზირმა, წარმოშობით ებრაელმა იბნ ნაგრელამ. მანვე ურჩია შადრევნის გარშემო 12 ლომის ფიგურის დაყენება, რომლებიც აქ ალ-ბუიეინის

[76] Fernandez Puertas, Antonio. 1997. The Alhambra.

ძველი სასახლიდან გადმოიტანეს. ამ მოსაზრებას მეცნიერები არ ეთანხმებიან და მიიჩნევენ, რომ ლომები შადრევანთან გაჩნდნენ მხოლოდ XVI საუკუნეში ანუ გრანადის დაცემის შემდეგ. თუმცა, ისტორიკოსებიცა და ხელოვნებათმცოდნეებიც თანხმდებიან, რომ ლომების ეზოს სიმყუდროვე, რომელსაც მხოლოდ წყლის ჩუხჩუხი არღვევს, მრავალ საიდუმლოს მალავს."[77] სწორედ ,,ლომების ეზოში" მდებარეობს სტუკოთი მოპირეთებული ე.წ. ,,სტალაქტიტების დარბაზი". რომელმაც, როგორც უკვე აღინიშნა, სახელწოდება ჭერის მაქმანებიანი შემკულობის გამო მიიღო.

ლომების ეზო, ალ-ჰამბრა

ლომების ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს "ორი დის დარბაზი". ლეგენდის მიხედვით, აქ ცხოვრობდნენ პატიმარი ქრისტიანი დები, რომლებიც თავიანთ შეყვარებულებს დააშორეს. დარბაზში ერთმანეთს გენიალურად ერწყმის შორენკეცის ცივი ბრჭყვიალება, სტუკოს ხავერდოვნება და ხის მასალის სითბო.

ალ-ჰამბრას სასახლის კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლავთ ,,აბენსერჰავის დარბაზი", რომელსაც დრამატული წარსული აქვს. გადმოცემის თანახმად, სწორედ აქ მოხდა სისხლიანი მკვლელობები 1482 წელს, როდესაც თავისი შვილისთვის ტახტის კონკურენტების ჩამოსაცილებლად, სასტიკმა მმართველმა ბოაბდილმა (1482-1483)

[77] ჟურნალი ,,ისტორიანი", რამაზ გურგენიძე, 2014 წლის მაისის #5 გამოშვება

სასახლეში ტახტის კიდევ 36 პრეტენდენტი მიიწვია. შეხვედრა “აბენსერჰავის დარბაზში” მიმდინარეობდა და ჯალათმა ყველას ყელი გამოჭრა.[78]

აბენსერვაჰის დარბაზი, ალ-ჰამბრა

ალ-ჰამბრას მშენებლობისას მავრი ოსტატები ცდილობდნენ მიწიერი სამოთხის შექმნას. სიერა-ნევადის თოვლიანი მწვერვალებიდან მომდინარე წყალი ალ-ჰამბრაში უხვად მიედინებოდა. სასახლე განთქმულია არა მარტო ბრწყინვალე სასახლეთა კომპლექსით, არამედ საუცხოო ბაღებით, შადრევნებითა და წყალსატევებით. მავრები შადრევნებს, ხელოვნურ რუებსა თუ წყალვარდნილებს არქიტექტურის ბუნებრივ ნაწილად მიიჩნევდნენ. ლომების ეზოს ერთ-ერთ შადრევანზეა წარწერა: “უყურე წყალს და შენ ვერ გაარჩევ, წყალია წყნარი თუ მარმარილო მიედინებ“.

[78] ,,Alhambra- fortress, Granada, Spain'', The Editors of Encyclopaedia Britannica, მონახულების დრო: 13.05.2021 წელი, 23:10 https://www.britannica.com/technology/palace

ყვავილების ბაღი, ალ-ჰამბრა

მავრი ოსტატების მიერ ხელოვნების ნიმუშად ქცეულა არაბული დამწერლობაც - ალ-ჰამბრაში ჩუქურთმებად უთვალავჯერაა ამოკვეთილი მუსლიმთა რწმენის აღიარების ფორმულა („შაჰადა“): „ أشهد أن لا إله إلا الله، وأشهد أن محمداً رسول الله “- არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მისი.

ალ-ჰამბრას სასახლის კომპლექსის ისტორიამ, მშენებლობის გასაოცარმა ტექნოლოგიამ, სტილმა, მის შემადგენელ ნაგებობათა მრავალფეროვნებამ, მავრი მშენებლების ოსტატობამ და მათი მშენებლობისადმი უაღესად ამაღლებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა სასახლის სიდიადე. სწორედ მავრი არქიტექტორების დამსახურეებაა, რომ ალ-ჰამბრას გრანდიოზულმა სასახლემ მე-13 საუკუნიდან დღევანდელობამდე ამ ფორმით მოაღწია და დღემდე ახერხებს ვიზიტორების გაოცებას.

პოლიტიკა

აშშ-ს გავლენები სპარსეთის ყურის რეგიონში

მიხეილ მარკელია, ლუკა ჯინჭარაძე

ახლო აღმოსავლთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია პოლიტიკური, ისტორიული, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით. რეგიონი არის ცივილიზაციის აკვანი.მოსახელობა 500 მილიონ ადამიანმადე არის შეფასებული, თუმცა ეს სავარაუდო მონაცემებია, რიგი მიზეზების გამო (სამაოქალაქო ომი, მოსახლეობის აღწერა, დემოგრაფიული დაყოფის სხვა სტანდარტი).

რელიგიური უმრავლესობით არიან მუსულმანები და ასევე ჩვენ ვხდებით ქრისტიანებს, იუდეველებს, იეზიდებს, მანდეველებს და სხვა.ეთნიკური შემადგენლობით ვხდებით: არაბებს, თურქებს, სპარსებს, ქურთებს, ებრაელებს, ასურელებს, სხვა ირანულ ხალხებს, კოპტებს, ბერბერულ ხალხებს, თურქულ ხალხებს და სხვა.

რეგიონის საზღვრები პირობითია. არსებობს 9 ვარიანტი. თუმცა სტანდარტულად ამ რეგიონს მიეკუთვნება:მცირე აზია, ჩრდ. აფრიკა,არაბეთის ნახევარკუნძული, ლევანტი, მესოპოტამია და ირანი.

ამ რეგიონში ვხდებით უმნიშვნელოვანეს ზონას, სპარსეთის ანუ არაბეთის ყურის ქვეყნებს. მას ასევე ჰალიჯს ვუწოდებთ. ის მდიდარია ნავთობის და გაზის მარაგით, რითაც წარმოადგენს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ნავთობგიგანტს. მოპოვების წილი 20%-ს აღწევს მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო რეზერვის წილი მსოფლიოში 50%-ს.რელიეფი უდაბნურია, ჰავა ტროპიკული კონტინეტალური. ტემპერატურა აღწევს 25-32 C0 საშუალოდ, სიცხე 40-50 C 0. რეგიონში არის წყლის დეფიციტი.

XIX საუკუნის ბოლოს რეგიონი წარმოადგენდა დაბალი ელონომიკური განვითარების ზონას, რომელმაც ოსმალეთის იმპერიის კონტროლი დაკარგა და გადავიდა ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ. ძირითადი საქმიანობა მარგალიტის მოპოვება, მეკობრეობა და მეცხოველეობაა. რეგიონი შედგება: გაერთიანებული არაბული საემიროები, ომანი,კატარი,

ბაჰრეინი, საუდის არაბეთის და ქუვეითისგან.აშშ-სგავლენა დაიწყო 70-იანი წლებიდან. განსაკუთუთრებით ნავთობის ბუმის შემდეგ და ეს გავლენა ირანის ფაქტორმა გააძლიერა.

2002 წელს ბუში-უცროსის ადმინისტრაციის ვიზიტის შემდეგ, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, კასპიის ზღვის სანაპირომ ყველას კარგად შეახსენა რომ ასი წლის წინ კასპიის რეგიონში იმყოფებოდა დიდი რაოდენობთ ნავთობის მარაგი. თითქმის 80 წლის წინ სტალინგრადის ბრძოლა იყო ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი მეორე მსოფლიო ომში. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სწორედ იმისთვის თუ ვინ აიღებდა კონტროლს ამ უზარმაზარ ნავთობის მარაგზე.

რეგიონი რომელიც ბოლო 80 წლის მანძილზე დიდი საერთაშორისო ინტერესისცენტრშია, რაც თავისთავად გამოწვეულია ნავთობის უზარმაზარი რესურსით. ახლო აღმოსავლეთი რჩება კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამომავალოდენერგო რესურსების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთი აწარმოებს მსოფლიოში ნავთობის მარაგების მეოთხედს, ის შეიცავს ნავთობის ყველა ცნობილი მარაგის ორ მესამედს ან სამ მეოთხედს. სწორედ ამ მიზეზით შეერთებული შტატები და დასავლეთი ახლო აღმოსავლეთს მიიჩნევენ როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს.

სასიცოცხლო ინტერესების მიღწევა:

ის რომ რეგიონი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ავტომატიურად არ ნიშნავს იმას რომ იქ საჭიროებს დიდი საბრძოლო არსენალის არსებობას ან სერიოზული საუბრები იმაზე, რომ

მსოფლიო ბაზარზე ამ ნავთობის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებაა საჭირო. ამ პოლიტიკურ დისკურსში გაჩნდა ორი შეკითხვა: უნდა ჰყავდეს თუ არა სამხედრო კონტიგენტი რეგიონში შეერთებულ შტატებს. და იყო თუ არა ამერიკელებისთვის მთავარი მიზანი დაეცვა მისი ყველაზე ახლო მოკავშირე (ისრაელის შემდეგ) ახლო აღმოსავლეთში საუდის არაებითი და სხვა სახელმწიფოები სპარსეთის ყურის.

პირველი, ნავთობის ყიდვა სხვა რეგიონებში, გარდა შუა აღმოსავლეთისა, პრობლემას ვერ გადაჭრის. როგორც ანდაზა შეგვახსენებს, "ჩვენ ყველანი ერთი ჭიქიდან ვსვამთ". ნავთობის ბაზარი არის უნიკალური და ძირითადად განპირობებულია მოთხოვნილებით. ახლო აღმოსავლეთიდან მომარაგება ახდენს გავლენას ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ფასზე, დიახ, მაგრამ ასევე მსოფლიო ნავთობის ფასზეც. თუმცა, შეერთებულ შტატებს შეუძლია და ვალდებულიცაა შეინახოს ენერგია და გადაამუშავოს ალტერნატიული წყაროები ენერგიის, ეს კი უფსკურულია იმასთან შედარებით რასაც ახლა აწარმოებს და რასაც ის მოხმარს (თითქმის 10 მილიონი ბარელი დღეში), უბრალოდ ის ძალიან დიდია იმისთვის, რომ ეს თავიდან აიცილოს.

ამასთან, გაურკვეველია, რატომა არის ვალდებული, ნავთობის ეკონიმიკა გაიგივდესსანავთობო ეკონომიკასთან ან ითხოვდეს სამხედრო სტრატეგიას. მართლაც, ბევრი ქვეყანა, რომელიც დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე - მაგალითად იაპონია და ევროპის დიდი ნაწილი, თვლიან, რომ მათ შეუძლიათ თავიანთი პოლიტიკა მთლიანად დააფუძნონ ბაზრის მოთხოვნებზე, პოლიტიკური და სამხედრო ჩარევის საჭიროების გარეშე. ეს დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ შეერთებულ შტატებს ისინი „თავისიანად“ მიიჩნევენ და თვლიან, რომ „ბიძია სემი თავის საქმეს შეასრულებს ყველა მოთამაშის სასარგებლოდ“.

შეერთებული შტატების გარეთ მზარდი მოსაზრება არსებობს, რომ ნავთობის ნაკადის შესანარჩუნებლად არ არის საჭირო ძირითადი სამხედრო სტრატეგია.ამ თვალსაზრის ამყარებს ისტორიული ტენდენციები. 1973 წლის არაბული ნავთობის ემბარგოს გარდა, რომელიც პოლიტიკურად იყო მოტივირებული და ნავთობის ფასების უპრეცედენტო ზრდა გამოიწვია, გრძელვადიანი მონაცემების თანახმად, ბაზარი, სხვა საკითხებზე მეტად, განსაზღვრავს ნავთობის ფასების ტენდენციებს. ისტორიულად, პოლიტიკურმა კავშირებმა მნიშვნელოვნად არ შეცვალა ვაჭრობის სტრუქტურა ნავთობის ქვეყნებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. იგივე სიტუაცია იყო ცივი ომის დროსაც, როდესაც

პოლიტიკურმა ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი როლი ვერითამაშეს ნავთობ პროდუქტების მწარმოებელთა სავაჭრო ქცევაში. ამის მაგალითია ლიბია, რომელიც 1969 წლამდე იყო დასავლეთის სტრატეგიული მოკავშირე და ჰქონდა ბრიტანული და ამერიკული სამხედრო ბაზები. 1969 წელს იქ მონარქიის დამხობამ და პრეზიდენტ კადაფის ხელისუფლებაში მოსვლამ შეცვალა ლიბიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ამასთან, მისი სავაჭრო მოდელი გადატრიალებამდე და მის შემდეგ მეტწილად ერთიდაიგივე იყო. მაგალითად, საბჭოთა ბლოკის ქვეყნებთან ვაჭრობა 1.9 პროცენტი იყო 1960 და 1965 წლებში, 1.8 პროცენტი 1970 წელს, 1.3 პროცენტი 1975 წელს და 1.0 პროცენტი 1980 წელს. - საბჭოთა სახელმწიფოები თავიანთ ვაჭრობაში: ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა ბლოკთან სავაჭრო მოცულობის უდიდესი წილი ჰქონდა, იყო შაჰის ირანი და არა ლიბია, ალჟირი ან ერაყი. დასკვნა ისაა, რომ ამ სახელმწიფოებმა გააკეთეს ის, რაც მათ ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა, მიუხედავად მათი პოლიტიკური ორიენტაციისა.

1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შედმეგ, როდესაც რეგიონში ამერიკული ჯარების განლაგებამ და ახალი ფლოტის შექმნამ იმპულსი მოიპოვა, ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევდა, რომ ამერიკის გავლენის გაძლიერება მას მისცემდა გადამწყვეტ ძალას ევროპასთან და იაპონიასთან ვაჭრობაში. რიგ შემთხვევებში, ეჭვგარეშეა, ვაშინგტონმა შესაძლოა გამოიყენა თავისი პოლიტიკური ბერკეტები, რათა დახმარებოდა ამერიკულ ბიზნესს კონტრაქტების მოპოვებაშირეგიონში, განსაკუთრებით სამხედრო და კოსმოსურ სექტორებში. საერთო ჯამში, რეგიონსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის ვაჭრობა გვიჩვენებს, რომ შეერთებულ შტატებს არ ჰქონდა თვალსაჩინო უპირატესობა. 1989 წელს, ერაყის ქუვეითში შეჭრაზე ერთი წლით ადრე, ევროპის ექსპორტმა შუა აღმოსავლეთში 40.2 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო აშშ-სთვის 13.7 მილიარდი დოლარი. 1992 წელს, ყურის ომიდან ერთი წლის შემდეგ, ევროპის ექსპორტმა შეადგინა 57,2 მილიარდი დოლარი, ხოლო აშშ-სთვის 19,9 მილიარდი დოლარი. და ტენდენცია გაგრძელდა. 2000 წელს ევროპამ 63.7 მილიარდი აშშ დოლარის ექსპორტი მოახდინა ახლო აღმოსავლეთში; ხოლო აშშ-მ 23.0 მილიარდი დოლარი.

სპარსეთის ყურეში ამერიკას სამხედრო კონტიგენტის ყოფნის შენარჩუნება წელიწადში 60 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება. ვინაიდან ეს რესურსები შეიძლება გამოიყენონ სხვა ადგილებშიც, ეს თანხა მთლიანად არ იხარჯება რეგიონის დაცვაზე. ამასთამ, ჩნდება კითხვა, რატომ ხარჯავს შეერთებეული შტატები თავის რესურსებს, ენერგიას და სამხედრო გეგმების ამდენ ნაწილს სპარსეთის ყურეზე. უფრო გონივრული არ იქნებოდა, რომ ნავთობის საკითხი მიენდოთ მთლიანად ბაზრისთვის და არ ჩარეულიყო პოლიტიკაში?!ამერიკული სტრატეგია ეყრდნობა დასავლეთისკენ ნავთობის მომარაგების გონივრულ ფასად უზრუნველყოფას.

ნავთობისგან თავისუფალი პოლიტიკის გენეზისი:

როდესაც ცივი ომი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ცენტრში მოექცა 1948 წელს, თეთრ სახლში გაჩნდა ახალი შეშფოთება: საბჭოთა კავშირს შეეძლო ახლო აღმოსავლეთში ნავთობის მომარაგებაზე კონტროლი აეღო. შემთხვევითი არ იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, თავდაპირველი შეშფოთება პოტენციური საბჭოთა საფრთხის შესახებ ირანში საბჭოთა კავშირის არსებობის შენარჩუნებას ეხებოდა. მაგრამ საზოგადოებამ არ იცოდა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს დოკუმენტების ბოლო შედეგები თუ რამდენად აწუხებდა ტრუმენის ადმინისტრაცია საბჭოთა კავშირის მიერ ნავთობის საბადოების შესაძლო წართმევასთან დაკავშირებული შეშფოთებები. არანაკლებ გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ ტრუმენის ადმინისტრაციამ თავისი სტრატეგია შეიმუშავა არა იმდენად ნავთობის საბადოების დასაცავად,როგორც საბჭოთა კავშირის შესაძლო ინტერვენციის პირობებში, არამედ საბჭოთა კავშირის უარის თქმაზე ნავთობის საბადოების გამოყენებაზე შეჭრის შემთხვევაში.

ადმინისტრაციამ სწრაფად შეიმუშავა დეტალური გეგმა, რომელსაც პრეზიდენტმა ტრუმენმა ხელი მოაწერა 1949 წელს, როგორც NSC 26/2, და შემდეგ მას დაემატა მრავალი დამატებითი დირექტივა. გეგმა, რომელიც შემუშავდა ბრიტანეთის მთავრობასთან და ამერიკულ და ბრიტანულ ნავთობკომპანიებთან თანამშრომლობით რეგიონული მთავრობების ცოდნის გარეშე, რაც ითვალისწინებდა ასაფეთქებელი ნივთიერებების ტრანსპორტირებას ახლო აღმოსავლეთში, სადაც ისინი ინახებოდა შესაძლო გამოყენებისთვის. საბჭოთა კავშირის შემოჭრის შემთხვევაში ააფეთქებდნენ ნავთობსადგურებსა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს და დაბლოკავდნენ ნავთობის საბადოებს, რათა საბჭოთა კავშირს არ გამოეყენებინა ნავთობრესურსები.

შიში იმისა, რომ საბჭოთა კავშირს შეეძლო გამოეყენებინა რეგიონის ნავთობი, იმდენად დიდი იყო, რომ ადმინისტრაციამ განიხილა რადიოლოგიური იარაღის განთავსება. საბოლოოდ, ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ უარყო ეს ვარიანტი, სადაც ეს ნაჩვენებია ახლახან გასაიდუმლოებულ სხვა დოკუმენტში, NSC 26/3, 1950 წლის 29 ივნისით.

გეგმა განხორციელდა და ასაფეთქებელი ნივთიერებები ადგილზე გადაიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა აშკარად გამოხატა დათქმა, რომ შესაძლოა გეგმა საბოლოოდ მიუთითებდეს იმაზე, რომ შეერთებული შტატები მზად არ არის ადგილობრივი

მთავრობების დასაცავად, საბჭოთა კონტროლის შიშმა ესშიშები გადალახა. შფოთვა კიდევ უფრო გააქტიურდა 1957 წელს, რის გამოც ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ გააუმჯობესა გეგმა, რადგან სუეცის კრიზისის ფონზე რეგიონალური არასტაბილურობის შიში გაიზარდა. არსებული მტკიცებულებების თანახმად, გეგმა მოქმედებდა მინიმუმ 1960-იანი წლების დასაწყისამდე.

პოტენციური მტრებისთვის ნავთობზე უარის თქმა დღეს:

დღეს ვაშინგტონში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ერაყი და ირანი აგრესიული და საშიში სახელმწიფოებია. მათი საუდის არაბეთის ნავთობის საბადოებზე შეჭრის შესაძლებლობის შეკავება - შესაბამისად ამ ქვეყნების დამატებითი ნავთობის შემოსავლების ართმევა - ეს არის ამერიკის რეგიონში ყოფნის ერთ – ერთი მიზანი. მთავარი საზრუნავი არ არის მხოლოდ ნავთობის მომარაგების შესაძლო შეფერხებები და ფასების შემდგომი შოკი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს მტრული რეჟიმების მიერ. შეერთებული შტატების თვალსაზრისით, უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ თუ ერაყი ან ირანი გაამდიდრებენ დამატებითი ნავთობის მარაგების კონტროლით, ეს რეჟიმები მალე უფრო საშიში გახდება შეერთებული შტატებისთვის, ვიდრე ეს დღესაა.

რამდენად წარმოადგენს საფრთხესერაყი და ირანი, საკამათო საკითად რჩება. ისინი საფრთხეს უქმნიან შეერთებულ შტატებს? თუ აშშ უფრო მეტად ზრუნავს რეგიონში არსებულ მეგობრებზე, განსაკუთრებით ისრაელზე, რომლისთვისაც ეს ორი ქვეყანა პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს? ძნელი წარმოსადგენია, თუ რა ვითარებაში განიხილება ერაყისა და ირანის ამჟამინდელი მთავრობები (განსაკუთრებით ერაყში), როგორც ნაკლებად აგრესიული და საფრთხის შემცველი, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტმა ბუშმა ისინი ჩრდილოეთ კორეასთან ერთად "ბოროტებად" გამოაცხადა. ღერძი ”, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ტერორიზმის წინააღმდეგ ომში. ეს პროგნოზი სავარაუდოა, რომ უახლოეს მომავალში ნებისმიერი ამერიკული ადმინისტრაცია გააგრძელებს მცდელობებს, რომ ორმა ქვეყანამ არ მიიღოს კონტროლი მსოფლიოს ცნობილი ნავთობის მარაგებზე - მიუხედავად იმისა, რომ აშშს მეგობრული დამოკიდებულება აქვს და ფიქრობს სპარსეთის ყურის არაბული მთავრობების მიმართ.

რაც შეეხება აშშ-ს სამხედრო სტრატეგიას, GCC-ს (თანამშრომლობის საბჭო სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოებისთვს) წევრი სახელმწიფოების ინტერესებშია ამერიკული სამხედრო მხარდაჭერის მიღება. ეს შეერთებულ შტატებს გარკვეულ ბერკეტებს აძლევს, მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად, რადგან ყურის ქვეყნებმა იციან, რომ აშშ-ს სტრატეგია ემსახურება ამერიკის ინტერესებსაც. შედეგი არის თანამშრომლობის მკაფიო ორმხრივი სტიმული. რა თქმა უნდა, როდესაც ნავთობზე საფრთხე აშკარაა, როგორც ერაყში 1990 წელს ქუვეითში შეჭრის დროს, საუდის არაბეთი და GCC– ის სხვა ქვეყნები უეჭველად შეიკრიბებიან შეერთებული შტატების მხარეს ნავთობის საბადოების დასაცავად. გარდაუვალი საფრთხის გარეშეც, GCC- ს ქვეყნები, განსაკუთრებით ქუვეითი, დაინტერესებულნი არიან აშშ-ს ყოფნით რეგიონში. აშშ-ს ძალები გაფანტულია სპარსეთის ყურის დიდ ნაწილში, დაწყებული კატარში განთავსებული აღჭურვილობით დამთავრებული ძალებით და აღჭურვილობით ქუვეითში და საზღვაო დანადგარებით ბაჰრეინში. საუდელები, რომლებიც ასევე იყენებენ აშშ-ს ჯარებს, აქვთ სტიმული რეგიონში აშშ-ს ყოფნის შენარჩუნებისათვის, მაშინაც კი, როდესაც ისინი ცდილობენ შეამცირონ ამერიკული ჯარების ზომა და ავტორიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე საზოგადოების რეაგირების შიშით.განსაკუთრებულ შიშს წარმოადგენს საუდის არაბეთის აღმოსავლეთის ეშ-შარკიის, იმემენის მოსაზღვრე ასირის, ნაჯრანის , ჯიზანის პროვინციებში (საუდის არაბეთის მიერ ,იმენეისგან წართმეული ტერიტორია XX საუკუნეში) მცხოვრები შიიტები. ეშ-შარკია არის სპასრეთის ყურის ნავთობმომპოვებელი ტერიტორია და სამხრეთ-დასავლეთის პროვინციები აგროზონები. ირანი დიდი ხანია ახორციელებს მასობრივ მხარდაჭერას შიიტური მოსახლეობის. შიიტების მდომარეობა ოდნავ უკეთესდება, თუმცა ეს „მათრახისა და ჯანჯაფილის" თამაშია და აჯანყებები ხშირია, განსაკუთრებით 2011-2012 წლების მოვლენები. შიიტი მოძღვრის ნიმრ ან-ნიმრის სიკვდილით დასჯა ართულებს სიტუაციას. ასევე საშიშია იემენიდან ხუსიტთა თავდასხმები(ირანის მხარდაჭერით) ჯიდდის ნავთობტერმინალების მიმართულებით. დაბომბვა უპილოტო აპარატებით აიძულებს საუდის არაბეთს იემენის წინააღდეგ ოპერაციების გამართვას, რაც საბოლოო ჯამში პირვალად დაუფიქსირა სამეფოს ბიუჯეთში დეფიციტი. ირანის სურვილია სამეფოს დამხობა და ამისთვის ის იყენებს ყველა საშუალებას. ორმუზის სრუტის თავდასხმები ხშირია ირანისგან, რაც აფერხებს ნავთობპროდუქტების ექსპორტს. საბოლოო ჯამში, შესაძლოა უფრო

გართულდეს მდომარეობა, თუ რეგიონში ატომურ შეიარაღებაზე წავიდა საქმე.ამის საფუძველი არსებობს 70-იანი წლებიდან, როცა საუდის არაბეთი პაკისტანთან გააფართოვა ურთიერთობები და დაუფინანსა ატომური პროგრამა. ასევე აშშ-ს, ისრაელის რიგი ექსპერტები თვლიან, რომ საუდის არაბეთს შეუძლია ჰქონდეს კავშირები მათთან ატომური იარაღის საკითხზე, რათა დაიცვას საუდელები ირანისგან. ასევე ამაზე საუბარი თვით საუდელი ყოფილი ჩინოსნებისგან ისმის , რომლებმაც სახელმწიფო პოლიტიკური დევნის ნიშნით დატოვეს. ერაყთან კავშირზეც არსებობდა ეჭვი. საუდის არაბეთი ამ დროს მალავს ინფორმაციას სარაკეტო ძალებთან დაკავშირებით და სურს ატომური ენერგიის განვითარება.

ერ-რიადი განიხილავს ჩრდილოეთ-სამხრეთის სარკინიგზო ხაზის გაგრძელებას იორდანიის შიგნით და მიაღწიოს ჰაიფას, ისრაელს და ამით ირანის გავლენისგან განთავისუფლდეს, რაც გააძლიერებს საუდელებს, ისრაელსა და აშშ-ს რეგიონში და პროირანულ ძალებზე კი საუდელებს უფრო უხეში ნაბიჯების გადადგმის საშუალებას მისცემს.

რამდენად არის საუდის არაბეთის საზოგადოება უკმაყოფილოამერიკულების ყოფნით, როგორც ასეთი სრულად არ არის ცნობილი (თუმცა, როგორც ჩანს, მისი ზოგიერთი ნაწილი ამას აკეთებს). ერთი რამ ცხადია: აშშ-ს უკმაყოფილების დიდი ნაწილი გამოწვეულია არაბეთ-ისრაელის კონფლიქტით, რომელიც წლებისწინ აშშ-საუდის არაბეთის ურთიერთობებში თვალსაჩინო მტკივნეული წერტილი იყო. საუდის არაბეთის მთავრობა ასახავს ფართო საზოგადოებრივ განწყობას ამ საკითხთან დაკავშირებით. ბოლო გამოკითვებით საუდის არაბეთში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საუდის 63 პროცენტმა პალესტინის საკითხს პირადად მათთვის „ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი“ უწოდა, ხოლო 20 პროცენტმა კი იგი სამეულში გაიყვანა. ასევე ბოლო სტატისტიკით საუდის ელიტის ახალ გამოკითხვაში 66 პროცენტმა თქვა, რომ უკმაყოფილება შეერთებულ შტატებთან მთლიანად გაქრება ან

მნიშვნელოვნად შემცირდება, თუ ვაშინგტონმა მოახერხა არაბულ-ისრაელის მშვიდობის დამყარება. რაც მთავარია, 86 პროცენტმა თქვა, რომ შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით უკმაყოფილება ემყარება „მათ პოლიტიკას“, ხოლო მხოლოდ 6 პროცენტმა თქვა, რომ ისინი ეფუძნება „მათ ღირებულებებს“.

11 სექტემბრიდან ტერორისტული აქტიდან რამდენიმე თვეში, საუდელებმა აღმოაჩინეს, რომ მათი საზოგადოების აღქმა მათ ნიადაგზე ამერიკელების ყოფნის არალეგიტიმურობის შესახებ საფრთხეს წარმოადგენს მათთვის, ისევე როგორც ამ ყოფნისთვის - ისევე, როგორც შეერთებულმა შტატებმა აღმოაჩინა საზოგადოების უკმაყოფილების სიღრმე რეგიონში. ამისათვის საჭიროა ურთიერთთანამშრომლობა. საუდელებს მოუწევთ თავიანთი საზოგადოებისთვის გასცეს ერთგვარი მეგობრობა ამერიკასთან, რომელიც სამთავრობო დონეზე არსებობდა და შეერთებულმა შტატებმა მათთან მუშაობა სჭირდება ამერიკული ძალების დონისა და პროფილის შესამცირებლად, მისი სამხედრო სტრატეგიის საფრთხის გარეშე. საუდელებს კვლავ სჭირდებათ ამერიკის მხარდაჭერა და შეერთებულ შტატებს კვლავ სჭირდებათ მათი თანამშრომლობა. ყურის რეგიონი და მისი უზარმაზარი ნავთობის მარაგი მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი გახდება გლობალური ეკონომიკისთვის მომავალში.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თალიბანის სრული გამარჯვება ავღანეთში და აშშ-ს ჯარის გასვლა გააქტიურებს ჩინეთს. ამ შემთხვევეაში პროგრამა „ ერთი სარტყელი, ერთი გზა“ გააქტიურდება უიშვიათეს ლითონთა საბადოების საკითხზეც და ჩინეთი გახდება სრული მონოპოლისტი ლითნის ბაზარზე და 25 წლიანი ხელშეკრულება 500 მლრ. დოლარიან სესხზე ირანთან მისცემს საშუალებას კომუნიკაციის განახლებაში და წვდომა ექენება ყურის პორტებზე, რაც მდგომარეობას დაძაბავს რეგიონში.

„სტამბოლი“- საუკუნის პროექტი თუ საუკუნის იარაღი!?

მიხეილ მარკელია

დღევანდელი თურქეთის პოლიტიკა ახალ ეტაპზე გადავიდა. რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მართველობა არის ახალი გარდამტეხი ეტაპი თანამედროვე თურქეთისათვის. 2017 წლის რეფერენდუმის შედეგად საპარლამენტო მართველობა დასრულდა და საპრეზიდენტო რესპუბლიკა დამყარდა. ქემალისტური ეპოქა დასრულდა და ამით დადგა ჟამი „ერდოღანის თურქეთისა“. თუ ქემალისტური ეპოქა გამოირჩეოდა მაკცრი სეკულარისზმით და მართველობა დაბალანსებული იყო სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის, რომლის დაცვის გარანტი ჯარი გახლდად,დღეს ეს რეჟიმი დაირღვა. ერდოღანი ისლამისტია პოლიტიკური არსით და მან გაარღვია სეკულარული მართველობის პრინციპი და მთელი მართველობა გადავიდა ერთი კაცის ხელში. საგარეო პოლიტიკა აღარაა დაბალანსებული შიდა პოლიტიკასთან, ის პირდაპირ დამოკიდებულია სახელმწიფოს შიდა პროცესებზე. გაცივდა ურთიერთობები დასავლეთთან. პროევროპული კურსი აღარ არის დომინანტური და ნეოოსმალურ კურს დაეთმო ასპარეზი. ერდოღანმა ასეთი პოლიტიკით შეძლო სპეციფიკური ურთიერთობა დაემყარებინა ქვეყნის მესამე ძალასთან. ნაციონალისტური-პანთუქრისტული ჯგუფი , რომელსაც ჰქონდა ინტერესები დასავლეთთან, საერთო ნახა ერდოღანთან. ასეთი ბალანსი აძლიერებს ერდოღანის პოლიტიკას. ჰუმანიტარული სახის პოლიტიკა (განათლება, კულტურა, ეკონომიკა) აღარ არის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი. სამხედრო ძალა უკვე საგარეო პოლიტიკის ნაწილი გახდა. სირია , ლიბია და ახლა ყარაბაღი გახდა თურქული ინტერესების დამყარების სივრცე. ასევე აია-სოფიის სტატუსის სეცვლა და საბეზნეთთან შეჯახება გააცივა დასავლეთთან ურთიერთობა. რუსეთთან ურთიერთბა უფრო სპეციფიკური გახდა. ოსმალეთის დროიდან მათი ურთიერთობა კონკურენტულია, თუმცა საერთო ინტერესების შემთხვევაში ორი დაუძინებელი მტერი თანამშორმლობს ერთანეთთან. რუსეთ-თურქეთის 10 ომი, საბჭოთა რუსეთის დახმარება 1921 წელს, 40-იანი წლების პრობლემა (საბჭოთა ბაზის საკითხი ბოსფორზე და თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიის წამოყენების მცდელობა), სირიის საკითხი, ლიბია და ყარაბაღის ომი, რუსული ბომბდამშენის სუ-24 ჩამოგდება- ეს ის მოვლენებია, რომელიც აჩვენებს მათ შორის სპეციფიკურ ურთიერთობას.

დასავლეთთან ურთიერთობების გაციება არის მთავარი გამომწვევი რუსეთთან ურთიერთობის დათბობის და პირიქით.

უახლოეს მომავალში თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები გაცივდება. ამის მთავარი მიზეზის იქნება სტამბოლის არხი, რომელიც საუკუნის პროექტადაა მიჩნეული. მისი გახსნა 2023 წელსაა დაგეგმილი, თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებით. მისი ღირებულება 20 მლრდ. დოლარია და ძირითადად შიდა ინვენსტიციით ფინანსდება.

მისი სიგრძე 40-50 კმ, სიგანე 150მ, სიღრმე 25 მ. ის გაივლის ქუჩუქ-ჩექმნეჯეს , საზლისუს და დურსუს ტბებს, ასევე საზლიდარის წყალსაცავი, რომელიც სტამბოლს წყლით ამარაგებს. ის ბოსფორის პარალელურად გაივლის და შეამცირებს ან გაათავისუფლებს საერთოდ ბოსფორს, ისედაც შეზღუდულ გემთამიმოსვლას. არხი იქნება შეუზღუდავი გემებისთვის, რაც გამოიწვევს თურქეთის ეკონომიკურ აღმავლობას. ეკოლოგიური თვალსაზრისით, არის დავა. ერთი მხრივ, არსებობს რისკი, რომ ჟანგბადიანი წყლების მიმოცვლის დისბალანსი დადგება და მეორე მხრივ, არხი ნულამდე დაიყვანს ეკოლოგიურ კატასტროფისა და დაბინძურების რისკს ბოსფორში, თუმცა ის ქალაქის ევროპულ ნაწილის შემოგარენში გაიჭრება და შეუერთდება დურსეს აღმოსაველთის შავი ზღვის სანაპარიოს და მომატებს ტენიაბნბოის დონეც. არხს აქ პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური მნიშვნელობა. ეკონომიკურად შეუძღუდავი მიმოსვლა გააუმჯობესებს თურქეთის ეკონომიკას, ეკოლოგიურად ბოსფორს, რომელსაც 12 უხეში გადასახვევი აქ და გემებისთვის სახიფათოა და ავარიის რისკს უქმნის, აღარ იქნება დაბინძურებული და რეკრეაციული დანიშნულების გახდება. პოლიტიკურად კი პროქტი დაეხმარება ერდოღანს შიდა პრობლემების მოგვარებაში, როგორც ეკონომიკურად , ასევე საპრესტიჟოდაც. თუმცა არხი შეიძლება გახდეს თურქეთის, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის, მთავარი გასაღები.

არხის გეოპოლიტიკური ფუნქცია იწვევს შფოთს საერთაშორისო არენაზე. ნეგატიური პოზიცია ყველზე მეტად გააჩნია რუსეთს. არხი თურქეთს ათავისუფლებს იმ ვალდებულებებისაგან, რაც მას ეხება სრუტების საკითხში. 1936 წლის მონტრეს კონვენცია, რომელიც ზღუდავს გემთამისოვლას. საომარი მოქმედების დროს სრუტეზე გასვლა შეეძლოთ თურქეთის მოკავშირე ან ნეიტრალურ ქვეყნებს. თურქეთს აქ უფლება ამ დროს იმოქმედოს

კონვენციის შეთანხმებას.სამხედრო ტონაჟი ითვალისწინებდა მხოლოდ 45 ათას ტონიან მაქსიმუმს, ასევე იკრძალება ავიამზიდებისა და წყალქვეშა ნავების გადაადგილება. ასევე სამოქალაქო გემების მიმოსვლა ექვემდებარება გარკვეულ წესებს, ძირითადად საქმე დაბალტონაჟიანობას ეხება. შავის ზღვის ფლოტის გემების შემოსვლა უნდა იყოს ცნობილი თურქეთის მთავრობისთვის შემოსავლამდე 8 დღე-ღამის გამავლობაში, სხვებისთვის 15 დღე-ღამე. შავ ზღვაში შემოსული სხვა ქვეყნების სამხედრო ფლოტის ყოფნა შეზღუდულია 21 დღე-ღამემდე. ისინი უნდა გაიარონ ბოსფორი, მხოლოდ დღის განმავლობაში. ეს გარემოება აძლევდა საბჭოთა კავშირს ებატონა შავ ზღვაზე. თუმცა სსრკ დაშლამ შეამსუბუქა მდგომარეობა და ხშირად დაიწყო დასავლეთის გემების შემოსვლამ. განსაკუთრებიტ საქმე ეხება აშშ ფლოტის შემოსვლას 2008 წ. აგვისტოს ომის დროს , ნატოს გაძლიერებას შავ ზღვაში, აშშ- ფლოტის ხშირი სტუმორბა, მათ შორის უკრაინაში. ეს ყველაფერი აშფოთებს რუსეთს. კონვენციის შეთანხმება კი გამოიწვევს ხელშეკრულების ფუნქციის დაკარგვას და შავ ზღვაში შუზღუდავ გემთამიმოსვლას. დღეს შავ ზღვაში 150 მლნ ტონა გადადის, ასევე 3 მლნ ტონა ქიმიქატი. ძირითადად, აღნიშნული პროდუქტი რუსეთს გადააქვს. არხი თურქეთის ზეგავლენის გარანტიაა შავ ზღვაზე. ასევე შეიძლება გაძლიერდეს ნატოს ინტერესები. არხი გამოიწვევს ახლი შეთანხმების შექმნას, რომელიც თურქეთის სასარგებლოდ იქნება მიმართული. აღნიშნული შემთხვევა დაძაბავს მდგომარეობას შავ ზღვაში.

თურქეთში ამ პროექტის წინააღმდეგ გამოდიოდა 104 თურქი ადმირალი. (რიგი ადმირალი დაკავებულია გადატრიალების შემდეგ) ეს პროექტი ახალი პოლიტიკური თამაშის ინსტრუმენტი გახდება.

ომი ისლამში, ტერორიზმი თუ ბრძოლა მშვიდობის სანაცვლოდ?

ნაციშვილი მაქა

მოგეხსენებათ, ხშირად, ბევრი ადამიანი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ისლამსა და მისი მიმდევრების მიმართ. რელიგია ისლამს აკავშირებენ ტერორიზმთან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სიტყვა„მუსლიმი„ უმეტესად დაწყვილებულია სიტყვასთან „ტერორისტი“.

უპირველესად, მინდა აღვნიშნო, რომ არცერთი რელიგია არ მოგვიწოდებს ძალადობისკენ. რელიგია, ეს ღმერთისკენ მიმავალი გზაა და ღმერთს არასოდეს უთქვამს-თესეთ ბოროტება. ადამიანი თუ ნამდვილად რელიგიურია, ის ვერ იქნება ტერორისტი.

რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ისლამში, მიღებულია თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება ამ რელიგიის მიხედვით?

მუსლიმთა წმინდა წიგნში, ყურანში წერია: „იბრძოლეთ ღმერთის გულისთვის მათ წინააღმდეგ, ვინც გებრძვით, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ, რადგან ღმერთს არ უყვარს ზღვარგადასულნი“(სურა ალ-ბაყარა, 2:190). ისლამის მიხედვით,აგრესორის მიმართ თანაბარზომიერი შეიარაღებული ქმედებების განხორციელება დასაშვებია. ღმერთი მოუწოდებს მათ, იბრძოლონ იმ ქალებისა და ბავშვებისთვის, რომლებიც შველას ითხოვენ. ყურანი ასევე ცხადად ასკვნის, რომ თუკი მეორე მხარე აჩერებს აგრესიას, მაშინ მათზე თავდასხმის საჭიროება აღარ არის. თუ ისინი გადაიხრებიან მშვიდობისკენ, მაშინ მუსლიმებმაც უნდა მიჰბაძონ მათ,აირჩიონ მშვიდობა. მიღებულია ბრძოლა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ღმერთის სახელით და მისი გულისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ მუსლიმებისა და ისლამის წინააღმდეგ მიმართულ ჩაგვრასა და უსამართლობას არ ეხება, ვინაიდან ღმერთის რწმენა არ წარმოადგენს მხოლოდ მუსლიმების უფლებას. ღმერთი ამბობს „ნებადართულია ებრძოლოთ მას, ვის წინააღმდეგაც იბრძვიან მათივე მჩაგვრელობის გამო და უეჭველად, ღმერთი შემძლეა დახმარებისა, ვინც გამოაძევეს თავისი სახლებიდან უუფლებოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ ამბობდნენ-ჩვენი უფალი ერთი ღმერთია! თუ არ შეაკავებდა ღმერთი ხალხის ერთ ჯგუფს მეორეს ძალით, მაშინ, უეჭველად, დაიქცეოდა

მონასტრები, ტაძრები, სინაგოგები და მეჩეთებიც, სადაც ღმერთი ხშირად იხსენიება!“ (სურა ალ-ჰაჯჯ, 22:29-40). ეს ცხადად მიანიშნებს, რომ მუსლიმებმა უნდა განახორციელონ სამხედრო მოქმედებები სხვა რწმენის ხალხის უფლებათა დასაცავადაც.

დღესდღეობით გაბატონებული შეხედულების თანახმად, მუსლიმები ახორციელებენ შეტაკებებს, რათა ძალით დანერგონ ისლამი. თუმცა ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ღმერთი ბრძანებს: „ არ არის იძულება სარწმუნოებაში!“- ყველა ადამიანის სიცოცხლე, ღირსება ხელშეუხებელია, თითოეულს თავისუფლად უნდა შეეძლოს იწამოს ღმერთი და გააკეთოს თავისი არჩევანი.

ყურადღებას გავამახვილებ კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც ეხება ქალების ხოცვას. არსებობს საზოგადოებათა ისეთი კატეგორიები, რომლებიც თვლიან, რომ ისლამი ბრძოლაში ქალთა კვლას ამართლებს, მაგრამ ეს სიცრუეს წარმოადგენს. რაბაჰ იბნ რაბი გადმოგვცემს, რომ ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც შუამავალმა დაინახა ქალის გვამის გარშემო შეკრებილი ხალხი, მან აკრძალა ქალთა და მუშთა(შეუიარაღებელი ხალხი)წინააღმდეგ მოქმედება. არსებობს კიდევ არაერთი სხვა გადმოცემა, რომელთა მიხედვითაც,სასტიკად იკრძალება ბავშვებისა და ქალების მოკვლა.

როდესაც ვსაუბრობთ ომის მნიშვნელობაზე ისლამში, თავისთავად ჩნდება ინტერესი ჯიჰადზე. რას წარმოადგენს ჯიჰადი მუსლიმური თემისთვის, რისკენ მიმართულ საბრძოლო მოქმედებებს ეწოდება იგი?

ჯიჰადი გარჯას,ღვაწლს ნიშნავს. ჯიჰადი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ საქმეს, რომლის საშუალებითაც ადამიანმა ისლამს რაიმე მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა. არსებობსშეტევითი(არაბ.

მუსლიმების კონტროლირებად მიწებზე შეიარაღებული თავდასხმების საწინააღმდეგო მოქმედებები.

„წმინდა ომი“ ასეთი კონცეფცია ისლამში არ არსებობს. ეს სიტყვის არასწორი თარგმანი და ინტერპრეტაციაა. წმინდა ომი, როგორც წესი, გულისხმობს ომს სხვადასხვა მხარეში გარკვეული რელიგიის შეიარაღებული გზით გასავრცელებლად და დასანერგად. ამგვარი მიდგომა ისლამში არ არსებობს. ბრძოლა მაშინაა ჯიჰადი, თუ იგი მიმართულია ღმერთის სიტყვის ასამაღლებლად და კანონის განსამტკიცებლად. თუნდაც მუსლიმებმა უპასუხონ მჩაგვრელს, რომელმაც პირველად შემოუტია, ეს არ იქნება ჯიჰადი, თუ მუსლიმთა განზრახვა შურისძიებაა და არა ღმერთის სიტყვის განდიდება.

ჯიჰადს საკმაოდ მყარი რელიგიური საფუძვლები აქვს ყურანსა და სუნნაში. მუჰამმად შუამავლის სიცოცხლეში გვაქვს პრაქტიკული მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ჯიჰადის ესა თუ ის ფორმა. როდესაც მუჰამმადმა მექელებს ისლამისკენ მოუწოდა, მას მედგარი წინააღმდეგობა შეხვდა. რწმენის გამო მოციქული და მისი მიმდევრები სასტიკი დევნის ქვეშ აღმოჩნდნენ.ამ დროს მოკლეს სუმაია ბინთ ხაიატი, პირველი ჯიჰადში გარდაცვლილი ქალი. მიუხედავად ამგვარი მიდგომისა და წინააღმდეგობისა, მუსლიმებს მშვიდობიანი გზიდან არ გადაუხვევიათ. მექელ წარმართთა ალიანსი არაერთ ლაშქრობას აწარმოებდა მორწმუნეთა წინააღმდეგ. მათ მიზანს ისლამის გაქრობა, მუჰამმადის სიკვდილი და ერთღმერთიანობის სწავლების განადგურება წარმოადგენდა. მექელებსა და მუსლიმებს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, ვინაიდაინ ისლამის მიმდევრებისათვის მოწოდებული იყო, პირველივე შემთხვევისას ეცადათ ზავის დადება. ამის შემდეგ, მორწმუნეებმა მოიპოვეს უფლება უპრობლემოდ მოელოცათ ქააბა, იბრაჰიმის(აბრაამის) მიერ აგებული პირველი სალოცავი. მუსლიმთა რიცხვი თანდათან მატულობდა, რაც მექელთა განრისხებას იწვევდა და მათი მხრიდან შეტაკებაში გადაიზარდა, მათ სრულიად ამოხოცეს მუსლიმთა ერთ-ერთი თემი. როდესაც მოციქული მექაში ჩავიდა, ის ყოველგვარი სისხლისღვრისა და ხოცვა-ჟლეტის გარეშე, მოკრძალებით შეეგება მექელებს და მიუტევა მტრებს, რომლებიც მუსლიმებს დაუნდობლად დევნიდნენ. ეს მაგალითები თავად მუჰამმადის ცხოვრებიდან, რომლებიც

ჩვენამდე სარწმუნო გზებითაა გადმოცემული, ისლამში სამხედრო ასპექტსა და ომის საკითხს კიდევ უფრო ნათელს ჰფენს.

მართლმორწმუნე ხალიფების პერიოდში(აბუ ბაქრი,უმარი, უსმანი,ალი) სახალიფოს სწრაფი ექსპანსია სწორედ ჯიჰადის ხარჯზე მოხდა. მუსლიმებმა დაამარცხეს იმდროინდელი ზენიტში მყოფი სახელმწიფოები-ბიზანტია, სასანიანთა ირანი. ეს უკანასკნელი მათ მთლიანად გაანადგურეს, ხოლო ბიზანტიამ კი კონსტანტინოპოლი დაცემისაგან იხსნა. მოციქულის საჰაბები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამგვარ შეტევით ჯიჰადებში, მათ შორის აღსანიშნავია ხალიდ იბნ ალ-ვალიდი, რომელმაც ბიზანტიისაგან ჩამოაცილა პალესტინა, სირია და ანატოლიის დიდი ნაწილი, სასანიანები კი მრავალჯერ დაამარცხა დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე.

ჯიჰადის ხასიათს ატარებდა ქრისტიანი ჯვაროსნებისა და წარმართი მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაც.

ჯვარსოსანთა წინააღმდეგ ჯიჰადი გამოცხადდა მას შემდეგ, რაც სალაჰუდდინ იბნ-აიუბმა ეგვიპტეში დაამხო ფატიმიანთა შიიტური დინასტია.

მონღოლთა წინააღმდეგ კი გამოაცხადეს ეგვიპტელმა მამლუქებმა, როდესაც მათ აიღეს და გაძარცვეს ქალაქი ბაღადადი.

ისლამის ისტორიაში შემორჩენილია ცნობები, თუ როგორ იქცეოდნენ სუნნას მიმდევარი ადამიანები ომის დროს. აბუ ბაქრი, პირველი მართლორწმუნე ხალიფა, როდესაც სირიის მხარეს ლაშქარს აგზავნიდა ბიზანტიურ ლეგიონებთან საბრძოლველად, გამგზავრების წინ მათ ასე მიმართავდა: „ შეიძლება შეგხვდნენ ადამიანები, რომლებმაც თავი თავიანთ რელიგიას მიუძღვნეს(ბერ-მონაზვნები), მათ ხელი არ ახლოთ!“.

აქვე მოვიყვანოთ მაგალითი ხალიფა უმარზეც(მეორე მართლმორწმუნე ხალიფა). როდესაც მან იერუსალიმიდან განდევნა ბიზანტიელები,მუსლიმებს შეეგება, როგორც განმათავისუფლებლებს. მაგრამ, როცა მათ დაიმორჩილეს და დაიპყრეს ის მხარე, უმარმა მათ ნება არ დართო ზემოდან ეყურებინათ იქ მცხოვრებთათვის, როგორც დამარცხებული მტერებისათვის.უმარი იერუსალიმში მოკრძალებით შევიდა და ნაცვლად ადგილობრივთა

მკაცრი პირობებით დახარკვისა, უსაფრთხოებას, ყოველგვარი დევნისა და შევიწროებისგან დაცვას დაჰპირდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან ადგილობრივ პატრიარქთან, სოფრონიუსთან ხელშეკრულება დადო, რომელიც იძლეოდა იერუსალიმის მოსახლეობის სიცოცხლის, ეკლესიებისა და ჯვრების დაცვის გარანტიას. მათი სალოცავები არ იქნებოდა დაკეტილი ან დანგრეული, არავინ გაძარცვავდა მათ სიწმინდეებს. არ აიძულებდნენ მიეტოვებინათ თავიანთი რწმენა და ამით შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ.

ყოველივე ამის გაანალიზების შემდეგ, ნებისმიერისთვის ცხადი გახდება ისლამის პოზიცია ტერორიზმის მიმართ, რომელიც ისლამურ კანონებს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. ტერორიზმიგულისხმობს ომის ისეთ ფორმას, როდესაც სამიზნედ არჩეულია უიარაღო მოსახლეობა ხალხში შიშის დასათესად. მაგალითები გვიჩვენებს, რომ დაუშვებელია შეუიარაღებელ მხარეზე თავდასხმა, თუნდაც აგრესორისაგან იცავდნენ თავს. როგორც ყველა რელიგია, ისლამიც კრძალავს უდანაშაულო ადამიანების მკვლელობას. ტერორიზმი ისლამში მკაცრად აკრძალულია და ეს რელიგია უარყოფს ამგვარ ტაქტიკას, თუნდაც შედეგად სარგებელი მიიღოს.

დღეს ისლამი არ იდგებოდა იმ მსოფლიოს უდიდეს რელიგიათა შორის, თუ იგი არ ქადაგებდეს სამართლიანობას, მშვიდობას, მოწყალებას, მიტევებასა და ა.შ. ისლამი ეს არის რწმენა, რომელიც ხშირად არასწორადაა გაგებული. ისლამი ნიშნავს ღმერთის მორჩილებას და არა უსამართლო სისხლისღვრას. ისლამი მშვიდობისთვის, თავისუფალი რწმენისთვის მებრძოლი ადამიანთა რელიგიაა, რომლისგანაც შორს არის ნებისმიერი სახის ძალადობა და შევიწროება. სწორედ ამიტომ, საჭიროა,სწორად გაიგონ, თუ რას ნიშნავს ბრძოლა ისლამში, და რისკენაა მიმართული ჯიჰადი, რომელიც უმეტესობის მხრიდან უდანაშაულო მოსახლეობის ხოცვასთანაა ასოცირებული.

ლიტერატურა

კამალა დასი - „შესავალი“

ცოტნე ღუღუნიშვილი

კამალა დასი დაიბადა 1934 წელს ინდოეთის შტატ კერალაში. იგი ცნობილია სხვა ფსევდონიმებითაც, მაგალითად: კამალა სურაია, მადჰავიკუტი... კამალას დედა, ბალამანი ამმა, მალაიალამუ-რენოვანი პოეტი იყო და დიდი გავლენა იქონია კამალას ცხოვრებაზე, ისევე როგორც კამალას ბიძამ, ნალაფატ ნარაიანა მენონმა, რომელიც ასევე გამოჩენილი მწერალი გახლდათ. სწორედ ასეთმა გარემომ ჩამოუყალიბა კამალას ის საძირკველი, რომელზეც მან თავისი მომავალი კარიერა ააგო.

კამალას გულღია შეგონებებმატაბუირებულ თემებზე, იგი აქცია ერთ-ერთ მოწინავე ინდოელ ქალ მწერლად, რომელმაც დაიმსახურა მოწონება ასეთი მტკიცე და უნიკალური შეხედულებების გამო. როგორც პოეტი, კამალა დასი მეტად დაინტერესებული იყო

სიყვარულის თემატიკაზე, ურთიერთობებზე და სექსუალურ თემებზე წერითდა მიაჩნდა, რომ ეს ყველაფერი სავსებით ბუნებრივი ნაწილი იყო ადამიანის ცხოვრებისა. მან წინა პლანზე წამოწია გაუჟღერებელი თემები, რომლებსაცინდოელ მოქალაქეთა უმრავლესობა ხმამაღლა არ განიხილავდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა თემატიკაზე ხშირად წერდა, კამალა მაინც არ მიიჩნევდა საკუთარ თავს აქტიურ ფემინისტად. 1985 წელს მოიგო საჰიტიას აკადემიის ჯილდო. 65 წლის ასაკში კამალა დასი მუსლიმანად მოინათლა და გახდა „კამალა სურაია.“ იგი 2009 წლის 31 მაისს გარდაიცვალა 75 წლის ასაკში.

კამალა დასმა თავისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსი სახელწოდებით „შესავალი“ გამოაქვეყნა 1965 წელს თავისსავე პოემების კრებულში „ზაფხული კალკუტაში.“ მოცემული ლექსი მთლიანად ავტობიოგრაფიულია. კამალა დასი მკითხველს მეტად პირადულ თემებზე ესაუბრება. ამასთანავე, განიხილავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: პატრიარქალური საზოგადოების ზეგავლენა ქალებზე, სიყვარული, ქალის სხეული და ა.შ. ლექსში გაჟღერებულია მთელი რიგი მოთხოვნებისა, რომლებსაც ინდოეთის საზოგადოება უწესებდა ქალებს უხსოვარი დროიდან. კამალა დასი საუბრობს საკუთარ თავზე, მაგრამ იგი რეალურად განაზოგადებს ყველა ინდოელ ქალს და გვესაუბრება მათ მდგომარეობაზე.

შესავალი

მე ვერ ვერკვევი პოლიტიკაში, მაგრამ კი ვიცი სახელი მათი,

ძალაუფლების სათავეში რომ მოქცეულან;

მე შემიძლია ჩამოთვლაც მათი, ვით დღენი კვირის,

ვით წლისა თვენი,ვით ინდოეთის ნერუ პირველი.

ვარ ინდოელი, და ყავისფერი, იქ,მალაბარში დაბადებული,

ავლაპარაკდი მე სამ ენაზე, წერა მცოდნია ორი მათგანის,

მიოცნებია მე მხოლოდ ერთზე.

ინგლისურად რომ დაგიწერია, როდი არისო ის შენი ენა,

მეუბნებიან კრიტიკოსები, ამხანაგები, სტუმრად მოსული

ბიძაშვილებიც.რად არ მეშვება ყველა თქვენგანი?!

რატომ არ მაძლევთ უფლებას ვწერო

მე იმ ენაზე, რომელიც მომწონს?!ენა, რომელზეც მე ვსაუბრობ

ნაწილი ხდება ჩემივე თავის;

ენათავისიმანკით, ცვლილებით,მხოლოდ ჩემია,

ოჰ, მხოლოდ ჩემი.

იგი ნახევრად ინგლისურია, ამავდროულად ინდურიც არის,

სასაცილოა, თუმცა კიწრფელი.

ადამიანს ჰგავს და თითქოს მეც მგავს,ნუთუ ვერ ამჩნევთ?

იგი აჟღერებსჩემს სიხარულს, ჩემს ლტოლვა-წადილს და ჩემს

იმედებს;და იგი ჩემთვის სასიცოცხლოა,

ვითყვავისათვის მისი ჩხავილი,ან რომ ლომისათვის მისი

ღრიალი.

და ენა არის მეტყველებაადამიანის; და ენა არის ლაპარაკიჩვენის

აზრების; წარმოვლენილი გულიდან და არა- შორიდან.

და ენა არის ის გონება, რომელიც ხედავს,

რომელსაც ესმის, რომელმაც იცის;

და ჩემი ენავინ თქვა რომ ყრუა, ვინ თქვა რომ ბრმაა?!

იგი როდია მეტყველება ხეებისშტორმში;

იგი როდიაწვიმისა მსგავსი და ან მუსონის ღრუბელთა ჯგუფის;

იგი როდია აალებული სამგლოვიაროკოცონის ოხვრა.

ბავშვი ვიყავი და შემდეგ მითხრეს, რომ გავიზარდე და რომ

გავმაღლდი, რომ კიდურები გამზრდია და

თმაც წამოზრდილა იმასზედ თურმე.

მე სიყვარული ვითხოვე მხოლოდდა არ ვიცოდისხვა რამეთხოვა,

და თექვსმეტისა შემათრია მან მე ოთახში...მოხურა კარი.

მან მე არ მცემა, თუმც კი სხეული სევდიანი ნაცემსაც ჰგავდა.

და ამ სიმძიმემ, რომ ჩასახულაჩემსმკერდსა და საშვილონოში,

გამტეხა მე და

უკან დავიხიე შესაბრალისად.

შემდეგ…მე შევიმოსეჩემიპერანგით და ძმისა შარვლით,

მე უკუვაგდე ქალურობა, თმაც შევიჭერი.

და იმათ ბრძანეს:ჩაიცვი სარი!იყავ გოგონა!იყავი ცოლი!

იყავ მქარგველი!და მზარეულიც!იყავ მოდავემსახურებთან.

ჰოი, მოგვერგე! მოგვეკუთვნე!დაიყვირეს მათ, ვინც რომ

კლასებად ჰყოფენ ჩვენს მოდგმას.

ნუ გექნებაო შენი აზრი, ნუ გექნებაო პოზიცია;

იყავ ეიმი[79],იყავ კამალა, ან, უკეთესი-მადჰავიკუტი[80].

დროა სახელიაირჩიო, მოირგო როლი,

არ ითამაშო თამაშებიმოჩვენებითი;

არ ითამაშო ნიმფოობა, შიზოფრენობა

და არ იტირო სამარცხვინოდ ხმამაღლაროცა

შენც სიყვარულში ტყუილების გახდები მსხვერპლი.

მე შევხვდი ერთ კაცს…შემიყვარდა.მასზედ სახელით არ

ვისაუბრებ, რამეთუ მასაცსხვა კაცთამსგავსად

სურს მხოლოდ ქალი.ვითარცმე ვეძებ სხვაქალთა მსგავსად

სიყვარულს მხოლოდ.

მასში...მდინარეების შმაგი სისწრაფე.

ჩემში... ოკეანეთა დაუღალავი მომლოდინობა.

ვინა ხარ? ვეკითხები ყოველ სულიერს,და პასუხად აქვთ-

„ეს მე ვარ.“

აქა თუ იქ, მე ვხედავ იმ ერთს…მას, ვინც თავსუწოდებს „მე-ს.“

ამ სამყაროში,იგი არის შეკრულიმტკიცედ,

ვითარც რომ ხმალი ჩაკეტილი თავისქარქაშში.

ეს არის „მე“ ვინც სვამსმარტო

სვამს 12-ზე, შუაღამით,

უცხო ქალაქის მიყრუებულ სასტუმროებში,

ეს არის „მე“...ვინც იცინის,

ეს არის „მე“… ვისაცუყვარდება და წუთს რცხვენია,

---

[79]ეიმი- კამალა დასის მოფერებითი სახელი.

[80]მადჰავიკუტი- კამალა დასის ერთ-ერთი ფსევდონიმი.

ეს არის „მე“... ვინც მომაკვდავი წევს

ყელში ხრიალით.

წუთს ცოდვილი ვარ, წუთს კი- წმინდანი.

სიყვარულ შემოფიცულიდა ნაღალატები.

არ განმიცდია სიხარული, რომელიც შენთვის უცხოა,

არც რომტკივილი,რომლითაც შენ არ ტანჯულხარ.

მეც ჩემს თავს მოვიაზრებ „მე-დ.“

კამალა დასი